

სისხლი  
№ 2 (წითელი)

ს ა ზ ო ბ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი    უ შ ი შ რ ო ე ბ ი ს ა  
და    ნ ა ს რ ი ბ ი ს    დ ა რ ჯ ვ ე ვ ა

# 1. განგრობადი დანაშაული

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 879-აკ

16 იანვარი, 2008 წ, ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),  
ზ. მეთევილი,  
დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. დ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ნ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 4 დეკემბრის განაჩენით გ. დ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის მე-19,117-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, საცავში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. დ-შვილი დაუდგენელ დროსა და ვითარებაში დანაშაულებრივად დაუკავშირდა ასევე დაუდგენელ სამ პირს და შეუთანხმდა მათ, რომ შეეღწიათ გორის რაიონის სოფ. ზერტში მცხოვრებ ვ. ზ-შვილის საცხოვრებელ სახლში და მისაკუთრების მიზნით ფარულად დაუფლებოდნენ ამ უკანასკნელის მოძრავ ნივთებს. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2005 წლის 25 აგვისტოს, დაახლოებით 03.30 საათზე, გ. დ-შვილმა თანამზრახველებთან ერთად შეაღწია ვ. ზ-შვილის საცხოვრებელი ბინის სარდაფში და დაეუფლა ღვინის 7 ცარიელ ბოცას, არყით სავსე ერთ ბოცას, ღვინით სავსე 3 ბოცას, ალუმიინის 2 ქვაბს, რითიც დაზარალებულს სულ მიაყენა 407 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი. აღნიშნული ნივთები მათ მიიტანეს ვ. ზ-შვილის მეზობლად მცხოვრებ გ. ზ-შვილის საცხოვრებელი სახლის ბაღში.

ზემოაღნიშნული ნივთების მისაკუთრების შემდეგ გ. დ-შვილი ძიებით დაუდგენელ პირებთან ერთად კვლავ შევიდა ვ. ზ-შვილის საცხოვრებელი სახლის ეზოში, ამ უკანასკნელის კუთვნილი, ერთი სული მსხილფეხა რქოსანი პირუტყვის მისაკუთრების მიზნით, რაც მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი, კერძოდ, დაზარალებულმა შეიტყო ქურდობის შესახებ და მათ მოსაგერიებლად თოფიდან გაისროლა, რა დროსაც სხეულის დაზიანება მიიღო გ. დ-შვილმა.

აღნიშნული ქმედებისათვის გ. დ-შვილს საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებითა და ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სსკ-ის მე-19,117-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასჯელთა ნაწილობრივი შეკრებით, გ. დ-შვილს საბოლოოდ განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2005 წლის 27 აგვისტოდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. გორისეველმა. მან ითხოვა განაჩენის გაუქმება და გ. დ-შვილის გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 აპრილის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა: გ. დ-შვილს ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის მე-19,117-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, როგორც შეცდომით წარდგენილი; მას საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი სსკ-ის მე-19,117-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებითა და ამჟამად მოქმედი რედაქციის

სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

კასატორი – მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ნ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. დ-შვილმა ჩაიდინა ერთიანი, განგრძობადი, დაუმთავრებელი დანაშაული და განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა; სააპელაციო სასამართლო არ უნდა გასცდენოდა სასჯელის იმ ფარგლებს, რომელიც დაადგინა რაიონულმა სასამართლომ დაუმთავრებელი დანაშაულისათვის, მით უმეტეს, რომ სააპელაციო სასამართლოში არ იყო ბრალდების მხარის საჩივარი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატი მ. ნ-ძე ითხოვს გ. დ-შვილისათვის შესაბამისი სასჯელის განსაზღვრას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალებით, მათ შორის – დაზარალებულ ვ. ზ-შვილისა და მოწმე გ. ზ-შვილის ჩვენებებით, სასამართლო-ბიოლოგიური და ქიმიური ექსპერტიზის დასკვნებით უდავოდ დადგენილია, რომ გ. დ-შვილმა ჯგუფურად და საცაეში უკანონო შეღწევით ჩაიდინა ქურდობის მცდელობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნას გ. დ-შვილის მიერ ერთიანი დანაშაულის მცდელობის ჩადენის თაობაზე და აღნიშნავს, რომ ეს არის სსკ-ის მე-14 მუხლით გათვალისწინებული განგრძობადი დანაშაული. ამასთან, მსჯავრდებულს სასჯელი განესაზღვრა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა არსებითი დარღვევით, კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით გ. დ-შვილს სასჯელი განესაზღვრა სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით დანიშნული სასჯელების – 3-3 წლით თავისუფლების აღკვეთის ნაწილობრივი შეკრების წესის გამოყენებით.

რამდენადაც სააპელაციო პალატამ საქმე განიხილა მსჯავრდებულის ადვოკატის საჩივრის საფუძველზე, სსსკ-ის 540-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, იგი არ იყო უფლებამოსილი ერთი მუხლით, სასჯელთა შეკრების გარეშე გ. დ-შვილისათვის განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წელზე მეტი ვადით. შესაბამისად, მსჯავრდებულს უნდა შეუმსუბუქდეს სასჯელი.

ამასთან, გ. დ-შვილის ქმედება 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს დღეს მოქმედი რედაქციის სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, ამავე კოდექსის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ გ. დ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ნ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 აპრილის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: გ. დ-შვილის ქმედება საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს დღეს მოქმედი რედაქციის სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე;

მსჯავრდებულ გ. დ-შვილს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის საბოლოოდ განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. არაერთგზისი დანაშაული

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 520-აპ 19 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),  
ზ. მეიშვილი,  
ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. გ-შვილისა და თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურორის მოვალეობის შემსრულებელ რ. ლ-იას საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 იანვრის განაჩენზე მ. გ-შვილის, ბ. ტ-შვილისა და თ. ბ-შვილის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 18 აგვისტოს განაჩენით ცნობილ იქნენ დამნაშავეებად:

1. მ. გ-შვილი საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად ჩაიდინა ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ;

2. ბ. ტ-შვილი საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად ჩაიდინა ძარცვა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის; ასევე – ყაჩაღობა ჯგუფურად, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ, არაერთგზის; ასევე – თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; ასევე – ქურდობა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არაერთგზის, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ;

3. თ. ბ-შვილი საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მძიმე ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ.

მ. გ-შვილის, ბ. ტ-შვილისა და თ. ბ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 10 დეკემბერს ბ. ტ-შვილმა გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით აშკარად დაუფლებოდა სხვის ნივთს – სატრანსპორტო საშუალებას. განზრახვის რეალიზების მიზნით მათ იმავე დღეს, დაახლოებით 23 საათზე, თბილისში, დილოში, აღმაშენებლის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე, გააჩერეს „ფორდ-ესკორტის“ მარკის ტაქსი და მძღოლ ზ. ჭ-შვილს სთხოვეს „ტოიოტას“ ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე გაყვანა. „ტოიოტას“ ცენტრის მოშორებით, ბნელ ადგილზე, მათ მძღოლს გააჩერებინეს ავტომანქანა და მოსთხოვეს მობილური ტელეფონი. ზ. ჭ-შვილმა განუცხადა, რომ მობილური არ ჰქონდა. ავტომანქანის უკანა სავარძელზე მჯდომმა პირმა მას ყელზე მოუჭირა ხელები, მიაკრა სავარძლის საზურგეს და მოსთხოვა ფული. მძღოლის გვერდით მჯდომმა ბ. ტ-შვილმა ზ. ჭ-შვილს დაუწყო თავში ხელების ჩარტყმა. მძღოლმა მოახერხა თავის დაღწევა და გაიქცა, ხოლო ბ. ტ-შვილი და მისი თანამზრახველი დაეუფლნენ ავტომანქანას და მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან, რითიც დაზარალებულ ზ. ჭ-შვილს მიაყენეს 4000 აშშ დოლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2007 წლის 25 იანვარს, დაახლოებით 00.25 საათზე, ბ. ტ-შვილმა და გამოძიებით დაუდგენელმა პირმა დიღმის მასივში, მალაზია „წითელქუდასთან“ გააჩერეს „ოპელ-ვექტრას“ მარკის ტაქსი და მძღოლ ი. გ-შვილს მოსთხოვეს სოფ. დიღმში წაყვანა. ბ. ტ-შვილი დაჯდა მძღოლის გვერდით, ხოლო მასთან მყოფი პირი მოთავსდა უკანა სავარძელზე. სოფ. დიღმის ტერიტორიაზე ბ. ტ-შვილმა მოსთხოვა მძღოლს მანქანის გაჩერება, გადავიდა მანქანიდან და ცეცხლსასროლი იარაღით მოკვლის მუქარით ი. გ-შვილი ჩასვა მანქანის საბარგულში, რითიც მას უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება, ყაჩაღური თავდასხმის შედეგად ავტომანქანის გატაცების გადავილების მიზნით. მანქანის საჭესთან დაჯდა ბ. ტ-შვილი და გაემართნენ სოფ. დიღმის მიმართულებით. დაახლოებით 1 კილომეტრის გავლის შემდეგ გამტაცებლებმა შენიშნეს პოლიციელები, რაც საეჭვოდ მიიჩნიეს, გატაცებული ავტომანქანა მიატოვეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

ბ. ტ-შვილი გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში დანაშაულებრივად დაუკავშირდა მეგობრებს – მ. გ-შვილსა და თ. ბ-შვილს. 2007 წლის 30 იანვარს, დაახლოებით 4 საათზე, აღნიშნული პირები მივიდნენ თბილისში, ჰიპერმარკეტ „გუდვილის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე, სადაც ნახეს დ. მ-შვილის მფლობელობაში არსებული „ვაზ-2106“ მარკის ავტომანქანა, შეუცვალეს სანომრე ნიშნები, ჩასხდნენ მანქანაში, მ. გ-შვილმა ჩამოყარა ელექტროსადენები, მანქანა დააგორეს, აამუშავეს ძრავა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლნენ მას.

2007 წლის 30 იანვარს, დაახლოებით 06.20 საათზე, მცხეთის რაიონის სოფ. წეროვანთან, საავტომობილო გზაზე, ბ. ტ-შვილი თანამზრახველებთან ერთად დააკავეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა.

აღნიშნული ქმედებისათვის მ. გ-შვილსა და თ. ბ-შვილს განესაზღვრათ 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთა, ბ. ტ-შვილს კი საბოლოოდ მიესაჯა 27 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულებს სასჯელის მოხდა დაეწყოთ 2007 წლის 30 იანვრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა თ. ბ-შვილმა და მსჯავრდებულ მ. გ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. კორკოტაშვილმა.

მსჯავრდებულმა თ. ბ-შვილმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის დადგენა, ხოლო ადვოკატმა დ. კორკოტაშვილმა – განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულ მ. გ-შვილის გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 იანვრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 18 აგვისტოს განაჩენი შეიცვალა: ბ. ტ-შვილს ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტები, როგორც ზედმეტად წარდგენილი და მას საბოლოოდ განესაზღვრა 21 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებული მ. გ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უკანონოა და უნდა გაუქმდეს, ვინაიდან ქმედების საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლით დაკვალიფიცირებისათვის სავალდებულოა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის არსებობა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს, ხოლო სსკ-ის 177-ე მუხლიდან ქურდობის შემადგენლობისათვის სავალდებულო ნიშანი – მისაკუთრების მიზანი – ამოღებული არ არის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული მ. გ-შვილი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 23 იანვრის განაჩენის შეცვლას მის სასიკეთოდ და კანონიერი გადაწყვეტილების მიღებას.

კასატორი – ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი რ. ლ-ია საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ წინასწარი და სასამართლო გამოძიების დროს მოპოვებული მტკიცებულებების შეჯერებისა და იურიდიული შეფასების შემდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოს ეჭვი არ შეუტანია ბ. ტ-შვილის მიერ მასზე ინკრიმინირებული დანაშაულის ჩადენაში და იგი დამნაშავედ ცნო საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით; სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს განაჩენში სარევიზიო წესით ბ. ტ-შვილის მიმართ შეიტანა ცვლილებები როგორც კვალიფიკაციის, ისე – სასჯელის ნაწილში და განაჩენში მიუთითა, რომ არაერთგზის ჩადენილი ყაჩაღობა მოიცავს ძარცვასაც; ამ მსჯელობის საფუძველზე ბ.

ტ-შვილისათვის წარდგენილი ბრალდებიდან სრულად ამოურიცხა სსკ-ის 178-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდება ამ მუხლით დანიშნულ სასჯელთან ერთად.

პროკურორ რ. ლ-იას აზრით, სააპელაციო სასამართლოს ასეთი მსჯელობა უკანონოა; სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი და მსჯავრდებულ ბ. ტ-შვილს საბოლოოდ განუსაზღვრა სასჯელის ისეთი ზომა, რომელიც არ შეესაბამება მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმესა და პიროვნებას; სააპელაციო სასამართლომ, მიუხედავად იმისა, რომ დადგენილად მიიჩნია ბ. ტ-შვილის მხრიდან ქურდობის, ყაჩაღობისა და ძარცვის ჩადენა, ნორმის არასწორი გამოყენებით სრულად ამოურიცხა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლით წარდგენილი ბრალდება და ამ ნაწილში დანიშნული სასჯელი, ისე, რომ წინააღმდეგობაში მოვიდა როგორც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მოთხოვნებთან, ასევე მის მიერ განაჩენში განვითარებულ დასკვნებთან, როცა იმავე ლოგიკით ბრალდებიდან არ ამოურიცხა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლიც და ბ. ტ-შვილის ქმედება არასწორად დააკვალიფიცირა ყაჩაღობითა და ქურდობით, რითაც სამართლებრივი შეფასებისა და სათანადო სასჯელის გარეშე დატოვა ბ. ტ-შვილის მიერ ჩადენილი მძიმე კატეგორიის დანაშაული. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ ამ ქმედებით მსჯავრდებულ ბ. ტ-შვილს განუსაზღვრა სასჯელი, რომელიც აშკარად არ შეესაბამება მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმესა და იმ მსჯავრდებულის პიროვნებას, რომელმაც მოკლე დროში შეძლო ოთხი დამოუკიდებელი, საზოგადოებისათვის საშიში დანაშაულის ჩადენა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორი რ. ლ-ია ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 იანვრის განაჩენის გაუქმებას ბ. ტ-შვილის ბრალდების ნაწილში და ამ ნაწილში საქმის დაბრუნებას ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პროკურორ რ. ლ-იას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რადგან ბ. ტ-შვილს წარდგენილი ჰქონდა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდება (არაერთგზისი ყაჩაღობა), აღნიშნული მოიცავს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებასაც. ამის გამო ბ. ტ-შვილს ამოურიცხა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები, როგორც ზედმეტად წარდგენილი.

პალატა განმარტავს, რომ ადრე მოქმედი რედაქციის სსკ-ის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს ერთი (და არა სხვადასხვა) მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას, ხოლო სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზისად, თუ ამის შესახებ მითითებულია შესაბამის მუხლში.

სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 177-186-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული არაერთგზისად ითვლება, თუ მას წინ უსწრებდა ამ მუხლებით და 224-ე, 231-ე, 237-ე და 264-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა. ეს მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ სსკ-ის 177-186-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა უნდა დაკვალიფიცირდეს არაერთგზისობითაც, თუ მას წინ უსწრებდა ზემოაღნიშნული, სხვა რომელიმე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. ამდენად, ხარისხობრივად განსხვავებული და სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული ქმედებები – ძარცვა და ყაჩაღობა, არ შეიძლება ერთმანეთს მოიცავდეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახეზეა სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენება, რაც ამ შემთხვევაში განაჩენის გაუქმების საფუძველია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების განაჩენებით ბ. ტ-შვილი ცნობილია დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით, თუმცა მას სასჯელი დაენიშნა ამ მუხლის მხოლოდ მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

იმის გამო, რომ საქმე უნდა გაიგზავნოს ახალი სასამართლო განხილვისათვის, საკასაციო პალატა არ მსჯელობს მსჯავრდებულ მ. გ-შვილის საჩივრის მოტივებზე და თ. ბ-შვილის მიმართ სააპელაციო პალატის განაჩენის კანონიერებაზე, დასაბუთებულობასა და სამართლიანობაზე.

საქმის ხელახლა განხილვისას თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხვა შემადგენლობამ უნდა გაითვალისწინოს განჩინებაში აღნიშნული მითითებები, სრულად და ობიექტურად შეისწავლოს და შეაფასოს საქმეში არსებული მასალები, რის შემდეგ მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

პროკურორ რ. ლ-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 იანვრის განაჩენი ბ. ტ-შვილის, მ. გ-შვილის და თ. ბ-შვილის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. დამატებითი სასჯელი

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 542-აპ

9 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

ლ. მურუსიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ე. ს-ლის დამცველის, ადვოკატ მ. შ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 12 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 დეკემბრის განაჩენით ე. ს-ლი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით. მასვე იმავე განაჩენით დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა 15000 ლარის ოდენობით. „აპნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის თანახმად, იგი გათავისუფლდა ძირითადი სასჯელის მოხდისაგან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 12 თებერვლის განაჩენით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ ე. ს-ლის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და ხაშურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ ე. ს-ლის დამცველი, ადვოკატი მ. შ-შვილი საჩივრით ითხოვს მსჯავრდებულის დამატებითი სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლებას იმ მოტივით, რომ ე. ს-ლის ოჯახი მიეკუთვნება სოციალურად დაუცველ ფენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა მსჯავრდებულ ე. ს-ლის პირადი საქმის მასალები და შეამოწმა მისი დამცველის საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოების გამო:

საქმეში არსებული სარწმუნო მტკიცებულებებით, რომლებიც მოპოვებულია საპროცესო ნორმების სრული დაცვით, დადასტურებულია, რომ მსჯავრდებულმა ე. ს-ლმა ნამდვილად ჩაიდინა სასამართლოს განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

ამავე დროს დგინდება, რომ საქმეში არსებული მოწმობის, საიდენტიფიკაციო კოდი 0105010404561, თანახმად, ე. ს-ლი მიეკუთვნება სოციალურად დაუცველ ფენას, რის გამოც საკასაციო პალატა თვლის, რომ მისი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, იგი უნდა გათავისუფლდეს სასამართლოს მიერ მის მიმართ დანიშნული დამატებითი სასჯელის – ჯარიმის მოხდისაგან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 12 თებერვლის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ და ე. ს-ლი გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის – 15 000 ლარის ოდენობით დანიშნული ჯარიმის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ე. ს-ლის დამცველის, ადვოკატ მ. შ-შვილის საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 12 თებერვლის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ე. ს-ლი, როგორც სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენელი, გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის – 15 000 ლარის ოდენობით დანიშნული ჯარიმის გადახდისაგან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. დამატებითი სასჯელი

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№393აპ 10 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

saqarTvelos uzenaesi sasamarTlos sisxlis samarTlis saqmeTa palatam Semdegi SemadgenlobiT:  
d. sulaqveliZe (Tavmjdomare),

მ. ოშხარელი,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების – ც. ქ-იასა და ლ. გ-ძის დამცველის, ადვოკატ ი. ლ-ძის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზაშურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 7 დეკემბრის განაჩენით ც. ქ-ია და ლ. გ-ძე მსჯავრდებულ იქნენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მათ სასჯელის ზომად განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა – თითოეულს 4 წლისა და 6 თვის ვადით, მათვე დამატებით სასჯელად შეეფარდათ ჯარიმა – თითოეულს 10 000 ლარის ოდენობით. ამასთან, „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 5 დეკემბრის



საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ისინი გათავისუფლდნენ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული ძირითადი სასჯელის მოხდისაგან.

იმავე განაჩენით მსჯავრდებულნი არიან ასევე გ. პ-შვილი, ნ. თ-ძე და ლ. ბ-ძ, რომლებსაც განაჩენი არ გაუსაჩივრებიათ.

განაჩენით ც. ქ-იას, ლ. გ-ძეს, ნ. პ-შვილს, ნ. თ-ძესა და ლ. ბ-ძეს მსჯავრი დაედოთ ისეთ დანაშაულში, როგორცაა აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის (თამბაქოს ნაწარმის) აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვა, ჩადენილი ჯგუფურად, რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 12 აპრილს, დილის საათებში, ხაშურის სადგურზე ყოფნისას, ნ. პ-შვილს დაუკავშირდნენ სამტრედიის რაიონიდან ჩამოსული ლ. გ-ძე, ნ. თ-ძე, ც. ქ-ია და ლ. ბ-ძ, რომლებმაც შესთავაზეს მას, რომ დახმარებოდა მათ სოფ. გომის მიმდებარე ტერიტორიიდან დაუდგენელი პირებისაგან რუსული წარმოების თამბაქოს ნაწარმის – სიგარეტ „იავა“ შესყიდვაში, რომელიც არ იყო ქართული აქციზური მარკით ნიშნდებული და გადმოეზიდათ იგი ქ. ხაშურამდე მისი „ვაზ-2106“ მარკის ავტომანქანით.

ნ. პ-შვილი დათანხმდა აღნიშნულ წინადადებას და იმავე დღეს, დაახლოებით 6.30 საათზე, თავისი ავტომანქანით ოთხივე თანამზრახველი ჩაიყვანა ხაშურის რაიონის სოფ. გომის განაპირას, სადაც მათ დაუდგენელი პირებისაგან შეიძინეს 2190 კოლოფი რუსული წარმოების სიგარეტი „იავა“ ქართული აქციზური მარკის გარეშე. მათ სიგარეტები მოათავსეს ნ. პ-შვილის კუთვნილი ავტომანქანის სალონსა და საბარგულში და გადაზიდეს ხაშურის მიმართულებით, რა დროსაც სოფ. ... ტერიტორიაზე, ცენტრალურ ავტომაგისტრალზე, ისინი დააკავეს ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა. ჩხრეკის შედეგად ნ. პ-შვილის ავტომანქანიდან ამოღებულ იქნა მათ მიერ შესყიდული 2190 კოლოფი სიგარეტი „იავა“, ასევე ამოიღეს „ვაზ-2106“ მარკის ავტომანქანა.

2007 წლის 12 აპრილის სასაქონლო ექსპერტიზის №24 დასკვნით, აღნიშნული სიგარეტების საბაზრო ღირებულებამ შეადგინა 2628 ლარი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულების – ლ. გ-ძისა და ც. ქ-იას დამცველმა, ადვოკატმა ი. ღ-ძემ, რომელიც თავისი საჩივრებით ითხოვდა განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებულები – ც. ქ-ია და ლ. გ-ძე იმყოფებიან მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში, არ გააჩნიათ არანაირი შემოსავლის წყარო, არიან უმუშევრები, აღიარეს დანაშაული და ხელი შეუწყვეს გამოძიებას ჭეშმარიტების დადგენაში, რითაც ფაქტობრივად მიღწეულ იქნა სასჯელის მიზანი და სხვ., მათ მოეხსნათ დამატებითი სასჯელის სახით შეფარდებული ჯარიმა.

ადვოკატ ი. ღ-ძის სააპელაციო საჩივრები განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2008 წლის 17 იანვრის განაჩენით, არ დააკმაყოფილა რა აპელანტის მოთხოვნა, მსჯავრდებულების მიმართ უცვლელად დატოვა ხაშურის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულების – ც. ქ-იასა და ლ. გ-ძის დამცველმა, ადვოკატმა ი. ღ-ძემ საკასაციო საჩივრებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას, რომლებითაც იმავე მოტივების საფუძველზე, რის თაობაზეც მას წინათ მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივრებში, ითხოვს მსჯავრდებულების – ც. ქ-იასა და ლ. გ-ძის განთავისუფლებას დამატებითი სასჯელის მოხდისაგან. საკასაციო საჩივრებთან ერთად კასატორმა წარმოადგინა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ გაცემული დოკუმენტები, რომლებითაც იგი ადასტურებს, რომ მსჯავრდებულების – ც. ქ-იასა და ლ. გ-ძის ოჯახები იმყოფებიან მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში, რის გამოც მათ არა აქვთ შესაძლებლობა, გადაიხადონ ჯარიმა სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით, რაც მათ ოჯახებს ჩააყენებს კიდევ უფრო მძიმე და გამოუვალ მდგომარეობაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულების – ც. ქ-იასა და ლ. გ-ძის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებულების – ც. ქ-იასა და ლ. გ-ძის ბრალი მათთვის განაჩენით შერაცხული დანაშაულის ჩადენაში სავსებით არის დადასტურებული როგორც მათივე აღიარებითი ჩვენებებით, ისე ავტომანქანის ჩხრეკისა და მათი დაკავების ოქმით, სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, ნივთმტკიცებად ცნობის დადგენილებითა და საქმის სხვა ერთობლივი მასალებით, რაც არც მხარეებს

გაუხდიათ სადავოდ. რაც შეეხება მსჯავრდებულთა მიმართ შეფარდებულ ძირითად სასჯელებს, მიგვაჩნია, რომ მათი განსაზღვრის დროს სასამართლომ სათანადოდ შეაფასა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, რომ მათ მთლიანად ცნეს თავი დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, აღიარეს და მოინანიეს ჩანადენი, რითაც ხელი შეუწყვეს სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას, ისინი პირველად არიან სამართალში, ხასიათდებიან დადებითად და სხვ., აგრეთვე – საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლით გასათვალისწინებელი გარემოებები და ისე განუსაზღვრა მათ სასჯელები, რაც, მსჯავრდებულთა პიროვნებისა და ჩანადენის საზოგადოებრივი საშიშროების მხედველობაში მიღებით, საკასაციო პალატას მიაჩნია სამართლიანად.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებებს იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულები – ც. ქ-ია და ლ. გ-ძე საერთოდ გადახდისუუნაროები არიან, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმით დადგენილია, რომ ისინი დაეთანხმნენ მათივე ადვოკატის მოთხოვნას დამატებითი სასჯელის – ჯარიმის დანიშვნის თაობაზე მათთვის მისაღებ ფარგლებში, კერძოდ, 3000 ათასი ლარის ოდენობით. მაგრამ ამავე დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მატერიალური თვალსაზრისით მსჯავრდებულების – ც. ქ-იასა და ლ. გ-ძის რეალური შესაძლებლობები, რასაც აშკარად აღემატება სასამართლოს მიერ 10 000 ლარის ოდენობით განსაზღვრული ჯარიმები, რის გამოც, მათი ოჯახების მძიმე მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, ისინი უნდა შემცირდეს თითოეული მათგანისათვის 3000 ლარამდე, რაც იქნება სამართლიანი.

საკასაციო პალატამ გასაჩივრებული განაჩენის კანონიერება სარევიზიო წესით შეამოწმა აგრეთვე მსჯავრდებულების – ნ. პ-შვილის, ნ. თ-ძისა და ლ. ბაკურაძის მიმართ და მიაჩნია, რომ მათი მსჯავრდების ნაწილში აღნიშნული განაჩენის შეცვლის საფუძველი არ არსებობს და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 567-ე მუხლითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულების – ც. ქ-იასა და ლ. გ-ძის დამცველის, ადვოკატ ი. ლ-ძის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 იანვრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილებები: მსჯავრდებულებს – ც. ქ-იასა და ლ. გ-ძეს განაჩენით დანიშნული დამატებითი სასჯელები – ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით შეუმცირდეთ 7000 ლარით და მათ დამატებით სასჯელად განესაზღვროთ ჯარიმა – თითოეულს 3000 ლარის ოდენობით.

განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულების: ც. ქ-იას, ლ. გ-ძის, ნ. პ-შვილის, ნ. თ-ძისა და ლ. ბაკურაძის მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### 4. დანაშაულთა რეალური ერთობლიობა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 998-აპ 14 მაისი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),

ი. ტყეშელაშვილი,

ზ. მენიშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა აჭარის არ პროკურატურის განყოფილების პროკურორ თ. ადამიას და მსჯავრდებულ ბ. კ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ს-ძის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 27 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 4 მაისის განაჩენით ბ. კ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე კოდექსის 262-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, იმაში, რომ მან ჩაიდინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა, გადაზიდვა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონო შემოტანა, რაც გამოიხატა შემდეგში:

ბ. კ-ძემ 2005 წელს, თურქეთის რესპუბლიკაში, წინასწარი გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენილი პირისაგან, უკანონოდ შეიძინა 18 ცალ ფირფიტაში მოთავსებული 121 ცალი სუბოტექსის აბი, რომელიც შეიცავს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინს“ 0.968 გრამის ოდენობით, რომელიც შეინახა ასევე უკანონოდ. 2005 წლის 26 ოქტომბერს, თავისი კუთვნილი შავი ფერის „მერსედესის“ მარკის ა/მანქანით, სარეგისტრაციო №1სფ13, აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება გადაზიდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრამდე, რის შემდეგაც იმავე დღეს სარფის საბაჟოს გავლით საქართველოში უკანონოდ შემოიტანა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინი“ 0,968 გრამის ოდენობით, რა დროსაც საბაჟო კონტროლის დროს, იგი გაიქცა შემოწმების ადგილიდან სარფის საბაჟოს გასასვლელი ჭიშკრისაკენ და მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით, მან სარეჟიმო ტერიტორიის ღობის გარეთ მოისროლა და გადააგდო ორ ფუთად შეკრული ზემოაღნიშნული განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება, რომელიც შემდგომში გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ამოღებული იქნა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს განაჩენით, ბ. კ-ძეს სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით, სასჯელის ზომად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ბ. კ-ძის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ვ. ს-ძემ და მოითხოვა მსჯავრდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 27 ივლისის განაჩენით ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს განაჩენი შეიცვალა, კერძოდ ბ. კ-ძეს დანიშნული სასჯელი – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდა 10 წლამდე. სააპელაციო სასამართლოს მიერ მიჩნეული იქნა, რომ სახეზეა დანაშაულთა იდეალური ერთობლიობა და აღნიშნული მოტივით მის მიერ დანიშნული იქნა ერთი სასჯელი.

პროკურორი თ. ა-იასაკასაციო საჩივრით მოითხოვს სააპელაციო პალატის განაჩენის გაუქმებას და სისხლის სამართლის საქმის დაბრუნებას იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად იმ მოტივით, რომ სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი არის აშკარად ღმობიერი და არ შეესაბამება განსასჯელის ქმედების ხასიათს.

მსჯავრდებულ ბ. კ-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ვ. ს-ძე საკასაციო საჩივრით მოითხოვს მსჯავრდებულის გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და თვლის, რომ მსჯავრდებულ ბ. კ-ძის და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის – ვ. ს-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო აჭარის არ პროკურატურის განყოფილების პროკურორ თ. ადამიას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 27 ივლისის განაჩენი ბ. კ-ძის მიმართ უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შემდეგი გარემოებების გამო:

პალატას მიაჩნია, რომ წინასწარი და სასამართლო გამოძიებით მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ, მოწმეების რ. ფ-ძის, ა. ბ-შვილის, გ. კ-ძის ჩვენებებით, ქიმიური და ნარკოლოგიური ექსპერტიზების დასკვნებით, ამოღების ოქმით და საქმეში არსებული სხვა მასალებით დასტურდება ბ. კ-ძის მიერ ჩადენილი ბრალეული მართლსაწინააღმდეგო ქმედება და აღნიშნულიდან

გამომდინარე მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ არასწორად მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა დანაშაულთა იდეალური ერთობლიობა და შესაბამისად არასწორად დანიშნა სასჯელი.

სსკ-ის 16-ე მუხლის თანახმად დანაშაულთა იდეალურ ერთობლიობად ითვლება ისეთი ქმედების ანუ ერთი ქმედების ჩადენა, რომელიც შეიცავს კოდექსის ორი ან მეტი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ნიშნებს.

როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, ბ. კ-მ უკანონოდ შეიძინა, შეინახა და გადაზიდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინი“. მან აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება ასევე შემოიტანა საქართველოში. პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ბ. კ-მ ერთი ქმედებით არ განუხორციელებია სსკ-ის ორი მუხლით გათვალისწინებული დანაშაული და ამდენად სახეზეა დანაშაულთა არა იდეალური, არამედ რეალური ერთობლიობა.

ზემოაღნიშნულის გამო, სააპელაციო პალატის განაჩენი ბ. კ-ის მიმართ უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 570-ე მუხლის პირველი ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ბ. კ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ს-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

პროკურორ თ. ადამიას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 27 ივლისის განაჩენი ბ. კ-ის მიმართ გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეგზავნოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

ბ. კ-მ აღკვეთის ღონისძიებად შეერჩეს დაპატიმრება.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 5. დანაშაულის ორგანიზატორი

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 334-აპ

25 ივნისი, 2007 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: მ.ოშხარელი (თავმჯდომარე),

ზ.მეიშვილი,

დ.სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ.ო-მისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ.ა-შვილის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006წ. 21 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006. 1 სექტემბრის განაჩენით ნ. ო-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესახა საქართველოს სსკ-ის 24,260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 14 წლით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 9 ლით თავისუფლების

აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საქართველოს სსკ-ის 24,260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სასჯელს – 14 წელს ნაწილობრივ დაემატა სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასჯელიდან 9 წლიდან 1 წელი და საბოლოოდ ნ. ო-ძეს სასჯელის ზომად განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი მსჯავრდებულ ნ. ო-ძის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოინახა შემდეგში: 2006წ. თებერვლის თვეში, ზუსტი თარიღი დაუდგენელია, ნ. ო-ძემ ისარგებლა რა თავისი მეზობლის, ქ.ქუთაისში, ... ქუჩაზე მცხოვრები ნ. ჭ-იანის მიძიმე ეკონომიკური მდგომარეობით, შესთავაზა მას ნარკოტიკული საშუალების გასაღება, რაზედაც ეს უკანასკნელი დათანხმდა. ნ. ო-ძე ტელეფონის საშუალებით დაუკავშირდა გამოძიებით დაუდგენელ ვინმე „ნ.ს.“ და უთხრა, რომ თბილისიდან ჩამოეტანა ნარკოტიკული საშუალებები, რადგან მას ჰყავდა სანდო პიროვნება, რომელიც გაუკეთებდა მას რეალიზაციას. სატელეფონო საუბრიდან სამი დღის შემდეგ თბილისიდან ჩამოვიდა გამოძიებით დაუდგენელი ვინმე „ნ.“. რომელმაც ჩამოიტანა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“. ნ. ო-ძე ტელეფონით დაუკავშირდა ნ. ჭ-იანს და სთხოვა გადასულიყო მასთან, ვინაიდან თბილისიდან ჩამოსული პიროვნება უკვე მასთან, სახლში იმყოფებოდა. რამდენიმე წუთში ნ. ჭ-იანი მივიდა ნ. ო-ძესთან, სადაც ვინმე „ნ.მ.“ თანნაქონი შავი ფერის ელექტრო სასწორით აონა ჩამოტანილი ნარკოტიკული საშუალება და ნ. ჭ-იანს გადასცა 70 ე.წ. „ჩეკი“ იმ მიზნით, რომ 10 „ჩეკის“ რეალიზაციის შედეგად მიღებულ ფულს გადასცემდა ნ. ო-ძეს მათი შეხვედრის ორგანიზებისათვის, ხოლო თბილისელ „ნ.ს.“ 70 „ჩეკში“ ნ. ჭ-იანმა გადაუხადა 1500 აშშ დოლარი. ნ. ჭ-იანმა ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციის პერიოდში ნ. ო-ძეს, შეთანხმებისამებრ, მისაცემი თანხიდან გადასცა 200 ლარი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა გადაეცა ეტაპობრივად.

2006წ. 16 მარტს, ბრალდებულად დაკითხვის დროს ნ. ჭ-იანმა დანაშაულის ორგანიზატორობაში ამხილა ქ.ქუთაისში, ... ქ. 21ა\9-ში მცხოვრები ნ. ო-ძე, რომელიც იმავე დღეს დააკავეს თავის საცხოვრებელ ბინაში, რა დროსაც გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში მოსამართლის ბრძანების გარეშე ჩაუტარდა პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკები. საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის დროს ნ. ო-ძის საძინებელ ოთახში, საწოლის ლეიბის ქვემოდან ამოღებულ იქნა შავი პოლიეთილენის პარკში ორ პაკეტად დაფასოებული, მოთეთრო ფერის ფხვნილი, რომელიც ქიმიური ექსპერტიზის №27 დასკვნით წარმოადგენს კუსტარული წესით დამზადებულ ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“, საერთო ონით 0,17 გრამს.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006წ. 21 ნოემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ნ. ო-ძე და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი თ. ასლანიკაშვილი საკასაციო საჩივრებით ითხოვენ სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრების მოტივთა საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო განაჩენში მსჯავრდებულის სასიკეთოდ უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების ჩვენებებით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით ნ. ო-ძის მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია, რასაც სადავოდ არც საკასაციო საჩივრები ხდის.

სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ნ. ო-ძის მიმართ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი და ხარისხი, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ყველა გარემოება და შეუფარდა კანონით გათვალისწინებული სამართლიანი სასჯელი.

ამასთან, პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულ ნ. ო-ძეს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან უნდა ამოერიცხოს მსჯავრდება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და შესაბამისად – ამ მუხლით დანიშნული სასჯელი, როგორც ზედმეტად წარდგენილი, რადგან იგი ასევე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 24,260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც თავისთავად მოიცავს ამავე მუხლის მეორე ნაწილს. აღნიშნულის გამო, მსჯავრდებულ ნ. ო-ძეს სასჯელად უნდა განესაზღვროს საქართველოს სსკ-ის 24,260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006წ. 21 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

მსჯავრდებულ ნ.ო-ძეს ამოერიცხოს მსჯავრდება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, როგორც ზედმეტად წარდგენილი; მას სასჯელის ზომად განესაზღვროს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სხვა ნაწილში განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 6. შეზღუდული შერაცხადობა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 2044-აპ11 დეკემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

ზ. მენიშვილი,

დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. გ-ევის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11 ივნისის განაჩენით:

გ. გ-ეს წარდგენილი ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილი, როგორც ზედმეტად წარდგენილი.

გ. გ-ევი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 19 დეკემბრიდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ გ. გ-ევის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 19 დეკემბერს მთვრალი გ. გ-ევი იმყოფებოდა ქ. თბილისში, ... ქ. №2-ში არსებულ „ისი-პარის“ მაღაზიაში, რა დროსაც იგი მივიდა მაღაზიის დაცვის თანამშრომელ ვ. მ-იანთან და სრულიად უმიზეზოდ დაუწყო კამათი. ამ უკანასკნელმა ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ გ. გ-ევი კვლავ განაგრძობდა უმიზეზოდ კამათს. ყოველივე ეს შეაშინა მაღაზიის მენეჯერმა ანა ბურძგლამ, რომელიც მივიდა მასთან და შესთავაზა დახმარების გაწევა სუნამოს არჩევაში. გ. გ-ევმა ყურადღება არ მიაქცია შეთავაზებას და იქვე მდგომ დაცვის მეორე თანამშრომელს, ა. ჭ-ძესაც სრულიად უმიზეზოდ დაუწყო კამათი და ხმამაღალი ლაპარაკი. დაცვის თანამშრომლებმა – ა. ჭ-ძემ და ვ. მ-იანმა კვლავ მოუწოდეს მას სიმშვიდისაკენ და სთხოვეს დაეტოვებინა მაღაზია, მაგრამ იგი კვლავ განაგრძობდა საზოგადოებრივი წესრიგის უხეშად დარღვევას, რაც გამოიხატებოდა ყველას მიმართ უცენზურო სიტყვებით ლანძღვა-გინებაში. აღნიშნულის გამო, შეფერხდა მაღაზიის მუშაობა, ვინაიდან შეურაცხყოფილმა კლიენტებმა დატოვეს ის ტერიტორია. ამის შემდეგ დაცვის თანამშრომლებმა გ. გ-ევი გაიყვანეს მაღაზიიდან, გასვლისას მან უეცრად თავით ჩაამტვრია მაღაზიის კარის მინა და იქ

მყოფებს მოკვლით და დაჭრით ემუქრებოდა, აგრეთვე ჩამტვრეული მინის ნამსხვრევებს ისროდა მალაზიაში და ივიანებოდა. ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ შემთხვევის ადგილზე დასახმარებლად მივიდა მალაზიის თანამშრომლების მიერ გამოძახებული დაცვის ოპერატიული ჯგუფი, რომელმაც გ. გ-ევი შეაჩერა, ხოლო მოგვიანებით იგი დააკავეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ოქტომბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული გ. გ-ევი საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ გულწრფელად აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, შერყეული აქვს ჯანმრთელობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად და საპროცესო ნორმების დაცვით.

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, დაზარალებულის, ასევე მოწმეთა ჩვენებებით, დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით გ. გ-ევის მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია, რასაც სადავოდ არც საკასაციო საჩივარი ხდის.

რაც შეეხება გ. გ-ევის მიმართ დანიშნულ სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ იგი უნდა შემსუბუქდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასჯელის დანიშნისას სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, მათ შორის – ქმედების განხორციელების სახესა და ხერხს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას.

მსჯავრდებული გ. გ-ევი გულწრფელად აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს. საქმეში არსებული მასალების თანახმად, იგი მკურნალობდა სს „ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში“ დიაგნოზით: ალკოჰოლის მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობანი, დამოკიდებულების სინდრომი, ალკოჰოლის მდგომარეობა დელირიუმით; საქმეში არსებული ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, გ. გ-ევს აღენიშნება არაფსიქოზური დონის ფსიქიკური აშლილობა ემოციურად არასტაბილური პერსონოლოგიური აშლილობის სახით, გართულებული ქრონიკული ალკოჰოლიზმით, რაც გახდა მიზეზი ნევროლოგიურ განყოფილებაში მისი სტაციონირებისა და ქალაქის ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში ფსიქოპათიის დოაგნოზით აღრიცხვაზე აყვანის მიზეზი; გ. გ-ევს აღენიშნება ფსიქიკური ნაკლი და არ გამოორიცხავს მის შერაცხადობას, რაც, საკასაციო პალატის აზრით, უნდა შეფასდეს შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობად, თანახმად საქართველოს სსკ-ის 35-ე მუხლის მეორე ნაწილისა და გათვალისწინებულ უნდა იქნეს სასჯელის ზომის განსაზღვრის დროს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ გ. გ-ევის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ:

მსჯავრდებულ გ. გ-ევს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი – 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდეს და საბოლოოდ განესაზღვროს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 7. ვადიანი თავისუფლების აღკვეთისას პირობითი მსჯავრის აგმოყენება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 394-აპ19 თებერვალი, 2007წ., ქთბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ლ.მურუსიძე (თავმჯდომარე),  
ი.ტყეშელაშვილი,  
მ.ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორ ლ.დ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წ. 1 მაისის განაჩენზე.

აღერილობითი ნაწილი:

ახმეტის რაიონული სასამართლოს 2006წ. 3 თებერვლის განაჩენით ზ.ჭ-შვილი ჭნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, იმაში, რომ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2004წ. გამოძიებით დაუდგენელ დროს, ზ.ჭ-აშვილმა ახმეტის რაიონის სოფ. ხოდაშენის მიმდებარე ტერიტორიაზე, ტყის პირას იპოვა შავი ფერის პოლიეთილების პარკში მოთავსებული ნარკოტიკული საშუალება, მარიხუანა, რომლის ნაწილიც თვითონ მოიხმარა, ხოლო დანარჩენი – 200 გრამი წაიღო თავის საცხოვრებელ სახლში და უკანონოდ ინახავდა პირველ სართულზე არსებულ შესასვლელ ოთახში, ფანჯრის რაფაზე.

ახმეტის რაიონული სასამართლოს განაჩენით, ზ.ჭ-შვილს, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით, სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, რასაც წინა განაჩენით მოუხდელი ნაწილიდან დაემატა 1 წელი და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით, ზ.ჭ-შვილს რეალურად მოსახდელად განესაზღვრა 1 წელი და ცხრა თვე, ხოლო დარჩენილი სასჯელი შეეცვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ლ.დგედაშვილმა და მოითხოვა რაიონული სასამართლოს განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულისათვის 8 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 1 მაისის განაჩენით პროკურორის სააპელაციო საჩივარი დააკმაყოფილა ნაწილობრივ, კერძოდ ზ.ჭ-შვილს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც ინა განაჩენით მოუხდელი ნაწილიდან დაემატა 6 თვე და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა 6 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ზ.ჭ-შვილს სასჯელის მოხდაში ჩათვალა შინაპატიმრობაში გატარებული დრო – 2005წ. 2 თებერვლიდან 2006წ. 11 იანვრამდე, ხოლო სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა პირობითი მსჯავრით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 5 წელი.

პროკურორი ლ.დ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს სააპელაციო პალატის განაჩენის გაუქმებას დანიშნული სასჯელის ლმობიერების მოტივით.

სამოტივაციო ნაწილი:

შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ პროკურორ ლ.დ-შვილის საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის საოლქო სასამართლომ მსჯავრდებულის ქმედება სწორად დააკვალიფიცირა. ზ.ჭ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული დადასტურებულია მოწმეების ი.ქ-



შვილის და ნ.ჩ-ის ჩვენებებით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, ჩხრეკის ოქმით და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით.

ამასთან საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო: თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს მოქმედი საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშნვისას სასამართლო უფლებამოსილი იყო განაჩენით დაედგინა სასჯელის ნაწილის მოხდა, მაგრამ არა ნაკლებ ერთი წლისა, ხოლო დანარჩენი ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა. ზ.ჭ-შვილს სასჯელის მოხდაში ჩათვალა შინაპატიმრობაში გატარებული დრო – 2005 წ. 2 თებერვლიდან 2006წ. 11 იანვრამდე, ანუ 11 თვე და 9 დღე, ხოლო სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა პირობითი მსჯავრით.

აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო პალატამ სასჯელის დანიშნვისას დაარღვია სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნა, რის გამოც პალატის განაჩენი ზ.ჭ-შვილის მიმართ უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეცეს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 570-ე მუხლის პირველ ინაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

პროკურორ ლ.დ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006. 1 მარტის განაჩენი ზ. ჭ-შვილის მიმართ გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### ვადიანი თავისუფლების აღკვეთისას პირობითი მსჯავრის აგმოყენება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 75-აპ

14 ივნისი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

ზ. მუხომბერი,

დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ს-იას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 15 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 30 მაისის განაჩენით დ. ს-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 210-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მესამე ნაწილის გამოყენებით მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 50-ე მუხლის მეხუთე ნაწილის გამოყენებით დ. ს-იამ დანიშნული სასჯელიდან 4 წელი უნდა მოისხადოს რეალურად, ხოლო დანარჩენი 4 წელი ჩათვალა პირობითი, იმავე გამოსაცდელი ვადით.

სამოქალაქო მოსარჩელე ბანკი „ქართუს“ სარჩელი დაკმაყოფილდა. სამოქალაქო მოპასუხე დ. ს-იას მის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად 33700 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადახდა.

მსჯავრდებულ დ. ს-იას სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლების შემდეგ საქართველოს სსკ-ის 65-66-ე მუხლების საფუძველზე დაევალა პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი. გამოსაცდელი ვადის განმავლობაში პირობით მსჯავრდებულის ყოფაქცევაზე კონტროლისა და დახმარების განხორციელება დაევალა იუსტიციის სამინისტროს პრობაციის ბიუროს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

განაჩენის მიხედვით, დ. ს-იას მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

დ. ს-ია 2002 წლიდან მუშაობდა სს „ბანკი ქართუს“ მთაწმინდა-კრწანისის ფილიალში უფროსი მენეჯერის თანამდებობაზე. მის სამსახურებრივ უფლებამოსილებაში შედიოდა ფილიალის კლიენტთა ანგარიშების მომსახურება და კონტროლი საოპერაციო დოკუმენტებზე. ამიტომ ხელი მიუწვდებოდა ბანკის კლიენტთა ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის შემცველ დოკუმენტებსა და ელექტრონულ პროგრამულ სისტემაზე, რომლის მეშვეობითაც რეგულირდებოდა ფილიალის საოპერაციო საქმიანობა. 2004 წლის 7 მაისს დ. ს-იამ, როგორც ფილიალის უფროსმა მენეჯერმა და კონტროლის მოვალეობის შემსრულებელმა, ისარგებლა მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობით და შეადგინა ოთხი ყალბი მემორიალური ორდერი. მოქალაქე ლ. ა-ძის ვადიანი ანაბრის ანგარიშიდან, ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, ანაბარზე არსებული 20 000 აშშ დოლარი გადაიტანა იმავე ფილიალში მის სახელზე არსებულ ანგარიშზე. დ. ს-იამ ასევე ლ. ა-ძის სახელით, მასთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, დაწერა განცხადება ვადიანი ანაბრის ვადამდე დახურვის მოთხოვნით და ამის საფუძველზე გასცა განკარგულება, რათა ბუღალტერიას დაეხურა კლიენტის, ლ. ა-ძის ვადიანი ანგარიში. იმავე დღეს დ. ს-იამ ხსენებული თანხის უდიდესი ნაწილი – 18600 აშშ დოლარი გაიტანა ფილიალის სალაროდან, გასავლის ოთხი სხვადასხვა ორდერის გამოყენებით.

2004 წლის 8 მაისს დ. ს-იამ შეადგინა ბანკის კლიენტის – ტ. შ-შვილის სახელით ყალბი საგადასახადო დავალება, რომელზეც კლიენტის მაგივრად თვითონ მოაწერა ხელი. მანვე შეადგინა კიდევ ერთი ყალბი დოკუმენტი – მემორიალური ორდერი და ტ. შ-შვილის მიმდინარე ანგარიშიდან, ყოველგვარი თანხმობის გარეშე, თავის სახელზე გახსნილ მიმდინარე ანგარიშზე გადაიტანა 17 000 აშშ დოლარი. დ. ს-იამ იმავე დღეს ფილიალის სალაროდან სალაროს გასავლის ორდერის გამოყენებით უკანონოდ გაიტანა 17 500 აშშ დოლარი.

ამდენად, 2004 წლის 7-8 მაისს სს „ბანკი-ქართუს“ მთაწმინდა-კრწანისის ფილიალის უფროსმა მენეჯერმა დ. ს-იამ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, ყალბი დოკუმენტების შედგენითა და მათი გამოყენების შედეგად აღნიშნული ფილიალიდან უკანონოდ გაიტანა ფულადი თანხა – საერთო ოდენობით 36 100 აშშ დოლარი.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 15 ნოემბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ: დ. ს-იას მიმართ წარდგენილი ბრალდება საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 180-ე მუხლზე; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის (1999 წლის 22 ივლისის რედაქცია) 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 210-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა; განაჩენი სამოქალაქო სარჩელის ნაწილში დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული დ. ს-ია საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის მოტივთა საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე შეკრებილი და სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებით სავსებით დადგენილია მსჯავრდებულ დ. ს-იას ბრალეულობა მასზე შერაცხულ დანაშაულში. წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად და საპროცესო ნორმების დაცვით.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ განაჩენი მსჯავრდებულ დ. ს-იას მიმართ სასჯელის ნაწილში უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ 2006 წლის 30 მაისს დ. ს-იას მიმართ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 50-ე მუხლის მეხუთე ნაწილის გამოყენებით მან დანიშნული სასჯელიდან 4 წელი უნდა მოიხადოს რეალურად, ხოლო დანარჩენი 4 წელი ჩათვალა პირობით იმავე გამოსაცდელი ვადით. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს პროკურორმა რ. გრიგალაშვილმა და მსჯავრდებულ დ. ს-იას ინტერესების დამცველმა ადვოკატმა. პროკურორი რ. გრიგალაშვილი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა განაჩენის სასჯელის ნაწილში ცვლილების შეტანას იმ მიმართებით, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯავრდებულ დ. ს-იასათვის სასჯელის ზომად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. პროკურორი საჩივარში აღნიშნავდა, რომ დ. ს-იასათვის შეფარდებული სასჯელის ზომა არის აშკარად ღმობიერი, არ შეესაბამება მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. ამასთან, პროკურორმა თავის სააპელაციო საჩივარში არ იმსჯელა იმის თაობაზე, თვლიდა თუ არა იგი მიზანშეუწონლად დ. ს-იას მიმართ სასჯელის დანიშნისას საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მეხუთე ნაწილის გამოყენებას. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2006 წლის 15 ნოემბრის განაჩენით არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივრები, დ. ს-იას მიმართ წარდგენილი ბრალდება საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლიდან გადააკვალიფიცირა სსკ-ის 180-ე მუხლზე; ამასთან, მიზანშეუწონლად ჩათვალა მსჯავრდებულ დ. ს-იას მიმართ საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის გამოყენება და სასჯელის ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს სსკ-ის 540-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულ დ. ს-იას მდგომარეობა ფაქტობრივად გაუარესდა სხვა გზით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურორის სააპელაციო საჩივარი და ამასთან, სსკ-ის 50-ე მუხლის გამოყენება მიიჩნია მიზანშეუწონლად, რაზეც პროკურორს სააპელაციო საჩივარსა და სააპელაციო წესით საჩივრის განხილვის დროს არ უმსჯელია და არც მიუთითებია, რომ სასამართლოს მიერ მსჯავრდებულისათვის სასჯელის დანიშნის დროს სსკ-ის 50-ე მუხლის მეხუთე ნაწილი უსაფუძვლოდ იქნა გამოყენებული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ დ. ს-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 15 ნოემბრის განაჩენი დ. ს-იას მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 8. ქონების ჩამორთმევა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 1744

9 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),  
დ. სულაქველიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. ბ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ლ. კ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 სექტემბრის განაჩენზე, რომლითაც ლ. ბ-ძე ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით ლ. ბ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი, ლ. ბ-ძის კუთვნილი ა/მანქანა „ოპელ-ომეგა“ და მისი პირადი ჩხრეკისას ამოღებული თანხა – გადაეცა სახელმწიფო ბიუჯეტს.

იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 3 მარტიდან.

განაჩენით ლ. ბ-ძეს მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შექმნა-შენახვაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

ლ. ბ-ძემ განიზრახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შექმნა, გასაღების მიზნით. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მან გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, ასევე გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა 0,228 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი პრეპარატის – „სუბოტექსის“ 28 აბი და ერთი აბის ნატეხი. ლ. ბ-ძე აღნიშნული ნარკოტიკული ნივთიერების 26 აბს და ერთი აბის ნატეხს უკანონოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ ბინაში, აბაზანიდან სამზარეულო ოთახში გამავალ საკანალიზაციო პლასტმასის მილში, ხოლო 2 აბს – თავისი შარვლის უკანა, მარცხენა ჯიბეში.

2006 წლის 3 მარტს, დაახლოებით 22.05 საათზე, გატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში, ..., ბინა №44-ში, თავის საცხოვრებელ ბინაში დააკავეს ლ. ბ-ძ. გადაუდებელი აუცილებლობის გამო, კანონით დადგენილი წესით, გაჩხრიკეს მისი საცხოვრებელი ბინა, რა დროსაც სამზარეულოში, აბაზანიდან სამზარეულო ოთახში გამავალი საკანალიზაციო პლასტმასის მილიდან ამოიღეს ცისფერი პოლიეთილენის პარკში გახვეული, თავისავე კონვალუტაში მოთავსებული, 22 ცალი თეთრი, ოვალური ფორმის აბი, წარწერით – „ბ8“. იმავე მილიდან ამოიღეს ასანთის კოლოფი, რომელშიც აღმოჩნდა თავისავე კონვალუტაში მოთავსებული, 4 ცალი თეთრი, ოვალური ფორმის აბი წარწერით – „ბ8“ და თეთრი ფერის აბის ნატეხი. აღნიშნულის შემდეგ ლ. ბ-ძეს ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რის შედეგადაც მისი შარვლის მარცხენა, უკანა ჯიბიდან ამოღებულ იქნა ვერცხლისფერ ქაღალდში გახვეული, კონვალუტაში მოთავსებული, თეთრი, ოვალური ფორმის 2 აბი – წარწერით „ბ8“.

შსს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით ლ. ბ-ძის პირადი ჩხრეკისას ამოღებული 2 აბი, ასევე მისი ბინის ჩხრეკისას ამოღებული 26 აბი და 1 აბის ნატეხი წარმოადგენს პრეპარატ „სუბოტექსს“, რომელიც შეიცავს ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინს“, საერთო წონით – 0, 228 გრამს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ლ. ბ-ძის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა. აპელანტმა ითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და ლ. ბ-ძის გამართლება. აღნიშნულის საფუძველად ადვოკატმა მიუთითა შემდეგ გარემოებებზე: აპელანტის მითითებით, არც გამოძიებამ და არც პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დაკითხეს მოწმე ლ. ც-ძე და მეზობლები, რომელთა დაკითხვაც დაცვის მხარემ იშუამდგომლა. ადვოკატის განცხადებით, სასამართლომ არ შეაფასა ის ფაქტი, რომ თუ დამნაშავეს სახლში სამხილი აქვს, იგი პატრულს არ გამოიძახებდა, ან სოდ-ის თანამშრომლები მასთან შესვლას რომ ცდილობდნენ, ამ სამხილს გაანადგურებდა. აპელანტის მითითებით, საქმეში არსებული ბინის ჩხრეკის ოქმი დაუშვებელი მტკიცებულებაა, ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობის პირობა. ადვოკატის შეფასებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით ლ. ბ-ძეს სრულიად

უსამართლოდ ჩამოერთვა ავტომანქანა „ოპელ-ომეგა“, რომელიც მისი სიძის საკუთრება იყო და ფული, რომელიც ოჯახის საკუთრებას წარმოადგენდა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულის ადვოკატმა ლ. ბ-ძის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 სექტემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ლ. ბ-ძის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ლ. კ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლომ დაარღვია საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნები სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად საქმის გამოკვლევის შესახებ; გამამტყუნებელი განაჩენი ემყარება ეჭვებსა და ვარაუდებს; მტკიცებულებები მოპოვებულია საპროცესო ნორმების დარღვევით. ამდენად, ადვოკატმა ლ. კ-ძემ ითხოვა გასაჩივრებული უკანონო განაჩენის გაუქმება, სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტა ლ. ბ-ძის მიმართ, მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო და მსჯავრდებულის გამართლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ მსჯავრდებულ ლ. ბ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ლ. კ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგი გარემოებების გამო:

პალატა არ იზიარებს ადვოკატ ლ. კ-ძის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას სააპელაციო სასამართლოს უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმების, ლ. ბ-ძის მიმართ საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ, უსაფუძვლობის გამო.

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულ ლ. ბ-ძის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები.

პალატას მიაჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მოწმეების – დ. ყვანიასა და თემურ მესხიშვილის ჩვენებებით, ეჭვიმტანილის დაკავების, ლ. ბ-ძის ბინისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით, სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის №289/სქ დასკვნით, ნივთმტკიცებად ცნობის დადგენილებებითა და საქმის სხვა მასალებით მსჯავრდებულისათვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და, პალატის აზრით, სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ლ. ბ-ძის კუთვნილი ა/მანქანის – „ოპელ-ომეგას“ და მისი პირადი ჩხრეკისას ამოღებული თანხის ჩამორთმევასა და სახელმწიფო ბიუჯეტისათვის გადაცემას, პალატის აზრით, არასწორია, რადგან სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, ქონების ჩამორთმევა ნიშნავს დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას. იმავე მუხლის III ნაწილის საფუძველზე კი: „დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა სასამართლოს მიერ ხდება იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ ეს ქონება დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული“.

განაჩენით დადგენილადაა მიჩნეული, რომ ლ. ბ-ძემ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების განსაკუთრებით დიდი ოდენობით შექმნა, შენახვა და არა გასაღება. ავტომანქანის ჩხრეკის ოქმით დადგენილია, რომ ლ. ბ-ძის ა/მანქანის – „ოპელ-ომეგას“ ჩხრეკის შედეგად არაფერი აღმოჩენილა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობდა სსკ-ის 52-ე მუხლის გამოყენების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 სექტემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ლ. ბ-ძის სასიკეთოდ, კერძოდ: სააპელაციო სასამართლოს განაჩენიდან უნდა

ამორიცხოს მითითება საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი, ა/მანქანა „ოპელ-ომეგასა“ და მისი პირადი ჩხრეკისას ამოღებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის გადაცემის შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლით, სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ლ. ბ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ლ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 სექტემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ:

მსჯავრდებულ ლ. ბ-ეს განაჩენიდან ამორიცხოს მითითება საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ა/მანქანის – „ოპელ-ომეგასა“ და მისი პირადი ჩხრეკისას ამოღებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის გადაცემის შესახებ და აღნიშნული ნივთმტკიცებები დაუბრუნდეს მესაკუთრეს ან კანონიერ მფლობელს.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **9. მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გამოკვლევა**

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 623-აპ 14 თებერვალი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),

ი. ტყეშელაშვილი,

მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ შ. გ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2005 წლის 21 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ახალგორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 27 მაისის განაჩენით კ. ქ-ური ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 118-ე მუხლის პირველი ნაწილით, იმაში, რომ ჩაიდინა მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით, რამაც ფიზიკური პირის უფლებების არსებითი დარღვევა გამოიწვია; მანვე ჩაიდინა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება, რაც დაკავშირებულია ჯანმრთელობის ხანგრძლივ მოშლასთან, რაც გამოიხატა შემდეგში:

2004 წლის 5 ივლისს, ახალგორის შ/ს რაიონული განყოფილების მუშაკები: ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის ინსპექტორი, პოლიციის ლეიტენანტი რ. ჩ-შვილი, უბნის ინსპექტორი, პოლიციის ლეიტენანტი გ. ბ-შვილი და საგზაო პოლიციის ინსპექტორი, პოლიციის სერჟანტი კ. ქ-ური ასრულებდნენ სამსახურებრივ მოვალეობას დაბა ახალგორის თავისუფლების მოედანზე. დაახლოებით 22 საათზე, აღნიშნულ მოედანზე გაიარეს დაბა ახალგორში მცხოვრებმა მ. ბ-შვილმა, მ. პ-შვილმა, მ. კ-შვილმა და გ. მ-შვილმა. პოლიციელმა რ. ჩ-შვილმა თავისთან მოუხმო მ. პ-შვილს და ჩასვა ავტომანქანა „უაზ-469“-ში ვითარების გარკვევის მიზნით,

პოლიციელ რ. ჩ-შვილთან მივიდა მ. ბ-შვილი და დაინტერესდა, თუ რატომ ჩაისვეს პოლიციელებმა მანქანაში მ. პ-შვილი. პოლიციელმა რ. ჩ-შვილმა მ. ბ-შვილს უპასუხა, რომ რაც ხდებოდა მის საქმე არ იყო, სითხით სავსე პლასტმასის ბოთლი ორჯერ ჩაარტყა სახის არეში და მიაყენა სიტყვიერი შეურაცყოფა. ამ დროს მოვიდნენ იქვე მყოფი პოლიციელები გ. ბ-შვილი და კ. ქ-ური, ამ უკანასკნელმა მ. ბ-შვილის ამოუტრიალა ხელი, ხოლო გ. ბ-შვილმა, მუშტი ჩაარტყა თავში, რის შემდეგაც პოლიციელმა გ. ბ-შვილმა, კ. ქ-ურმა და რ. ჩ-შვილმა მ. ბ-შვილი წააქციეს, სამივემ განაგრძეს ამ უკანასკნელის ცემა და სიტყვიერი შეურაცყოფის მიყენება, რა დროსაც მ. ბ-შვილმა მიიღო სხეულის ნაკლებად მძიმე ზარისხის დაზიანება, ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლით და იქვე მყოფმა მ. პ-შვილმა, გ. პ-შვილმა, გ. მ-შვილმა, დ. ი-ძემ, ნ. ი-ძემ და მ. კ-შვილმა მოახერხეს მ. ბ-შვილის აღნიშნული ადგილიდან გარიდება და მიიყვანეს სახლში.

ახალგორის რაიონული სასამართლოს განაჩენით, კ. ქ-ურს სასჯელის ზომად განუსაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ კ. ქ-ურის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ა. მგალობლიშვილმა და მოითხოვა რაიონული სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელის პირობით შეცვლა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2005 წლის 21 ოქტომბრის განაჩენით ახალგორის რაიონული სასამართლოს განაჩენი შეიცვალა: კ. ქ-ურს დანიშნული სასჯელი, სსკ-ის 63-64-ე მუხლების გამოყენებით, შეეცვალა პირობით – 3 წლის გამოსაცდელი ვადით.

პროკურორი შ. გ-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს სააპელაციო პალატის განაჩენის გაუქმებას და სისხლის სამართლის საქმის დაბრუნებას იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად იმ მოტივით, რომ სასამართლოს მიერ გამოყენებული პირობითი მსჯავრი არის აშკარა ღმობიერი და არ შეესაბამება განსასჯელის ქმედების ხასიათს.

სამოტივაციო ნაწილი:

შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ პროკურორ შ. გ-ძის საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის საოლქო სასამართლომ მსჯავრდებულის ქმედება სწორად დააკვალიფიცირა. კ. ქ-ურის მიერ ჩადენილი დანაშაული დადასტურებულია დაზარალებულ მ. ბ-შვილის, მოწმეების გ. პ-შვილის, ა. მორბედაძის, მ. პ-შვილის, დ. ილურიძის და სხვათა ჩვენებებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებით და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით. რაც შეეხება კ. ქ-ურის მიმართ დანიშნული სასჯელის პირობით ჩათვლას, იგი მეტისმეტად მსუბუქი და, შესაბამისად, უსამართლოა, შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასჯელის დანიშნვისას სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, მათ შორის – ქმედების განხორციელების სახეს, ხერხს, მართლსაწინააღმდეგო შედეგს. საკასაციო პალატა თვლის, რომ საოლქო სასამართლომ, იმსჯელა რა მსჯავრდებულის პიროვნულ მახასიათებლებზე, სათანადო ყურადღება არ მიაქცია მის მიერ ჩადენილი ქმედების განხორციელების სახეს, ხერხს და მართლსაწინააღმდეგო შედეგს.

ზემოაღნიშნული გამო, პალატის განაჩენი კ. ქ-ურის მიმართ უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეცეს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც სრულყოფილად უნდა გამოიკვილოს მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, გაითვალისწინოს არა მხოლოდ პიროვნების მახასიათებლები, არამედ ქმედების განხორციელების სახე, ხერხი, მართლსაწინააღმდეგო შედეგი და მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 570-ე მუხლის პირველი ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

პროკურორ შ. გ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს:

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2005 წლის 21 ოქტომბრის განაჩენი კ. ქ-ურის მიმართ გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სხვა შემადგენლობას.  
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 10. სასჯელის დანიშვნა დანაშაულის რეციდივის დროს

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 1033-აპ

28 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),  
ზ. მენიშვილი,  
ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 აპრილის განაჩენზე, რომლითაც რ. ბ-ძე ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

განაჩენით რ. ბ-ძეს მსჯავრი დაედო მასში, რომ მან ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

რ. ბ-ძე 2003 წლის 23 სექტემბერს გასამართლებული იყო სამტრედიის რაიონული სასამართლოს მიერ, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. რ. ბ-ძე არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა დანაშაული, კერძოდ, მან დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა 0,6 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“, რომელიც შეინახა ჯინსის შარვლის წინა, მარცხენა ჯიბეში. 2006 წლის 20 აგვისტოს რ. ბ-ძეს ქუთაისის შს სამმართველოს პოლიციის №3 განყოფილების მუშაკებმა ჩაუტარეს პირადი ჩხრეკა, რა დროსაც ამოღებულ იქნა ზემოხსენებული ნარკოტიკული ნივთიერება. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 5 მარტის განაჩენით რ. ბ-ძე ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილით და სასჯელად შეეფარდა – 7 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულმა რ. ბ-ძემ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანა. მან აღნიშნა, რომ აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, აქვს უმძიმესი ოჯახური მდგომარეობა, ჰყავს მოხუცი მშობლები, ავადმყოფი და. მსჯავრდებულმა მოითხოვა სასჯელის შემსუბუქება და 3 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 აპრილის განაჩენით ცვლილება შევიდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 5 მარტის განაჩენის სასჯელის ნაწილში და მსჯავრდებულ რ. ბ-ძეს სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 აპრილის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა რ. ბ-ძემ და მოითხოვა სასჯელის შემსუბუქება.



სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატას მიაჩნია, რომ მოწმეთა ჩვენებებით, ჩხრეკის ოქმით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით, მსჯავრდებულის მიერ ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

პალატას მიაჩნია, რომ სასჯელის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოებები: სასამართლომ, სასჯელის დანიშვნისას გათვალისწინა ის გარემოება, რომ სახეზე იყო დანაშაულის საშიში რეციდივი. დღეს მოქმედი სსკ-ის 58-ე მუხლის თანახმად დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე ერთი წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას. აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებული აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, პალატა შესაძლებლად მიიჩნევს, რომ რ. ბ-ძეს, შეფარდებული სასჯელი – 6 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს 1 წლით და 6 თვით და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ რ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 აპრილის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ, რ. ბ-ძეს შეფარდებული სასჯელი – 6 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს 1 წლით და 6 თვით და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სასჯელის დანიშვნა დანაშაულის რეციდივის დროს

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 1090-აპ

28 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),

ზ. მეიშვილი,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ლ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 მაისის განაჩენზე, რომლითაც ა. ლ-ძე ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და 273-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

განაჩენით ა. ლ-ძეს მსჯავრი დაედო მასში, რომ მან ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების უკანონო გადაზიდვა და შენახვა, აგრეთვე ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, რაც გამოიხატა შემდეგში:

ა. ლ-ძე 2003 წლის 18 ივლისს გასამართლებული იყო რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ, საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. ა. ლ-ძე სასჯელის მოხდის შემდეგ არ დაადგა გამოსწორების გზას და ექიმის დანიშნულების გარეშე მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, რის გამოც რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ 2006 წლის 9 ოქტომბერს დაედო ადმინისტრაციული სახდელი და დაჯარიმდა 500 ლარით. ამის შემდეგ, 2006 წლის 2 დეკემბერს, ა. ლ-ძემ ექიმის დანიშნულების გარეშე კვლავ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება. კერძოდ, იმავე დღეს ჩატარებული შემოწმების შედეგად მას დაუდგინდა ოპიუმის ჯგუფის (ბუპრენორფინი) ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი.

ა. ლ-ძეს ამავე განაჩენით მსჯავრი დაედო კიდევ იმაში, რომ 2006 წლის 2 დეკემბერს გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, ასევე გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა 15,6 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ შეინახა ყავისფერი ქურთუკის მარჯვენა ჯიბეში და გადაზიდა საცხოვრებელი ბინის მიმართულებით, რა დროსაც იგი დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 2 მარტის განაჩენით ა. ლ-ძე ცნობილი იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა; 273-ე მუხლით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. ა. ლ-ძეს საბოლოოდ სასჯელად შეეფარდა – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ა. ლ-ძემ. საჩივარში მან მიუთითა, რომ საქმეზე საამართლო განხილვა ჩატარდა არასრულყოფილად, არაობიექტურად და მოითხოვა მის მიმართ კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

საქმის სააპელაციო წესით განხილვის დროს მსჯავრდებულმა ა. ლ-ძემ დააზუსტა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის შეფარდებული სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 მაისის განაჩენით რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 2 მარტის განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 მაისის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ა. ლ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. მან აღნიშნა, რომ აღიარებს დანაშაულს, არის მძიმე ავადმყოფი, ჰყავს მოხუცი მშობლები და ითხოვა სასჯელის შემსუბუქება 3 წლამდე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, მოწმეთა ჩვენებებით, ჩხრეკის ოქმით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით, მსჯავრდებულის მიერ ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

პალატას მიაჩნია, რომ სასჯელის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოებები: სასამართლომ, სასჯელის დანიშნისას გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სახეზე იყო დანაშაულის რეციდივი. დღეს მოქმედი სსკ-ის 58-ე მუხლის თანახმად დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე ერთი წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას. აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებული აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, პალატა შესაძლებლად მიიჩნევს, რომ ა. ლ-ძეს, სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული

სასჯელი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს 1 წლით და 6 თვით და აღნიშნული მუხლით მას სასჯელის ზომად განესაზღვროს 3 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც უნდა დაემატოს სსკ-ის 273-ე მუხლით განსაზღვრული სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და ა. ლ-ძეს საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. ლ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 მაისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ, ა. ლ-ძეს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სასჯელის დანიშვნა დანაშაულის რეციდივის დროს

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 1902-აპ

25 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ზესტაფონის პროკურატურის განყოფილების პროკურორი ი. კ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის განაჩენზე, რომლითაც გ. ზ-ძე ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით – 2007 წლის 5 მაისისა და 2007 წლის 31 ივლისის კპიზოდებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 9 აგვისტოს განაჩენით გ. ზ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით – 2007 წლის 5 მაისისა და 2007 წლის 31 ივლისის ეპიზოდებში და შეეფარდა 6-6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის გამოყენებით, შეკრების პრინციპით, მას სასჯელად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის V ნაწილის საფუძველზე, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი – 3 წელი და გ. ზ-ძეს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გ. ზ-ძეს სასჯელის მოხდაში ჩათვალა წინა განაჩენით პატიმრობაში ყოფნის დრო – 2 თვე, 14 დღე და სასჯელის მოხდა დაეწყო დაკავების დღიდან, 2007 წლის 31 ივლისიდან.

განაჩენით გ. ზ-ძეს მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 13 ოქტომბერს, გ. ზ-ძე დაკავებულ იქნა რა ქალაქ რუსთავის შს სამმართველოს თანამშრომლების მიერ, შემოწმებულ იქნა ნარკოტიკულ თრობაზე სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში. კლინიკური გამოკვლევის №4533 დასკვნის თანახმად მას დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბოლინის“ (მარიხუანა) მოხმარების ფაქტი. აღნიშნულის გამო გ. ზ-ძეს, 2006 წლის 23 ოქტომბრის, რუსთავის საქალაქო სასამართლოს დადგენილებით, დაელო ადმინისტრაციული სახდელი, დაპატიმრება – 10 დღით. 2007 წლის 5 მაისს ქალაქ რუსთავის შს სამმართველოს თანამშრომლების მიერ გ. ზ-ძე განმეორებით იქნა დაკავებული და შემოწმებული საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ განყოფილებაში ნარკოტიკულ თრობაზე, რა დროსაც ლაბორატორიული გამოკვლევის №1423 დასკვნის თანახმად დაუდგინდა „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი.

მანვე, 2007 წლის ივლისის თვეში, იმყოფებოდა რა ქალაქ ბათუმში, ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული ნივთიერება, რის შემდეგაც, 2007 წლის 31 ივლისს, საქართველოს შს ხარაგაულის რაიონული განყოფილების თანამშრომლების მიერ დაკავებულ და გადაყვანილ იქნა საქართველოს რევიონალურ სამსახურში, სადაც ჩატარებული კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევის №2473 დასკვნით, დადგინდა ნარკოტიკული საშუალება „ოპიუმის“ ჯგუფის მოხმარების ფაქტი.

აპელანტი, სახელმწიფო ბრალმდებელი, ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორი, ი. კ-ძე თავისი სააპელაციო საჩივრით ითხოვს ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 9 აგვისტოს განაჩენში მსჯავრდებულისათვის საუარესო ცვლილების შეტანას, კერძოდ, გასაჩივრებული განაჩენით დანიშნული სასჯელის დამძიმებას და მისთვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას 5 წლის.

ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 9 აგვისტოს განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელი, ხოლო სახელმწიფო ბრალმდებლის, ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორის, ი. კ-ძის სააპელაციო საჩივარი დაუკმაყოფილებელი შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრდებულ გ. ზ-ძის ქმედებას მიცემული აქვს სწორი იურიდიული კვალიფიკაცია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით. განაჩენის დასაბუთებულობა და კანონიერება არც სააპელაციო საჩივრით არა სადაოდ მიჩნეული.

რაც შეეხება მსჯავრდებულ გ. ზ-ძის მიმართ, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის სახესა და ზომას, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის პირველადი მასხაიათებლების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს იგი არ მიაჩნია უსამართლოდ და შესაბამისად, შესაძლებლად არ მიიჩნევს, გასაჩივრებულ განაჩენში შეტანილ იქნეს მსჯავრდებულისათვის საუარესო ცვლილება დანიშნული სასჯელის გამკაცრების თვალსაზრისით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ოქტომბრის განაჩენით ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 9 აგვისტოს განაჩენი გ. ზ-ძის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ი. კ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორმა ითხოვა სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება სასამართლოში ხელახალი სასამართლო განხილვისათვის მისი გამკაცრების მიზნით.

საქმის მასალებიდან გამომდინარე მსჯავრდებულმა გ. ზ-ძემ, რომელიც წინათ ნასამართლევი იყო განზრახი დანაშაულისათვის ჩაიდინა ახალი განზრახი დანაშაული, ანუ საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლის შესაბამისად სახეჭეა დანაშაულის რეციდივი, რის გამოც გ. ზ-ძეს სასჯელი უნდა შეფარდებოდა საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით, რომლის თანახმადაც: „დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას“.

იმის გამო, რომ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლი მაქსიმალური სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1 წლამდე ვადით გ. ზ-ძეს ვერ შეეფარდებოდა სასჯელის მინიმალურ ვადაზე 1 წლით მეტი სასჯელი, თუმცა სასამართლოს ასეთ შემთხვევაში 2007 წლის 5 მაისის ეპიზოდში უნდა დაენიშნა სასჯელის მაქსიმალური ვადა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ

სასამართლომ დაარღვია რა კანონით დადგენილი ზემოაღნიშნული წესი გ. ზ-ძეს აღნიშნულ ეპიზოდში შეუფარდა სასჯელის მინიმალური ზომა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

რაც შეეხება 2007 წლის 31 ივლისის ეპიზოდს, აღნიშნულ ეპიზოდში სასამართლომ გ. ზ-ძეს უსაფუძვლოდ შეუფარდა ასევე სასჯელის მინიმალური ზომა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და არ გაითვალისწინა გ. ზ-ძის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი ის გარემოება, რომ იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და განმეორებით ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული განზრახვი დანაშაული.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განაჩენი უკანონოა, ვინაიდან სასჯელი დანიშნულია კანონით დადგენილი წესის დარღვევით, იგი არ შეესაბამება დამნაშავეს პიროვნებასა და ჩადენილი ქმედების ხასიათს. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენში ჩამოყალიბებული დებულებები, არასწორად გამოიყენა სისხლის სამართლის კანონი, კერძოდ საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არასწორად გამოიყენა რა სისხლის სამართლის კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნები არ გაითვალისწინა სასჯელის დანიშვნის კანონით დადგენილი წესი, მსჯავრდებულ გ. ზ-ძის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი ის გარემოება, რომ იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და განმეორებით ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული განზრახვი დანაშაული და გ. ზ-ძეს შეუფარდა ზედმეტად ლობიერი სასჯელი, რაც, როგორც უსამართლო, თავისი ზომით ამკარად შეუსაბამოა მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და პიროვნებასთან და ვერ მოახდენს მასზე სათანადო ზემოქმედებას, შესაბამისად მიღწეული ვერ იქნება სასჯელის მიზნები.

საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულ გ. ზ-ძის აღიარებითი ჩვენებით, მშობლის – თ. ზ-ძის ჩვენებით, საქსპერტო-კრიმინალისტიკური ექსპერტიზისა და კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევის დასკვნებით, მსჯავრდებულზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია, მაგრამ, პალატის აზრით სწორი სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული.

სამოტივაციო ნაწილი:

სააპელაციო სასამართლო საქმეში არსებული მტკიცებულებების გათვალისწინებით დადგენილად მიიჩნევს, რომ გ. ბ-შვილმა საქართველოში უკანონოდ შემოიტანა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, თუმცა გ. ბ-შვილის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდების მოხსნის, ამ კოდექსის 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მისი დამნაშავედ ცნობის საფუძვლად, განაჩენში უთითებს მხოლოდ შემდეგ გარემოებაზე: „სასამართლოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის წარდგენილი ბრალდება, ვინაიდან მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ამ კვალიფიკაციით გათვალისწინებულ ქმედებას მთლიანად მოიცავს სსკ-ის 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, რომლითაც მსჯავრდებულია გ. ბ-შვილი“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 ოქტომბრის განაჩენი გ. ბ-შვილის მიმართ, მისი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გამართლების ნაწილში არის უკანონო და ის უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებებით ცალსახად არის დადასტურებული, რომ გ. ბ-შვილის მიერ 2007 წლის 30 იანვარს საქართველოში უკანონოდ იქნა შემოტანილი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“. დადასტურებულია ისიც, რომ ამ ფაქტს წინ უსწრებდა დასახელებული ნივთიერების საქართველოს საზღვრის გარეთ უკანონოდ შექმნა, შენახვა. შესაბამისად, სახეზე გვაქვს განსასჯელის მიერ, სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული ორი დამოუკიდებელი დანაშაულის ჩადენა: ერთი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა და შენახვა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. მეორე კი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანა,

დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

სასამართლოს განაჩენი რომ უკანონოა ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად ცნო მსჯავრდებულის მხრიდან საქართველოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემოტანა და გ. ბ-შვილი გაამართლა იმავე განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოს ფარგლებს გარეთ შეტენასა და შენახვაში, მაშინ როცა ეს ორი დანაშაული ცალ-ცალკე იქნა ჩადენილი და არც ერთი მათგანი არ გამორიცხავს ერთდროულად ჩადენის შესაძლებლობას.

გ. ბ-შვილის ქმედება წინაწარი გამოიძებისა და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სრულიად სამართლიანად და კანონიერად იქნა დაკვალიფიცირებული სისხლის სამართლის კოდექსის ორი სხვადასხვა მუხლით, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის დისპოზიცია არ მოიცავს ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეტენასა და შენახვას, დასჯად ქმედებად ხდის მხოლოდ ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანას, რის გამოც ის უნდა შეფასდეს დამოუკიდებელ დანაშაულად და მიეცეს შესაბამისი კვალიფიკაცია, ისევე როგორც ცალკე უნდა დაკვალიფიცირდეს გ. ბ-შვილის მიერ უკანონოდ შეტენილი და შენახული ნარკოტიკული საშუალების საქართველოში შემოტანა.

ამდენად, სახელმწიფო ბრალდებას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, განსასჯელ გ. ბ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაულები უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. სასჯელები დაინიშნოს ოყველი დანაშაულისათვის, რის შემდეგაც გამოყენებულ იქნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლით დადგენილი სასჯელთა შეკრების წესი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 17 ოქტომბრის განაჩენი არის უკანონო.

## 11. სასჯელთა შეჯამება (დანიშვნა) განაჩენთა ერთობლიობის დროს

სასჯელის დანიშვნა განაჩენთა ერთობლიობის დროს

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 1-აპ17 იანვარი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

ზ. მეიშვილი,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ჭიათურის რაიონული პროკურატურის პროკურორ ტ. ჩ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2005 წლის 17 ნოემბრის განაჩენზე ე. ქ-ძის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

ე. ქ-ძე ჭიათურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 28 სექტემბრის განაჩენით ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რის გამოც მას საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის (2004 წლის 13 თებერვლის რედაქცია) საფუძველზე სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რასაც ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის

მოუხდელი ნაწილიდან 6 თვე და საბოლოოდ მას დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 6 თვის ვადით.

განაჩენის მიხედვით, ე. ქ-ძეს ბრალი დაედო ქურდობაში, ჩადენილი არაერთგზის და საცავში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

2004 წლის 27 აგვისტოს, ღამის საათებში, ე. ქ-ძემ უკანონოდ შეაღწია ქ. საჩხერეში, ... ქუჩის №5-ში მდებარე, ნ. ჩ-ძის კუთვნილ სამეურნეო საქონლის მაღაზიაში, საიდანაც გაიტაცა სხვადასხვა ნივთი, რითაც დაზარალებულს მიაყენა 180 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ჭიათურის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ტ. ჩ-ძემ, რომელიც ითხოვდა მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის დამძიმებას, და მსჯავრდებულმა ე. ქ-ძემ, რომელიც საჩივრით ითხოვდა დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2005 წლის 17 ნოემბრის განაჩენით ცვლილება იქნა შეტანილი ჭიათურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 28 სექტემბრის განაჩენში, კერძოდ, მსჯავრდებულ ე. ქ-ძეს შეფარდებული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 6 თვის ვადით – შეუმცირდა 10 თვემდე, რაც, წინასწარ პატიმრობაში მისი ყოფნის ვადის გათვალისწინებით, მას ჩაეთვალა მოხდილად და იგი გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე ჭიათურის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ტ. ჩ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. პროკურორი ტ. ჩ-ძე საჩივრით ითხოვს სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და ე. ქ-ძის მიმართ საქმის იმავე სასამართლოში დაბრუნებას ახალი სასამართლო განხილვისათვის, მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის გამკაცრების მიზნით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ჭიათურის რაიონულმა სასამართლომ მსჯავრდებულ ე. ქ-ძის მიმართ სასჯელის შეფარდებისას არასწორად გამოიყენა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი სასჯელის დანიშნვის წესები, კერძოდ, როგორც სააპელაციო სასამართლოს განაჩენშია აღნიშნული, რაიონულ სასამართლოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე უნდა დაენიშნა ერთი სასჯელი. მხოლოდ ამ დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრის შემდეგ უნდა გამოეყენებინა სასამართლოს მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელის შესამცირებლად საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლი (2004 წლის 13 თებერვლის რედაქცია).

ამავე დროს, მსჯავრდებულ ე. ქ-ძის მიმართ სასჯელის დანიშნისას არასწორად გამოიყენა კანონი ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, როდესაც მსჯავრდებულს ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის ზომად დაუნიშნა თავისუფლების აღკვეთა 8 თვის ვადით, რასაც წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან დაუმატა 2 თვე და მთლიანობაში განუსაზღვრა 10 თვით თავისუფლების აღკვეთა. დარღვევა იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს სსკ-ის მე-60 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული საბოლოო სასჯელი მეტი უნდა იყოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილზე, ხოლო მსჯავრდებულ ე. ქ-ძეს წინა განაჩენით დანიშნული ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, რაც მას ჩათვლილი ჰქონდა პირობით. ახალი დანაშაული კი მან ჩაიდინა გამოსაცდელ ვადაში, ე.ი. მისი მოუხდელი სასჯელი იყო თავისუფლების აღკვეთა 1 წლით. ამიტომ სააპელაციო სასამართლოს თავისი განაჩენით მსჯავრდებულ ე. ქ-ძისათვის თავისუფლების აღკვეთა უნდა დაენიშნა ერთ წელზე მეტი ვადით.

ამრიგად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ დაუშვა საქართველოს სსკ-ის 562-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტითა და 564-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევა – სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენება, კერძოდ, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რის გამოც მსჯავრდებულ ე. ქ-ძეს დაენიშნა არაკანონიერი სასჯელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2005 წლის 17 ნოემბრის

განაჩენი ე. ქ-ძის მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის უნდა გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 562-ე, 564-ე და 568-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ჭიათურის რაიონული პროკურატურის პროკურორ ტ. ჩ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2005 წლის 17 ნოემბრის განაჩენი ე. ქ-ძის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### სასჯელთა შეჯამება განაჩენთა ერთობლიობის დროს

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 49-აპ 12 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე), მ. ოშხარელი, ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. მ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ნოემბრის განაჩენზე ზ. მ-ძის, ლ. ხ-ძისა და რ. ო-ნის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 4 ივლისის განაჩენით ცნობილ იქნენ დამნაშავეებად:

1. ზ. მ-ძე საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

2. ლ. ხ-ძე გამართლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არაერთგზის;

3. რ. ო-ნი საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; ასევე – ხულიგნობა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა.

ზ. მ-ძის, ლ. ხ-ძისა და რ. ო-ნის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ლ. ხ-ძეს ვანის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 13 თებერვლის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალია პირობით, 4 წლის



გამოსაცდელი ვადით. ნასამართლობის გაქარწყლებამდე მან კვლავ ჩაიდინა ახალი დანაშაული, კერძოდ:

2006 წლის 1 დეკემბერს, დაახლოებით 1 საათზე, ლ. ხ-ძე ზ. მ-ძესთან, რ. ონიანსა და დაუდგენელ პირებთან ერთად იმყოფებოდა ბათუმში, ... და ... ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე კაფე-ბარში. მათ ვგუფურად, სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, დანის მუქარით გ. დ-ძეს მართლსაწინააღმდეგოდ წაართვეს ფული – 70 ლარი, ასევე შავი ტყავის ქურთუკი, ღირებული 70 აშშ დოლარად და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. აღნიშნული ქმედებით დაზარალებულს სულ მიადგა 180 ლარის ზიანი.

2006 წლის 25 აპრილს, დაახლოებით 24 საათზე, მთვრალი რ. ო-ნი მივიდა ბათუმში, ... ქ. №37-ში მდებარე, თ. ჩ-ძის კუთვნილ კაფე-ბარ „ოქროს ლომში“, სადაც ამ უკანასკნელის მიმართ უმიზეზოდ გამოხატა აშკარა უპატივცემულობა, მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, იგინებოდა ხმამაღლა, დაემუქრა მოკვლით და დაამტვრია კაფე-ბარში მდგარი მაგიდა და სკამი. რ. ო-ნის ასეთი ქმედება გრძელდებოდა დაახლოებით 15 წუთს, რის შემდეგაც თ. ჩ-ძემ გამოიძახა პოლიციის თანამშრომლები, ხოლო რ. ო-ნი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

რ. ონიანმა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და თავის საცხოვრებელ ბინაში ინახავდა „მაკაროვის“ სისტემის №38352 9 მმ კალიბრის პისტოლეტს, რომელიც, სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით, მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის. აღნიშნული პისტოლეტი 2006 წლის 3 დეკემბერს რ. ო-ნის საცხოვრებელ ბინაში, მდებარე ბათუმში, ... ქ. №44-ში, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად იქნა ამოღებული.

აღნიშნული ქმედებისათვის ზ. მ-ძეს მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რ. ონიანს საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით, ხოლო ლ. ხ-ძეს – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით აღნიშნული სასჯელი – 4 წელი და საბოლოოდ მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ზ. მ-ძეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 2 დეკემბრიდან, ხოლო ლ. ხ-ძესა და რ. ონიანს – 2006 წლის 3 დეკემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ ზ. მ-ძის ადვოკატმა გ. ბ-ძემ და მსჯავრდებულმა ლ. ხ-ძემ.

ადვოკატმა გ. ბ-ძემ სააპელაციო საჩივრით ითხოვა ზ. მ-ძის ქმედების ძარცვით დაკვალიფიცირება, ასევე – დაზარალებულის დაკითხვა, ხოლო მსჯავრდებულმა ლ. ხ-ძემ – სასჯელის შემსუბუქება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 4 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებული ზ. მ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე გამოიტანა განაჩენი, რომ სხდომას არ დაასწრო არც თავად მსჯავრდებული და არც მისი ინტერესების დამცველი; საქმეში მონაწილეობდა მისთვის უცნობი ადვოკატი, რომელიც არ მისულა მსჯავრდებულთან; ზ. მ-ძეს წაერთვა კონსტიტუციით მინიჭებული უფლება; სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად არ იმსჯელა სააპელაციო საჩივარში მითითებულ მოთხოვნებზე და განაჩენში მიუთითა არარსებულ ფაქტებზე, რის გამოც განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული ზ. მ-ძე ითხოვს თავისი საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობასა და არსებითად განხილვას.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სსსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პალატამ შეისწავლა საქმე სრული მოცულობით, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განაჩენით ლ. ხ-ძისათვის აღნიშნულ სასჯელს დაემატა ვანის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 13 თებერვლის განაჩენით აღნიშნული სასჯელი – 4 წელი. ამ განაჩენით ლ. ხ-ძეს მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, ამავე ვადით.

ვანის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 13 თებერვლის განაჩენში აღნიშნული, ლ. ხ-ძის ჩვენების შესაბამისად, იგი დააკავეს 2004 წლის 21 იანვარს.

საკასაციო პალატამ არაერთხელ განმარტა, რომ სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს უნდა დაემატოს არა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი, არამედ მისი მოუხდელი ნაწილი, რომლის სახე და ზომა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ზუსტად უნდა დადგინდეს.

აღნიშნულის გამო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც უნდა გაარკვიოს, წინა განაჩენით დადგენილი დანაშაულისათვის ლ. ხ-ძე იყო თუ არა დაკავებული ან დაპატიმრებული, დადებით შემთხვევაში – რა ვადით, რის შემდეგ უნდა მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეშია ზ. მ-ძის პირადობის მოწმობის ასლი და გასაჩივრებულ განაჩენში მსჯავრდებული არასწორად მოიხსენიება როგორც ზ. მ-ძე.

იმის გამო, რომ საქმე უნდა გაიგზავნოს ახალი სასამართლო განხილვისათვის, საკასაციო პალატა არ მსჯელობს მსჯავრდებულ ზ. მ-ძის საჩივრის მოტივებზე და რ. ო-ნის მიმართ სააპელაციო პალატის განაჩენის კანონიერებაზე, დასაბუთებულობასა და სამართლიანობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ნოემბრის განაჩენი ზ. მ-ძის, ლ. ხ-ძისა და რ. ო-ნის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.  
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სასჯელთა შევამება განაჩენთა ერთობლიობის დროს

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 587-აპ 8 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),

ლ. მურუსიძე,

დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ს. ა-ვის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 29 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 დეკემბრის განაჩენით ს. ა-ვი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდისაგან გათავისუფლდა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის შესაბამისად. ს. ა-ვი ასევე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 151-ე მუხლით და სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ მიესაჯა 4 წლით, 11 თვით და 23 დღით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 9 ოქტომბრიდან.

დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, მეუღლეზე და შვილზე განაწილებული ს. ა-იანი 2007 წლის 4 ოქტომბერს, დაახლოებით 22 საათზე მივიდა მეუღლის – ნ. ნ-იანის დის ბინასთან და ითხოვა სახლში შეშვება. აგრესიული ს. ალოანის დანახვაზე ე. ნ-იანმა ბინის კარი არ გააღო და სიძეს წასვლა სთხოვა. მსჯავრდებულმა ფეხებითა და დანის ტარით ჩამტვრია კარებისა და ფანჯრების მინები, რითაც დაზარალებულს მიაყენა 170 ლარის ოდენობის მატერიალური ზიანი. ამის შედეგად ს. ა-იანმა შეაღწია ბინაში და დანის გამოყენებით, მოკვლით დაემუქრა იქ მყოფ ე. და ნ. ნ-იანებს, ასევე – ნ. ს-იანს. ხმაურზე სახლში შეიკრიბნენ მეზობლები, რის გამოც ს. ალოანმა დატოვა შემთხვევის ადგილი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და მოითხოვა მისთვის დანიშნული ჯარიმის – 2000 ლარის შემცირება 500 ლარამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 28 თებერვლის განაჩენით პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებული ს. ა-იანი საჩივარში აღნიშნავს, რომ მის მიერ ჩადენილი დანაშაულები სასჯელად ითვალისწინებს 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. ამასთან, ჰყავს პენსიონერი დედა. აღნიშნულის გათვალისწინებით კასატორი ითხოვს ჯარიმის შემცირებას 500 ლარამდე.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგ გარემოებათა გამო:

ს. ა-იანის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა უდავოდ დადასტურებულია საქმეში არსებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით, მათ შორის – თავად მსჯავრდებულის ჩვენებით, რაც საკმარისია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. ამდენად, სააპელაციო პალატის განაჩენი დასაბუთებულია, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არსებითად არ დარღვეულა.

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოთხოვნას ჯარიმის სახით დანიშნული სასჯელის შემსუბუქების თაობაზე და აღნიშნავს, რომ ს. ა-იანს ჯარიმის ოდენობა განესაზღვრა სსკ-ის 42-ე და 53-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით და მსჯავრდებულის პიროვნებისა და ჩადენილი ქმედების სიმძიმის გათვალისწინებით.

საქმეში არსებული წინა, 2006 წლის 26 ოქტომბრის განაჩენით ს. ა-იანს დანიშნული სასჯელი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა ჩათვალა პირობით და იგი გათავისუფლდა სხდომის დარბაზიდან. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო დაკავების დღიდან – 2006 წლის 18 სექტემბრიდან. შესაბამისად, ს. ა-იანს წინა განაჩენით თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელიდან მოხდილი ჰქონდა 1 თვე და 8 დღე, რის გამოც მისთვის ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად უნდა დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 4 წელი, 10 თვე და 22 დღე და არა 4 წელი, 11 თვე და 23 დღე, როგორც ეს გასაჩივრებულ განაჩენშია აღნიშნული.

საკასაციო პალატამ არაერთხელ განმარტა, რომ განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშნისას ზუსტად უნდა დადგინდეს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის სახის და ზომის მოუხდელი ნაწილი.

სააპელაციო პალატის განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ს. ა-ვის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 29 თებერვლის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: ს. ა-ვისათვის გასაჩივრებული განაჩენით მოსაზღვრად დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 4 წლით, 10 თვითა და 22 დღით და საბოლოოდ მიესაჯოს 4 წლით, 10 თვითა და 22 დღით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.  
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სასჯელის დანიშვნა განაჩენთა ერთობლიობის დროს

### გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 44-აპ 19 ნომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),  
დ. სულაქველიძე,  
ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. დ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ჩიკვაიძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ნომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 4 ივლისის განაჩენით კ. დ-შვილი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (2006 წლის 8 ოქტომბრის ეპიზოდი), 273-ე მუხლით (2006 წლის 1 ნომბრის ეპიზოდი) იმაში, რომ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონოდ შექმნა და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 15 მარტს რუსთავის საქალაქო სასამართლომ კ. დ-შვილი ნარკოტიკების უკანონოდ მოხმარების ფაქტთან დაკავშირებით დააჯარიმა 100 ლარის ოდენობით.

მიუხედავად ამისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ უკანონოდ, ექიმის დანიშნულების გარეშე მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, კერძოდ: 2006 წლის 8 ოქტომბერს ქ. თბილისში პატრულმა ინსპექტორებმა კ. დ-შვილი ადმინისტრაციული წესით დააკავეს და გადაიყვანეს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ნარკოლოგიური შემოწმების კაბინეტში, სადაც ჩაუტარდა ნარკოლოგიური შემოწმება და ლაბორატორიული გამოკვლევით დაუდგინდა ნარკოლოგიური საშუალების მიღების ფაქტი.

კ. დ-შვილი 2006 წლის 1 ნომბერს იმყოფებოდა ქ. თბილისში, მარნეული-გეგუთის საავტომობილო გზაზე, რა დროსაც ქვემო ქართლის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ადმინისტრაციული წესით დააკავეს და შესამოწმებლად გადაიყვანეს ქვემო ქართლის სამხარეო კრიმინალისტიკურ განყოფილებაში. გამოკვლევის დასკვნის თანახმად, მას ლაბორატორიულად დაუდგინდა „ოპიუმის“ მოხმარების ფაქტი.

კ. დ-შვილს 2006 წლის 8 ოქტომბერს ჩადენილი ქმედებისათვის მიესაჯა 6 თვით, ხოლო 2006 წლის 1 ნომბერს ჩადენილი ქმედებისათვის – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მას განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დამატება წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 2 წელი და საბოლოოდ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 4 ივლისიდან; მასვე დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა 1850 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. გაუქმდა კ. დ-შვილის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო და გირაოს სახით შეტანილი თანხა სრულად დაუბრუნდა გირაოს შემტანს.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. ჩიკვაიძემ. მან ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და კ. დ-შვილის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებულ კ. დ-შვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. ჩიკვაძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უნდა გაუქმდეს, რამდენადაც პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებმა დაუშვეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა და არასწორად გამოიყენეს სისხლის სამართლის კანონი, რაც გამოიხატა შემდეგში:

განაჩენის სამოტივაციო ნაწილის შესაბამისად, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ კ. დ-შვილმა 2006 წლის 8 ოქტომბერსა და 2006 წლის 1 ნოემბერს ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება; დანაშაულის ჩადენა პალატამ დადასტურებულად მიიჩნია თვით მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებებით, ასევე – 2006 წლის 8 ოქტომბრისა და 2006 წლის 1 ნოემბრის ადმინისტრაციული დაკავების ოქმებითა და ლაბორატორიული გამოკვლევების დასკვნებით; სააპელაციო პალატამ უარყო დაცვის მხარის სააპელაციო საჩივრის მოტივაცია, რამდენადაც ჩათვალა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 4 ივლისის განაჩენის აღწერილობით და სამოტივაციო ნაწილებში დანაშაულის ჩადენის თარიღად არასწორადაა მითითებული 2006 წლის 8 აპრილი, ნაცვლად ამავე წლის 8 ოქტომბრისა; სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული წარმოდგენს ტექნიკური ხასიათის ისეთ შეცდომას, რომელიც განაჩენის გაუქმებას ან შეცვლას არ გამოიწვევს; პალატამ განაჩენის სამოტივაციო ნაწილით „უტყუარად დადგენილი“ დანაშაულის ჩადენის დრო – 2006 წლის 8 ოქტომბერი – ამავე განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში შეცვალა 2006 წლის 8 აპრილის ეპიზოდით, ანუ დანაშაულის ჩადენის თარიღი შეაბრუნა და საბოლოოდ კ. დ-შვილს მსჯავრი დასდო იმ ეპიზოდში, რომელშიც მსჯავრი პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილით არ დასდებია, თუმცა ბრალდების მხარეს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი არ გაუსაჩივრებია.

გარდა აღნიშნულისა, კასატორს მიაჩნია, რომ ამავე საქმეზე არასწორად იქნა გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი, კერძოდ, სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის მიხედვითაც ხდება სასჯელთა შეკრება; სსკ-ის მე-2 მუხლის თანახმად, ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სს კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს, ხოლო ამავე კოდექსის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს; კ. დ-შვილის მიერ ბრალეული ქმედებები ჩადენილია 2006 წლის დეკემბრამდე, ხოლო სსკ-ის 59-ე მუხლში ცვლილებები, რომლითაც მკაცრდება სასჯელთა შეკრების წესი, შევიდა 2006 წლის 29 დეკემბრის კანონით; გარდა ამისა, დაცვას ასევე არასწორად მიაჩნია დამატებით სასჯელად ჯარიმის განსაზღვრაც, რამდენადაც სსკ-ის 273-ე მუხლის სანქცია ჯარიმას სასჯელის ერთ-ერთ ძირითად სახედ მიიჩნევს და, ამდენად, ერთი დანაშაულისათვის სასამართლომ კ. დ-შვილისათვის თავისუფლების აღკვეთასთან ერთად ჯარიმის სახით 1850 ლარის დაკისრებით სასჯელის ორი ძირითადი სახე ერთდროულად განუსაზღვრა, რაც კანონის არასწორად გამოყენებაზე მიანიშნებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი ი. ჩიკვაძე ითხოვს განაჩენის გაუქმებას 2006 წლის 8 აპრილის ეპიზოდში და საქმის შეწყვეტას, ხოლო 2006 წლის 1 ნოემბრის ეპიზოდში – დანიშნული სასჯელის – 6 თვით თავისუფლების აღკვეთის შეცვლას ჯარიმის იმ ოდენობით, რაც მსჯავრდებულ კ. დ-შვილს არასწორად აქვს დაკისრებული დამატებითი სასჯელის სახით.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული, ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 11 ოქტომბრის განაჩენით, კ. დ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩათვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით. ამ განაჩენის აღწერილობით ნაწილში მითითებულია, რომ კ. დ-შვილი დააკავეს 2004 წლის 19 ივნისს.

გასაჩივრებული განაჩენით, კ. დ-შვილისათვის დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 2 წელი.

საკასაციო პალატამ არაერთხელ განმარტა, რომ განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნისას ზუსტად უნდა დადგინდეს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის სახისა და ზომის მოუხდელი

ნაწილი, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა. როგორც აღინიშნა, წინა განაჩენის მიხედვით კ. დ-შვილი დაკავებული იყო.

შემოაღნიშნულის გამო, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული გარემოება და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

ვინაიდან საქმე უნდა გაიგზავნოს ხალახლა განსახილველად, პალატა არ მსჯელობს საკასაციო საჩივრის მოტივებზე.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 570-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ნოემბრის განაჩენი კ. დ-შვილის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.  
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **სასჯელის დანიშვნა განაჩენთა ერთობლიობის დროს**

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 883-აპ19 ნომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. მ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 21 თებერვლის განაჩენით ი. მ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონო შეძენა და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულ სახდელშეფარდებული და ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

ი. მ-ძეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის 2007 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამო დადებული ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელი. 2007 წლის 1 ოქტომბერს ნარკოტიკული საშუალების განმეორებით უკანონოდ მოხმარების ფაქტზე იგი მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2007 წლის 25 დეკემბრის განაჩენით მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალია პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით; მასვე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 2 ათასი ლარის ოდენობით.

ადმინისტრაციულ სახელმეფარდებულმა და ამ დანაშაულისათვის ნასამართლევა ი. მ-მ დაუდგინებლ დროსა და ვითარებაში პირადი მოხმარებისათვის უკანონოდ შეიძინა მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალება და იმავე დღეს ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოიხმარა.

2008 წლის 16 იანვარს გატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად თბილისის ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს მე-6 განყოფილების თანამშრომლებმა თბილისში, ... ქ. №24-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, გამოავლინეს ი. მ-მ, რომელსაც ვიზუალურად ემჩნეოდა ნარკოტიკული ნივთიერებით თრობა. იგი იმავე დღეს შესამოწმებლად გადაიყვანეს საქართველოს შს სამინისტროს ნარკოლოგიის კვლევით ცენტრში. შემოწმებისას ნარკოლოგიურ-ტოქსიკოლოგიური №34178 დასკვნით დაუდგინდა ნარკოლოგიური საშუალება „ბუპრენორფინის“ ზემოქმედების ფაქტი.

აღნიშნული ქმედებისათვის ი. მ-მეს მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1 წელი და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რომლის მოხდა დაეწყო 2008 წლის 16 იანვრიდან. მასვე 3 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო საქმიანობის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო დაწესებულებაში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ი. მ-მ და ითხოვა სასჯელის შემსუბუქება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 აპრილის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებული ი. მ-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უნდა გაუქმდეს, რადგან დანიშნული სასჯელის მეტისმეტი სიმკაცრის გამო უსამართლოა და არ შეესაბამება დამნაშავის პიროვნებას; არ არის ნასამართლევი; ხასიათდება დადებითად; ჰყავს მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი; ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაული, რისთვისაც საზოგადოებისაგან მისი იზოლირება საჭირო არ არის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალები უდავოდ ადასტურებს, რომ სსკ-ის 273-ე მუხლით ნასამართლევა ი. მ-მე შეიძინა მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალება, რაც ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოიხმარა. დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს არც მსჯავრდებული უარყოფს.

ამასთან დადგენილია, რომ ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის ი. მ-მე ეჭვმიტანილის სახით დააკავეს 2007 წლის 1 ოქტომბერს და მეორე დღეს იგი გათავისუფლდა დააკავებიდან. ამის შემდეგ, 2007 წლის 14 დეკემბერს ი. მ-მე დააკავეს ბრალდებულის სახით და იგი პატიმრობიდან გათავისუფლდა 2007 წლის 25 დეკემბერს – თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის გამოტანის დღეს. ამდენად, წინა განაჩენით დანიშნული სასჯელიდან ი. მ-მეს მოხდელი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 12 დღის ვადით.

საკასაციო პალატამ არაერთხელ განმარტა, რომ სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად უნდა დაემატოს არა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი, არამედ მისი მოუხდელი ნაწილი, მოცემულ შემთხვევაში – 11 თვე და 18 დღე. შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს.

სააპელაციო პალატის განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი და დასაბუთებულია, ხოლო დანიშნული სასჯელი არ არის მეტისმეტად მკაცრი და, შესაბამისად, აშკარად უსამართლო.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ი. მ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 აპრილის განაჩენი შეიცვალა: ი. მ-ძისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით დანიშნულ სასჯელს – 1 (წლით თავისუფლების აღკვეთას მთლიანად დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 11 თვისა და 18 დღის ვადით და ი. მ-ძეს საბოლოოდ განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლით, 11 თვითა და 18 დღით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 12. პირობითი მსჯავრი

### გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 595-აპ

6 თებერვალი, 2007., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ლ.სულაქველიძე (თავმჯდომარე),

მ.ომხარელი,

ი.ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ შ.გ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წ. 27 სექტემბრის განაჩენზე მსჯავრდებულების – დ.კ-ძის, ზ.შ-შვილისა და ი.ს-იას მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2005წ. 6 ივნისის განაჩენით დ.კ-ძე და ი.ს-ია მსჯავრდებულ იქნენ საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლისა და 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2000წ. 30 მაისის რედაქცია), აგრეთვე, საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ისეთი დანაშაულის ჩადენის გამო, როგორცაა ბინაში უკანონო შეღწევით ქურდობის მცდელობა და სხვისი ნივთის განზრახ დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ამ დანაშაულისათვის მსჯავრდებულებს სასჯელის ზომად შეეფარდათ: დ. კ-ძესა და ი.ს-იას – თავისუფლების აღკვეთა, თითოეულს 4 წლის ვადით, ხოლო ზ.შ-შვილს – თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით.

განაჩენის მიხედვით, დ.კ-ძის, ზ.შ-შვილისა და ი.ს-იას მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2004წ. 19 ნოემბერს დ.კ-ძე დანაშაულებრივად დაუკავშირდა ი.ს-იას და ზ.შ-შვილს. დაახლოებით 1 საათზე, სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ისინი მივიდნენ სოფ.გლდანის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მ.გ-იანის სააგარაკე ბინასთან. წინასწარ მომარჯვებული ძალაყინით გამოანგრიეს ფანჯრის გისოსი, დააზიანეს ჩარჩო, რითაც 200 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს ბინის მესაკუთრეს. ფანჯრიდან შეაღწიეს ბინაში და შეუდგნენ განზრახვის სისრულეში მოყვანას. მათ ფანჯრიდან გაიტანეს და ეზოში მდებარე საპირფარეშოსთან წასაღებად დააყვეს ორი გასაშლელი სკამი, ორივე ღირებული 50 ლარად, 25 ლარად ღირებული რბილი სკამი და 10 ლარად ღირებული საათი.

დ.კ-ძემ და მისმა თანამზრახველებმა სხვა ფასეულობის გატანა და დაუფლება ვერ შეძლეს, ვინაიდან ისინი პოლიციის მუშაკების მიერ იმავე ბინაში იქნენ დაკავებული.

მსჯავრდებულთა სააპელაციო საჩივრის საფუძველზე თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატამ 2005წ. 27 სექტემბრის განაჩენით დ.კ-ძეს, ზ.შ-შვილსა და ი.ს-იას პირველი იტნსტანციის სასამართლოს მიერ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელები, საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების (2000წ. 5 დეკემბრის რედაქცია) საფუძველზე,



ჩაუთვალა პირობით იმავე გამოსაცდელი ვადებით, რა ვადითაც ჰქონდათ მათ ხსენებული სასჯელები დანიშნული.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორმა შ.გ-მემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას, რომლითაც ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულთა მიმართ საქმის დაბრუნებას იმავე სასამართლოში ახალი განხილვისათვის, პირობითი მსჯავრის გასაუქმებლად და მის ნაცვლად მათთვის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დანიშნული რეალური სასჯელების ხელახლა შეფარდების მიზნით, ვინაიდან მიაჩნია, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის განაჩენი არის აშკარად ლმობიერი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულთა მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდ აშევიდეს ცვლილებები შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე, რომლებიც მოპოვებულია საპროცესო ნორმების დაცვით, დადგენილია, რომ დ.კ-მემ ზ.შ-შვილმა და ი.ს-იამ ნამდვილად ჩაიდინეს სასამართლოს განაჩენით მათთვის შერაცხული ქმედება, რასაც არც ბრალდებისა და დაცვის მხარეები ხდიან სადავოდ.

კასატორი, მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორი შ.გ-მე თავის საჩივარში უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნევს მსჯავრდებულების მიმართ პირობითი მსჯავრის დანიშვნას, ვინაიდან ამ უკანასკნელს ჩადენილი ქმედების სიმძიმესთან შეუსაბამოდ თვლის. კასატორის ასეთი პოზიცია ვერ იქნება გაზიარებული საკასაციო პალატის მიერ, რადგან მსჯავრდებულების – დ.კ-მის, ზ.შ-შვილისა და ი.ს-იას მიმართ სააპელაციო სასამართლოს მიერ პირობითი მსჯავრი დანიშნულია საქმის გარემოებებისა და მათი პიროვნების გათვალისწინებით, რომელიც, ამ შემთხვევაში, სავსებით პასუხობს სასჯელის წინაშე დასახულ მიზანსა და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის ამოცანას. კასატორის საჩივარი, რომლითაც იგი ითხოვს განაჩენის გაუქმებას, მოკლებულია ჯეროვან დასაბუთებას და სამართლებრივად არ გააჩნია სათანადო საფუძველი.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით (2006წ. 28 აპრილის კანონი), დ.კ-მის, ზ.შ-შვილისა და ი.ს-იას მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაცია, განსაზღვრული საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2000წ. 30 მაისის რედაქცია), უნდა შეიცვალოს და აღნიშნული ქმედება უნდ აგადაკვალიფიცირდეს ამჟამად მოქმედი საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლისა და 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე (2006წ. 28 აპრილის რედაქცია), ვინაიდან, თანახმად საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლისა, კანონს, რომელიც ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. მიუხედავად ამისა, სასჯელის ის ზომა, რომელიც მსჯავრდებულებს დაენიშნათ თავისუფლების აღკვეთის სახით, პირობითი მსჯავრის დანიშვნით, ვერ შეიცვლება, რადგან, მოცემულ შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთის ზომა განსაზღვრულია ახალი კანონის სანქციით გათვალისწინებულ ფარგლებში და არ არსებობს მისი შემცირების საფუძველი.

განხილული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2005წ. 27 სექტემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულების – დ.კ-მის, ზ.-შვილისა და ი.ს-იას მიმართ, კერძოდ, მათ მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის ნაწილში, ხოლო სხვა ნაწილში აღნიშნული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად,

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ შ.გ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის აქმეთა პალატის 2005წ. 27 სექტემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულების – დ.კ-ძის, ზ.შ-შვილისა და ი.ს-იას ქმედება საკასაციო სსკ-ის მე-19 მუხლიდან და 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან (2000. 30 მაისის რედაქცია) გადაკვალიფიცირდეს საქართველოს მოქმედი სსკ-ის მე-19 მუხლისა და 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე (2000წ. 28 აპრილის რედაქცია).

იგივე განაჩენი სხვა ნაწილში, აგრეთვე, მსჯავრდებულების – დ.კ-ძის, ზ.შ-შვილისა და ი.ს-იას მიმართ სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული სასჯელები პირობითი მსჯავრის დანიშვნით დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## პირობითი მსჯავრი

### გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 424-აპ22 თებერვალი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),

ზ. მუხომბელი,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ო-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2006 წლის 24 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 1 მარტის განაჩენით მ. ო-შვილს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I და II ნაწილებით სასჯელად განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენით მ. ო-შვილს მსჯავრი დაელო ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექენა, შენახვა, ტარებისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 11 ოქტომბერს, მ. ო-შვილი მეგობრის – ო. შ-შვილის კუთვნილი ავტომანქანით მოძრაობდა ახალგორის რაიონის ტერიტორიაზე. ავტომანქანა და მასში მსხდომი პირები შეამოწმეს ახალგორის შს რაიგანყოფილების თანამშრომლებმა, რა დროსაც მ. ო-შვილს უკანონოდ აღმოაჩნდა კო-38 სისტემის №დდ-2676 შაშხანა.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 1 მარტის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა მ. ო-შვილმა, რომელმაც ითხოვა სასჯელის შემსუბუქება და პირობითი მსჯავრის შეფარდება. მან აღნიშნა, რომ მცხეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 1 მარტის განაჩენი უკანონოა და სასჯელი მკაცრი, რადგან დანაშაული, რომელიც მას ბრალად ედება, განეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას; იგი აღიარებს და გულწრფელად ინანიებს თავის მიერ ჩადენილ ქმედებას, ჰყავს ოჯახი, მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი, რომელთაგან ერთ-ერთი არის ავადმყოფი, გადატანილი აქვს უმძიმესი ოპერაცია და საჭიროებს ინტენსიურ მკურნალობას, ჰყავს მოხუცებული მშობლები, ინვალიდი მამა, რომლებიც საკუთარ ოჯახთან ერთად მის კმაყოფაზე იმყოფებიან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2006 წლის 24 მაისის განაჩენით მცხეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 1 მარტის განაჩენი შეიცვალა სასჯელის ნაწილში, კერძოდ: მსჯავრდებულ მ. ო-შვილს სასჯელი შეუმცირდა 6 თვით და საბოლოოდ განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა მ. ო-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. მან აღნიშნა,

რომ აღიარებს და გულწრფელად ინანიებს თავის მიერ ჩადენილ ქმედებას, ითხოვს პირობითი მსჯავრის შეფარდებას ან ჯარიმის სახით 3000 ლარის დაკისრებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო გამოკვლევა ჩატარებულია სრულყოფილად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. მ. ო-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული დადასტურებულია თავად მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, ჩხრეკის ოქმით, სასამართლო ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივად სწორად შეაფასა მსჯავრდებულ მ. ო-შვილის ბრალეული მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რასაც სადავოდ არც საკასაციო საჩივრის ავტორი ხდის.

ამასთან, პალატა ითვალისწინებს რა მსჯავრდებულის პიროვნებას, რომ იგი წარსულში ნასამართლევი არ არის, პირველივე დღიდან აღიარებს და გულწრფელად ინანიებს მის მიერ ჩადენილ ქმედებას, მსჯავრი დაედო ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენაში, ჰყავს ოჯახი, მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი, რომელთაგან ერთ-ერთი არის ავადმყოფი, გადატანილი აქვს უმძიმესი ოპერაცია და საჭიროებს ინტენსიურ მკურნალობას, ჰყავს მოხუცებული მშობლები, ინვალიდი მამა, რომლებიც საკუთარ ოჯახთან ერთად მის კმაყოფაზე იმყოფებიან, მიზანშეწონილად მიიჩნევენ მსჯავრდებულის საჩივრის დაკმაყოფილებას.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ და საქართველოს სსკ-ის 63-66-ე მუხლების გამოყენებით მ. ო-შვილისათვის დანიშნული სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა ჩაითვალოს პირობით და გამოსაცდელ ვადად დაინიშნოს 2 წელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და 568-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ მ. ო-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2006 წლის 24 მაისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

მ. ო-შვილს, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I და II ნაწილებით დანიშნული სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა – ამავე კოდექსის 63-66-ე მუხლების გამოყენებით ჩაეთვალოს პირობით და გამოსაცდელ ვადად დაინიშნოს 2 წელი.

მსჯავრდებულის ყოფაცქევაზე კონტროლი დაევალოს პრობაციის სამსახურს მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**პირობითი მსჯავრი**

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 1499-აპ

11 დეკემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ომხარელი (თავმჯდომარე),

- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ჯ. ქ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატის – თ. გ-იანის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 14 მაისის განაჩენით ჯ. ქ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 9 ნოემბრიდან.

განაჩენით ჯ. ქ-ძეს მსჯავრი დაედო აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე დიდი ოდენობით გადაზიდვაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 3 აპრილს ჯ. ქ-ძემ დანაშაულებრივად განიზრახა, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, შეეძინა დიდი ოდენობით რუსული წარმოების სიგარეტი ქართული აქციზური მარკის ნიშანდების გარეშე. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით 3 აპრილს, ღამით, იგი თავისი მართვის ქვეშ მყოფი „ვოლგო 440“ მარკის ავტომანქანით, გორი-ცხინვალის საავტომობილო გზით გაემგზავრა ცხინვალის მიმართულებით, სადაც დაუდგენელ ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან შეიძინა დიდი ოდენობით რუსული წარმოების სიგარეტები ქართული აქციზური მარკის ნიშანდების გარეშე, კერძოდ: 400 კოლოფი „იავა“, 500 კოლოფი „ალიანსი“ და 4040 კოლოფი „ტროიკა“, რაც მოათავსა თავისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის საბარგულსა და სალონში. დაახლოებით 23.20 საათზე იმავე ავტომანქანით გაემგზავრა გორის მიმართულებით. გორის რაიონის სოფ. შინდისში შსს შიდა ქართლის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს თანამშრომლებმა ჯ. ქ-ძის მართვის ქვეშ მყოფ ავტომანქანაში შენიშნეს რუსული წარმოების თამბაქოს ნაწარმი და ანიშნეს მას, რომ გაეჩერებინა ავტომანქანა, რასაც იგი არ დაემორჩილა და დიდი სისწრაფით გააგრძელა გზა გორის მიმართულებით. იმავე ღამეს შსს შიდა ქართლის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს თანამშრომლებმა ჯ. ქ-ძის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანა მიტოვებული და დაზიანებული ნახეს გორის რაიონის სოფ. ..., მანქანა შეჯახებული იყო საავტომობილო გზის პირას მდებარე სასურსათო მაღაზიის გვერდით არსებულ რკინის მოაჯირს.

2006 წლის 4 მარტს, 00.30 საათზე გორის რაიონის სოფ. ... შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს, ჯ. ქ-ძის მართვის ქვეშ მყოფი ზემოაღნიშნული ავტომანქანის სალონიდან და საბარგულიდან ამოღებულ იქნა ჯ. ქ-ძის მიერ დიდი ოდენობით შექმნილი, შენახული და შემდგომი რეალიზაციის მიზნით გადაზიდული აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონელი (რუსული წარმოების თამბაქოს ნაწარმი) ქართული აქციზური მარკის გარეშე, კერძოდ: 400 კოლოფი „იავა“, 500 კოლოფი „ალიანსი“ და 4040 კოლოფი „ტროიკა“.

გორის რაიონული სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს გენერალური პროკურატურის ფინანსთა სამინისტროს ავტონომიურ და სამხარეო ქვედან-ფებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორმა ფრიდონ ჩიტაშვილმა და მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. გ-იანმა.

პროკურორმა ფ. ჩიტაშვილმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა განაჩენის გაუქმება, სასჯელის გამკაცრება და ჯ. ქ-ძისათვის 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება.

ადვოკატმა თ. გ-იანმა საჩივრით ითხოვა აღნიშნულ განაჩენში ცვლილების შეტანა და საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის V ნაწილის საფუძველზე ჯ. ქ-ძისათვის სასჯელად 10 თვით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება, ხოლო დარჩენილი სასჯელის – 2 წლისა და 2 თვის – პირობით მსჯავრად ჩათვლა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივლისის განაჩენით გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 14 მაისის განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით:

ჯ. ქ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, დამატებითი სასჯელის სახით, საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, უსასყიდლოდ ჩამოერთვა მისი მართვის

ქვემ მყოფი ა/მანქანა „ვოლვო 440“ და გადაეცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ „საფინანსო სააგენტოს“.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულის ადვოკატმა თ. გ-იანმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას, კასატორმა ითხოვა საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის გამოყენებით, ჯ. ქ-ძისათვის სასჯელად 1 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება და დარჩენილი სასჯელის – 2 წლის – პირობით მსჯავრად ჩათვლა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ ჯ. ქ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატის – თ. გ-იანის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის V ნაწილის გამოყენებით, ჯ. ქ-ძისათვის სასჯელად 1 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებისა და დარჩენილი სასჯელის – 2 წლის პირობით მსჯავრად ჩათვლის შესახებ, უსაფუძვლობის გამო, რადგან იგი არ შეესაბამება ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კერძოდ: სასჯელის ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, ან თუ ბრალდებული (განსასჯელი, მსჯავრდებული) აღიარებს დანაშაულს, ასახელებს დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეებს და თანამშრომლობს გამოძიებასთან, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო გამოკვლევა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულ ჯ. ქ-ძის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები.

საქმეზე მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: მოწმეების – მ. კ-ძის, გ. ნარიკაშვილის ჩვენებებით, თვით მსჯავრდებულ ჯ. ქ-ძის აღიარებით ჩვენებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და ამოღების ოქმებით, ექსპერტიზის დასკვნით ჯ. ქ-ძის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „აშინისტის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტის საფუძველზე და ამავე კანონის მე-3 მუხლის I პუნქტში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონის საფუძველზე სასჯელისგან გათავისუფლებული პირები არ თავისუფლდებიან დამატებითი სასჯელისაგან), მსჯავრდებული ჯ. ქ-ძე უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) დანიშნული ძირითადი სასჯელის – 3 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით, საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის II ნაწილის საფუძველზე, მისი მართვის ქვემ მყოფი „ვოლვო 440“ მარკის სახ. №ლალ-357 ავტომანქანის უსასყიდლოდ ჩამორთმევა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ „საფინანსო სააგენტოსათვის“ გადაცემა უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, „აშინისტის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტით, ამავე კანონის მე-3 მუხლის I პუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივლისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტის საფუძველზე და ამავე კანონის მე-3 მუხლის I პუნქტში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონის საფუძველზე სასჯელისაგან გათავისუფლებული პირები არ თავისუფლდებიან დამატებითი სასჯელისაგან), მსჯავრდებული ჯ. ქ-მე გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) დანიშნული სასჯელის – 3 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

განაჩენი სხვა ნაწილში, აგრეთვე საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით – ავტომანქანა „ვოლვო- 440“ მარკის სახ. №ლალ-357-ის უსასყიდლოდ ჩამორთმევა – დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### პირობითი მსჯავრი

#### გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 1795აპ14 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

ლ. მურუსიძე,

მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორ ი. კ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ლ-მე ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 2 აგვისტოს განაჩენით ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლის პირველი ნაწილითა და იმავე კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა: საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე – თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, ხოლო იმავე კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე – თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელთა შეკრების პრინციპის საფუძველზე, მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლის ვადით, რაც იმავე კოდექსის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 4 წელი. მასვე, სატყეო მეურნეობის სასარგებლოდ დაეკისრა 1541,6 ლარის გადახდა.

განაჩენის მიხედვით, ლ. ლ-მეს მსჯავრი დაელო ქურდობისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და ასევე ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში: 2007 წლის მარტის ბოლოს მან ხარაგაულის სატყეო მეურნეობის ტერიტორიაზე, სოფ. საქასრიის ტყეში, უკანონოდ მოჭრა სამი ძირი რცხილის ჯიშის ხე, საერთო 5.26 მ<sup>3</sup>, რითაც გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 1236.1 ლარი. ასევე მოჭრა ერთი წიფლის ჯიშის ხე – 1.3 მ<sup>3</sup>-ით, რითაც გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 305.5 ლარი. ერთობლივად გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 1541.6 ლარი. აღნიშნული ხეებიდან ლ. ლ-მემ გამოჭრა რცხილის რვა და წიფლის სამი მორი, რომლებიც, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების

მიზნით, ფარულად გაიტაცა ტყიდან და დააწყო სოფ. ციციურში, ე.წ. „ლაშის“ უბანში, საურმე გზის პირას.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ი. კ-ძემ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 2 აგვისტოს განაჩენის მსჯავრდებულ ლ. ლ-ძისათვის საუარესოდ შებრუნებას, კერძოდ, მისთვის სასჯელის ზომად 6 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას იმ მოტივით, რომ მსჯავრდებულ ლ. ლ-ძისათვის განაჩენით შეფარდებული სასჯელი ზედმეტად ლმობიერია და უსამართლო, რომელიც არ შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 სექტემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 2 აგვისტოს განაჩენი მსჯავრდებულ ლ. ლ-ძის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ი. კ-ძემ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 სექტემბრის განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ ლ. ლ-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის გაგზავნას იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის ხელახლა განსახილველად იმავე მოტივით, რაც მას მითითებული ჰქონდა თავის სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ლ. ლ-ძის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალებით დგინდება, რომ მსჯავრდებულმა ლ. ლ-ძემ ნამდვილად ჩაიდინა წიფლისა და რცხილის ჯიშის ხეების უკანონო გაჩეხვა და მათი ქურდობა. მისი ბრალეულობა დადასტურებულია უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობით, რომლებიც მოპოვებულია საპროცესო ნორმების დაცვით.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორ ი. კ-ძის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულ ლ. ლ-ძისათვის დანიშნული სასჯელის ზომა ზედმეტად ლმობიერი და აშკარად უსამართლოა, ვინაიდან, საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ ლ. ლ-ძისათვის დანიშნული სასჯელი განსაზღვრულია მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმის, დამდგარი შედეგისა და თვით მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით. ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 სექტემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება კვალიფიკაციის ნაწილში, კერძოდ, ლ. ლ-ძის ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რადგან არც საბრალდებო დასკვნასა და არც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების განაჩენებში არ არის განსაზღვრული ქურდობით მიყენებული ზიანის ოდენობა. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ, მართალია, ლ. ლ-ძის ქმედებით გარემოსათვის მიყენებული ზიანი 1541.6 ლარს შეადგენს და მნიშვნელოვან ზიანს განეკუთვნება, მაგრამ საქმეში არ მოიპოვება არანაირი მტკიცებულება, რითაც განისაზღვრებოდა იმ ზიანის ოდენობა, რაც ლ. ლ-ძის მიერ ჩადენილი ქურდობით იქნა გამოწვეული. აღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებულ ლ. ლ-ძეს უნდა მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდება, როგორც უსაფუძვლოდ შერაცხული და ამ ნაწილში მისი ქმედება უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ხოლო ამ დანაშაულისათვის, ჩადენილი ქმედების სიმძიმის, მსჯავრდებულის პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, მას სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე უნდა ჩაეთვალოს პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

ამავე დროს საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებული ლ. ლ-ძე, „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, უნდა გათავისუფლდეს

საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მისთვის დანიშნული სასჯელის – 1 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 აგვისტოს განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები მსჯავრდებულ ლ. ლ-ძის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორ ი. კ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 სექტემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ლ. ლ-ძის ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის პირველ ნაწილზე და ამ დანაშაულისათვის მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რაც იმავე კოდექსის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალოს პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

მსჯავრდებულ ლ. ლ-ძე „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, გათავისუფლდეს სასამართლოს მიერ საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის – 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულ ლ. ლ-ძის მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### პირობითი მსჯავრი

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 629-აპ

23 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

ლ. მურუსიძე,

დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ პ. ბ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. მ-შვილის საკასაციო საჩივარის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 დეკემბრის განაჩენით პ. ბ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილით – 3 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით (2007 წლის 23 მარტის ეპიზოდში) – ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით, 273-ე მუხლით (2007 წლის 4 მაისის ეპიზოდში) – ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 3 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით და ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით.



პ. ბ-შვილს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელიდან მოხდილად ჩაეთვალა მოცემულ საქმეზე პატიმრობაში ყოფნის ვადა – 2007 წლის 29 აპრილიდან 2007 წლის 1 მაისამდე.

პ. ბ-შვილის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2007 წლის 1 მაისის ბრძანებით შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო და ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის 2007 წლის 6 მაისის ბრძანებით შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა, ხოლო გირაოს სახით შეტანილი თანხები 1 თვის ვადაში უნდა დაუბრუნდეს მის შემტანებს.

მსჯავრდებულ პ. ბ-შვილის, როგორც პირობით მსჯავრდებულის, შემდგომ ყოფაქცევაზე კონტროლი დაევალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის შესაბამის სამსახურს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

განაჩენის მიხედვით, პ. ბ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 31 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის დადგენილებით ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარებისათვის პ. ბ-შვილს დაედო ადმინისტრაციული სახდელი – ჯარიმა 90 ლარის ოდენობით. მიუხედავად ამისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ უკანონოდ, ექიმის დანიშნულების გარეშე, მოიხმარა ნარკოტიკული საშუალებები – „ოპიუმი“, „ტეტრაჰიდროკანაბინოლი“ და „მეთაღონი“, რაც მას დაუდგინდა 2007 წლის 23 მარტს ქ. ბათუმში, ნარკოლოგიურ კაბინეტში, შემოწმებისას. მიუხედავად აღნიშნულისა, მან კვლავ უკანონოდ, ექიმის დანიშნულების გარეშე, მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება „მეთაღონი“, რაც მას დაუდგინდა 2007 წლის 4 მაისს ქ. ქუთაისში, ნარკოლოგიურ ცენტრში, შემოწმებისას.

პ. ბ-შვილმა განიზრახა ნუგზარ შ-ძის სასურსათო მაღაზიიდან, მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. №29-ში, თანხის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, 2007 წლის 13 აპრილს, დაახლოებით 21.30 საათზე, იგი მივიდა აღნიშნულ მაღაზიაში და ნ. შ-ძეს მოსთხოვა 200 ლარი, რაზეც ნ. შ-ძემ უპასუხა, რომ არ ჰქონდა მისთვის მისაცემი თანხა. უარის მიღების შემდეგ პ. ბ-შვილმა აიღო მაღაზიის დახლზე მოთავსებული მუყაოს კოლოფი, მასში არსებული ნაგაჭრი თანხით – 80 ლარის ოდენობით და, მიუხედავად ნ. შ-ძის წინააღმდეგობისა, მიიძალა შემთხვევის ადგილიდან.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 მარტის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

პ. ბ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილით – 3 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით (2007 წლის 23 მარტის ეპიზოდში) – ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით, 273-ე მუხლით (2007 წლის 4 მაისის ეპიზოდში) – ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 3 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

გაუქმდა პ. ბ-შვილის მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი და იგი შესახლდა თბილისის №8 საპყრობილეში, ხოლო სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო მისი საპყრობილეში მოთავსების მომენტიდან.

პ. ბ-შვილს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2007 წლის 29 აპრილიდან 2007 წლის 1 მაისამდე.

პ. ბ-შვილის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2007 წლის 1 მაისის ბრძანებით შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო და ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის 2007 წლის 6 მაისის ბრძანებით შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა, ხოლო გირაოს სახით შეტანილი თანხები საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში უნდა დაუბრუნდეს მის შემტანს.

მსჯავრდებულ პ. ბ-შვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ნ. მ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში, სასჯელის ნაწილში, ცვლილების შეტანას იმ მიმართებით, რომ პ. ბ-შვილს დანიშნული სასჯელი – 3 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა – ჩაეთვალოს პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით და ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით. კასატორის მოსაზრებით, განაჩენი არის უკანონო, რადგან სააპელაციო სასამართლომ პ. ბ-შვილის მიმართ გამოიყენა სასჯელის ისეთი სახე და ზომა, რომელიც აშკარად არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და მის პიროვნებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე შეკრებილი და სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებით სავსებით დადგენილია მსჯავრდებულ პ. ბ-შვილის ბრალეულობა მასზე შერაცხულ დანაშაულში, რასაც სადავოდ არც საკასაციო საჩივარი ხდის.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ განაჩენი მსჯავრდებულ პ. ბ-შვილის მიმართ სასჯელის ნაწილში უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 დეკემბრის განაჩენით მსჯავრდებულ პ. ბ-შვილის მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი გააუქმა იმ მოტივით, რომ განაჩენში არ იყო დასაბუთებული, პ. ბ-შვილს რა გარემოებების გათვალისწინებით ჩაეთვალა პირობით I-ლი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით განსაზღვრული სასჯელი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თუ სააპელაციო სასამართლო თვლიდა, რომ მსჯავრდებულ პ. ბ-შვილის მიმართ დადგენილი განაჩენი სასჯელის ნაწილში იყო დაუსაბუთებელი, თვითონ უნდა გამოეკვლია მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები; საკასაციო პალატა თვლის, რომ მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითება, რომ პ. ბ-შვილს ჩადენილი აქვს ორი სხვა განზრახი დანაშაული, არ არის მის მიმართ პირობითი მსჯავრის გაუქმების საკმარისი საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განაჩენში უნდა ემსჯელა ამ დანაშაულების სიმძიმეზე, მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებზე და მათი სამართლებრივი შეფასების შედეგად დაედგინა მსჯავრდებულის პიროვნებისა და მისი ქმედების შესაბამისი სამართლიანი სასჯელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 მარტის განაჩენი პ. ბ-შვილის მიმართ უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ხელახალი სასამართლო განხილვის დროს უნდა იქნეს გამოკვლეული მსჯავრდებულ პ. ბ-შვილის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები და მას განესაზღვროს სამართლიანი სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 მარტის განაჩენი პ. ბ-შვილის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**პირობითი მსჯავრი**

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 864-აპ

18 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),  
ლ. მურუსიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. პ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საბრალდებო დასკვნით ი. პ-შვილს ბრალი დაედო საქართველოს სსკ-ის 243-ე მუხლის მეორე ნაწილითა და 150-ე მუხლის მეორე ნაწილით (1960 წლის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

1996 წლის 3 იანვარს, დაახლოებით ღამის 2 საათზე, ი. პ-შვილმა, ვალერიან გ-ძესთან ერთად, ქ. თბილისში, ... ქ. №45-დან გაიტაცა მოქალაქე ტ. გ-ნის კუთვნილი, ავტომანქანა ვაზ-2106, მანვე, ვ. გ-ძესთან ერთად, 1996 წლის 3 იანვარს, დაახლოებით ღამის 3 საათზე, მოქალაქე რ. მ-ძის კუთვნილი ავტომანქანა ვაზ-2121 თეთრი ფერის „ნივიდან“ გაიტაცა 5 ლიტრი ბენზინი, ღირებული 2 ლარად, რა დროსაც დააკავეს მთაწმინდის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 13 მარტის განაჩენით:

ი. პ-შვილი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 243-ე მუხლის მეორე ნაწილით (1960 წლის რედაქცია) გათვალისწინებულ ბრალდებაში.

ი. პ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მეორე ნაწილით (1960 წლის რედაქცია) და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის საფუძველზე შეუმცირდა ერთი მესამედით და საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების თანახმად, ჩათვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით. მსჯავრდებულ ი. პ-შვილის მიმართ დადგენილი პირობითი მსჯავრის ნაწილში განაჩენის აღსრულებაზე კონტროლი დაევალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მაისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ი. პ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების შესაბამისად, დანიშნული პირობითი მსჯავრის შეცვლას 1 წლის გამოსაცდელი ვადით. კასატორი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ დანაშაულის ჩადენის დროს, რომელიც უნებლიედ მოხდა, იყო არასრულწლოვანი; ოჯახი ეკონომიკური გაჭირვების გამო სამუშაოდ წავიდა რუსეთში. ბავშვური გამოუცდელობით არც უფიქრია, რომ მის მიმართ აღიძვრებოდა სისხლის სამართლის საქმე. რუსეთში როცა შეიტყო, რომ მის მიმართ საქმე იყო აღძრული და პატიმრობა ჰქონდა შეფარდებული, ძალიან გაოცდა და შეწუხდა. ნერვიულობის ნიადაგზე გარდაეცვალა დედა. ი. პ-შვილი გამოცხადდა სასამართლოში და აღიარა, რაც მოხდა 12 წლის წინ. კასატორ ი. პ-შვილის განმარტებით, იგი რუსეთში ყოფნისას მუშაობდა და რაიმე სახის შენიშვნა სამართალდამცავი ორგანოებისაგან არ მიუღია; ამჟამად ცხოვრობს ქ. თბილისში და მუშაობს ტურისტულ სააგენტოში. ჰყავს მეუღლე და გერი. კასატორი უსამართლოდ მიიჩნევს 3 წლის ვადით დანიშნულ პირობით მსჯავრს, ვინაიდან მან აღიარა ჩადენილი დანაშაული, გამოცხადდა სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებებით, დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებებით ი. პ-შვილის მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია, რასაც სადავოდ არც საკასაციო საჩივარი ხდის.

ამასთან, საკასაციო პალატა ითვალისწინებს რა იმ გარემოებას, რომ მსჯავრდებული ი. პ-შვილი გულწრფელად აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, პირველად სასამართლოში, დანაშაულის ჩადენის დროს იყო არასრულწლოვანი, დანაშაულის ჩადენიდან დღემდე მას არ ჩაუდენია არანაირი სახის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ძეგნილი ნებაყოფლობით გამოცხადდა სასამართლოში, ჰყავს

მეუღლე და გერი, შესაძლებლად მიიჩნევს, რომ ი. პ-შვილს გამოსაცდელი ვადა შეუმცირდეს 2 წლით და საბოლოოდ დაუდგინდეს 1 წლის ვადით გამოსაცდელი ვადა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მაისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ:

მსჯავრდებულ ი. პ-შვილს საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის დანიშნული გამოსაცდელი ვადა – 3 წელი – შეუმცირდეს და საბოლოოდ დაუდგინდეს 1 წლის ვადით გამოსაცდელი ვადა.

მსჯავრდებულ ი. პ-შვილს სასჯელის ვადაში ჩათვალოს დაკავების დრო – 1996 წლის 3 იანვრიდან 1996 წლის 5 იანვრამდე.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### პირობითი მსჯავრი

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 664-აპ

27 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),

ზ. მეიშვილი,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ჯ-ძისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ა-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 14 ნოემბრის განაჩენით ა. ჯ-ძე და თ. ს-ძე ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინეს თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით და არაერთგზის, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის იანვარში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, ა. ჯ-ძე და მისი მეუღლე თ. ს-ძე წინასწარ შეთანხმდნენ, სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ნდობის ბოროტად გამოყენების გზით, თავიანთი ნაცნობები მოტყუებით დაერწმუნებინათ, რომ მათ გააჩნდათ ახლო კავშირები აშშ-ში მყოფ პირებთან და შეეძლოთ ავტომანქანების იაფად შეძენა და ჩამოყვანა, შემდგომში კი შეპირებულ ავტომანქანებს არ ჩამოუყვანდნენ და ამ მიზნით მიღებულ თანხებს მითვისებდნენ.

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2006 წლის 31 იანვარს ა. ჯ-ძე დაუკავშირდა თბილისში, ... ქ. №8-ში მცხოვრებ ძველ ნაცნობ გ. ქ-ძეს, რომელსაც შესთავაზა 6 ათასი აშშ დოლარის საფასურად აშშ-დან 2003 წელს გამოშვებული ავტომანქანა „გრანდ-ჩეროკის“ ჯიპის ჩამოყვანა. მანვე

სიტყვებისათვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად თავის ე.წ. „ლექტორის“ მონიტორზე გ. ქ-ქეს აჩვენა ავტომანქანის სურათი, რომელსაც ჩამოიყვანდა აშშ-დან თავისი ნაცნობის მეშვეობით. აღნიშნულზე იგი დასთანხმდა, ავტომანქანის საბაზრო ღირებულებასა და შეთავაზებულ ფასს შორის აშკარა სხვაობიდან გამომდინარე. იმავე დღეს გ. ქ-ქემ სხენებული ავტომანქანის შესაძენად მოთხოვნილი თანხა პირადად ა. ჯ-ქესა და მისი მეშვეობით გაცნობილ თ. ს-ქეს თბილისში, ... ქ. №9-ში მდებარე მათივე საცხოვრებელი კორპუსის ეზოში, ა. ჯ-ქის მართვის ქვეშე მყოფ ავტომანქანა „გრანდ-ჩეროკის“ ჯიპის სალონში გადასცა. პირობის თანახმად, მათ აღნიშნული ავტომანქანა 3 თვის განმავლობაში უნდა ჩამოეყვანათ.

2006 წლის 17 მაისს თბილისში, საბჭოს მოედანზე შეხვედრისას ა. ჯ-ქემ გ. ქ-ქეს უთხრა, რომ მისთვის ჩამოყვანილ მანქანას დაზიანებული ჰქონდა სინქარის გადამცემი კოლოფი და, რადგანაც ასეთ მანქანას „ვერ აკადრებდა“, ამიტომ კიდევ ორი თვის ვადით სთხოვა დაცდა, სამაგიეროდ იმავე თანხად 2004 წელს გამოშვებული „გრანდ-ჩეროკის“ ჯიპის ჩამოყვანას შეჰპირდა. იმავედროულად ა. ჯ-ქემ გ. ქ-ქეს კიდევ 2003 წელს გამოშვებული „ML-ის“ ჯიპის ჩამოყვანა შესთავაზა, რაშიც 10500 აშშ დოლარი მოითხოვა. იქვე თავისი სიტყვებისათვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად, ნდობის მოპოვებისა და დროის გაყვანის მიზნით, დაპატიჟა თავისი და თ. ს-ქის ქორწილში, რომელიც უნდა გამართულიყო 2006 წლის 18 ივნისს.

2006 წლის 26 ივნისს გ. ქ-ქემ ავტომანქანა „ML-ის“ ჯიპის ჩამოსაყვანად მოთხოვნილი თანხა – 10500 აშშ დოლარი თბილისში, ორთაჭალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე, ავტომანქანით მისულ ა. ჯ-ქესა და თ. ს-ქეს ავტომანქანაშივე პირადად გადასცა, მაგრამ ავტომანქანები მათ არ ჩამოეყვანიათ და არც აღებული თანხა – 16500 აშშ დოლარი დაუბრუნებიათ.

გ. ქ-ქის ქორწილში მიწვევითა და დასწრებით ა. ჯ-ქემ და თ. ს-ქემ განამტკიცეს მისი ნდობა და სხვა მანქანების კვლავ შეღავათიან ფასში ჩამოყვანის პირობით მისგან თანხის გამორთმევა და მითვისება გადაწყვიტეს. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2006 წლის აგვისტოში ა. ჯ-ქემ გაიგო რა გ. ქ-ქის მიერ ავტომანქანა „ბმვ-ს“ გაყიდვის ფაქტი, შეხვედრისას აუხსნა, რომ დაპირებული ავტომანქანები გემზე იყო, იტალიის ერთ-ერთ პორტში იდგა და უახლოესი ორი კვირის განმავლობაში ჩამოვიდოდა საქართველოში. ამით მან გ. ქ-ქე დაარწმუნა შეპირებული ავტომანქანების ჩამოყვანის რეალობაში და უთხრა, რომ შეღავათიან ფასებში კიდევ იყო ავტომანქანების ჩამოყვანის საშუალება, კერძოდ, 1998 და 2004 წლებში გამოშვებული 2 „ML-ის“ ჯიპისა, რომლებშიც 16000 აშშ დოლარი მოითხოვა. პირადი ნაცნობობიდან გამომდინარე, აღნიშნულზე გ. ქ-ქე კვლავ დასთანხმდა და თბილისში, სანზონის ტერიტორიაზე მანქანით მისულ ა. ჯ-ქესა და თ. ს-ქეს გადასცა 16000 აშშ დოლარი, რაც, სიტყვიერი დაპირებების მიუხედავად, ცოლ-ქმარს არ დაუბრუნებია და არც ავტომანქანები ჩამოეყვანია.

ა. ჯ-ქე და თ. ს-ქე მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით, არაერთგზის დაეუფლნენ გ. ქ-ქის კუთვნილ 32500 აშშ დოლარს, რითიც მას მიაყენეს დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

ა. ჯ-ქე და თ. ს-ქე 2006 წლის ივლის-აგვისტოში, წინასწარი შეთანხმებით, თაღლითურად სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ნდობის გამოყენებით, არაერთგზის დაეუფლნენ თბილისში, ... ქ. №8, ბინა №58-ში მცხოვრები გ. ლ-ქის კუთვნილ 85000 დოლარს, რითიც მას მიაყენეს დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

2006 წლის მარტში ა. ჯ-ქე შეხვდა თავის ნაცნობ გ. ლ-ქეს, რომელსაც ქალაქში მოძრაობისას დაანახვა ავტომანქანები და უთხრა, რომ ისინი მას ჰყავდა ჩამოყვანილი ამერიკიდან იქ მყოფი მეგობრის დახმარებით. თავისი სიტყვებისათვის მეტი დამაჯერებლობის მიცემისა და გ. ლ-ქის ნდობის მოპოვების მიზნით ა. ჯ-ქემ ორთაჭალაში, ბაგრატიონის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე გაჩერებულ რამდენიმე ავტომანქანაზე მიუთითა, როგორც თავის ჩამოყვანილზე.

2006 წლის 19 აგვისტოს ა. ჯ-ქემ გ. ლ-ქეს შეხვედრისას შესთავაზა „ლექსუსის“ ჯიპის ჩამოყვანა 19000 აშშ დოლარად. აღნიშნული თანხა გ. ლ-ქემ დაბა ... აუტანა და გადასცა ა. ჯ-ქესა და მის მეუღლეს, რომლებმაც გადათვალეს თანხა და დაამტკიცეს იგი ავტომანქანის დათქმულ ღრობში – თვე-ნახევრიდან სამ თვემდე ვადაში ჩამოეყვანაში.

2006 წლის 26 აგვისტოს გ. ლ-ქე დაუკავშირდა ა. ჯ-ქეს და სთხოვა მეუღლისათვის ავტომანქანა „რაე-4-ის“ ჩამოყვანა, რაზეც ა. ჯ-ქემ თანხმობა განუცხადა და მოსთხოვა 6500 აშშ დოლარი. რადგანაც გ. ლ-ქეს ხელზე საჭირო თანხა არ ჰქონდა, მან ა. ჯ-ქესა და მის მიერ მოყვანილ სამ პირს 5000 აშშ დოლარის საფასურად გადასცა და გადაუფორმა ორი „გლოკისა“ და ერთი

„სტერკინის“ პისტოლეტი, ხოლო დარჩენილი 1500 აშშ დოლარი მას უნდა გადაეხადა მანქანის თბილისში ჩამოყვანის შემდეგ.

2006 წლის სექტემბრის დასაწყისში გ. ლ-ძეს საცხოვრებელ ბინაში ესტუმრნენ ა. ჯ-ძე და თ. ს-ძე, რომლებმაც უთხრეს, რომ ამერიკაში იყო 2003 წელს გამოშვებული „ML-ის“ ჯიპი, რომლის ჩამოყვანასა და განბაჟებას 10000 აშშ დოლარი სჭირდებოდა. მათ აუხსნეს გ. ლ-ძეს, რომ საქმეში თვითონ 5000 აშშ დოლარს ჩადებდნენ, ხოლო დანარჩენი თანხა შესთავაზეს, მას მიეცა; თან უთხრეს, რომ მანქანის საქართველოში ჩამოყვანისა და მისი რეალიზაციის შემდეგ საქმეში ჩადებულ თანხას დაუბრუნებდნენ და მოგების ნაწილსაც გაუყოფდნენ. გ. ლ-ძე, შეთავაზებული წინადადების აშკარა მომგებიანი და სარფიანი პირობებიდან გამომდინარე, დაეთანხმა და მოთხოვნილი თანხა – 5000 აშშ დოლარი მაშინვე გადასცა. ისინი ავტომანქანის ჩამოყვანასა და რეალიზაციას მაქსიმუმ 3 თვის ვადაში დაჰპირდნენ, მაგრამ მათ მანქანა არ ჩამოუყვანიათ და არც თანხა დაუბრუნებიათ.

ა. ჯ-ძემ და თ. ს-ძემ 2006 წლის ოქტომბერში, მორიგი შეხვედრისას, გ. ლ-ძეს შესთავაზეს, მოეძებნა ვინმე მყიდველი, რომელიც „ს“ კლასის „მერსედესის“ მარკის ავტომანქანაში გადაიხდიდა 33000 აშშ დოლარს, სამაგიეროდ მეორე, ანალოგიურ მანქანას 23000 აშშ დოლარად მისცემდნენ, რომელსაც ის დაიტოვებდა ან მომგებიან ფაზში გაყიდდა. აღნიშნული პირობა მან გააცნო თავის ბიძაშვილ ა. შ-ისს, რომელიც დაეთანხმა შეთავაზებულ წინადადებას და გ. ლ-ძის თანდასწრებით იმავე დღეებში 33000 აშშ დოლარი გადასცა ა. ჯ-ძესა და თ. ს-ძეს. აღნიშნულის შემდეგ გ. ლ-ძემ ა. ჯ-ძესა და თ. ს-ძეს გადასცა უკვე თავისთვის ჩამოსაყვანი მეორე ავტომანქანის თანხა – 23000 აშშ დოლარი, მაგრამ შეპირებული ავტომანქანები მათ არ ჩამოუყვანიათ. აღნიშნულის გამო გ. ლ-ძე იძულებული გახდა, გაეყიდა თბილისში, დოლიძის ქუჩის დასაწყისში მდებარე მშენებარე ბინა და მიღებული თანხა – 33000 დოლარი დაებრუნებინა ა. შ-ინისათვის, ვინაიდან იგი მან გააცნო ცოლ-ქმარს და მის წინაშე დავალებულად გრძნობდა თავს.

ა. ჯ-ძე და თ. ს-ძე 2006 წლის ივლის-აგვისტოში წინასწარი შეთანხმებით, თაღლითურად, სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით, ნდობის ბოროტად გამოყენებით, არაერთგზის დაუფლნენ ბესიკ კ-ძის კუთვნილ 20500 აშშ დოლარს, რითიც მას მიაყენეს დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

2006 წლის მარტში ა. ჯ-ძე დაუკავშირდა თავის ნაცნობ ბ. კ-ძეს და უთხრა, რომ აშშ-ში ჰყავდა ნაცნობი, რომლის დახმარებით შეეძლო ავტომანქანების თბილისში ჩამოყვანა ხელსაყრელ ფასად. მან ბ. კ-ძესთან მომდევნო შეხვედრებისას, თავისი სიტყვებისათვის მეტი დამაჯერებლობის მიცემისა და ნდობის მოპოვების მიზნით, ქალაქში მოძრაობისას მიუთითა რამდენიმე მანქანაზე, როგორც თავის ჩამოყვანილზე. აღნიშნულის შემდეგ მან ბ. კ-ძეს შესთავაზა, თუ მას სურვილი ექნებოდა, შეეძლო მისთვის ავტომანქანების იაფად ჩამოყვანა. აშკარად ხელსაყრელი პირობებიდან გამომდინარე, ბ. კ-ძე დასთანხმდა მას და 2003 წლის გამოშვება „ML-ის“ ჯიპის ჩამოსაყვანად 2006 წლის ივლისში ა. ჯ-ძესა და თ. ს-ძეს თბილისში, ვაკის ტერიტორიაზე, გადასცა 12500 აშშ დოლარი. შეთანხმების მიხედვით, მათ ავტომანქანა უნდა ჩამოეყვანათ 3 თვის განმავლობაში.

2006 წლის ოქტომბერში ა. ჯ-ძემ და თ. ს-ძემ ბ. კ-ძე წაიყვანეს ზაქესის საბაჟო ტერმინალზე და აჩვენეს „ML-ის“ ჯიპი; უთხრეს, რომ მანქანა ჩამოყვანილი იყო ამერიკიდან, მაგრამ მისი განბაჟება ვერ მოახერხეს ავტომანქანის საბუთის, ე.წ. „ტაიტლის“ დაკარგვის გამო. აღნიშნული ავტომანქანის ჩვენებით ა. ჯ-ძემ და თ. ს-ძემ მიაღწიეს ბ. კ-ძის სრული ნდობის მოპოვებას და კვლავ გადაწყვიტეს მისი მოტყუება. ამ მიზნით მას უთხრეს, რომ შეეძლოთ „ს“ კლასის „მერსედესის“ ჩამოყვანა 8000 აშშ დოლარად. აღნიშნულზე, ა. ჯ-ძესა და თ. ს-ძესთან ახლობლობისა და შემოთ-ძებული აშკარად ხელსაყრელი პირობებიდან გამომდინარე, ბ. კ-ძე კვლავ დაეთანხმა და მომდევნო ორ დღეში მოთხოვნილი თანხიდან 7000 დოლარი გადასცა მათ სახელმწიფო ტელევიზიის შენობის წინ, ხოლო დარჩენილი 1000 აშშ დოლარი, მათივე მოთხოვნით, გადარიცხა ბანკ „რესპუბლიკაში“, ა. ჯ-ძის პირად საბანკო ანგარიშზე. მიუხედავად ამისა, დაპირებული ავტომანქანები მისთვის არ ჩამოუყვანიათ და არც თანხა დაუბრუნებიათ.

2006 წლის თებერვალში ა. ჯ-ძე დაუკავშირდა თავის ნაცნობ ლ. ო-შვილს, რომელიც აპირებდა თავის საკუთრებაში მყოფი ავტომანქანა „მერსედესის“ გაყიდვას. მათი ახლო ურთიერთობიდან გამომდინარე, ა. ჯ-ძემ მას შესთავაზა აღნიშნული მანქანის გაყიდვა. შეთანხმებისამებრ, მან გაყიდა ლ. ო-შვილის ავტომანქანა 4000 აშშ დოლარად, ხოლო უმანქანოდ დარჩენილ ლ. ო-შვილს შესთავაზა აშშ-დან იაფად, ხელსაყრელ ფასად – 9500 აშშ დოლარად „მერსედესის“ მარკის „-ის“ ჯიპის ჩამოყვანა, რაზეც იგი დასთანხმდა და ა. ჯ-ძეს დამატებით გადასცა 5500 აშშ დოლარი. შეთანხმებისამებრ, ა. ჯ-ძემ ლ. ო-შვილს 2006 წლის მაისის შუა რიცხვებში გადასცა „ML-ის“

ჯიბი. 2006 წლის მაისის ბოლოს ლ. ო-შვილმა, რომელიც ენდობოდა ა. ჯ-ძეს, ახალი „ML-ის“ ჯიბის ჩამოსაყვანად გადასცა 11000 აშშ დოლარი, ხოლო 2006 წლის ივნისის დასაწყისში გადაწყვიტა თავის საკუთრებაში მყოფი „ML-ის“ ჯიბის გაყიდვა, რაშიც მას დახმარება ისევ შესთავაზა ა. ჯ-ძემ. შეთანხმების მიხედვით, ა. ჯ-ძემ აღნიშნული მანქანა გაყიდა 22000 აშშ დოლარად, რაც ტელეფონით შეატყობინა ლ. ო-შვილს და უთხრა, რომ მანქანის მყიდველმა გადაუხადა 11000 აშშ დოლარი, ხოლო დარჩენილ 11000 აშშ დოლარს უახლოეს დღეებში მიიღებდა. 2006 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში ზღვაზე დასასვენებლად მიმავალ ლ. ო-შვილს ა. ჯ-ძემ გადასცა 10000 აშშ დოლარი, ხოლო დარჩენილი 23000 აშშ დოლარის საფასურად შეჰპირდა აშშ-დან 2 ავტომანქანის – „ML-ის“ ჯიბის ჩამოყვანას, მაგრამ დაპირებული ავტომანქანები მისთვის არ ჩამოუყვანია და არც თანხა დაუბრუნებია.

ა. ჯ-ძე და თ. ს-ძე მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით, ნდობის ბოროტად გამოყენებით, არაერთგზის დაუფლნენ გ. ქ-ძის, გ. ლ-ძის, ბ. კ-ძისა და ლ. ო-შვილის კუთვნილ თანხებს, სულ – 161000 აშშ დოლარის ოდენობით, რითიც მათ მიაყენეს დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის ა. ჯ-ძეს მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო თ. ს-ძეს – 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; მათვე დამატებითი სასჯელის სახით თითოეულს დაეკისრა 5 ათასი ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მსჯავრდებულებს სასჯელის ათვლა დაეწყოთ 2007 წლის 1 მარტიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულთა ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – პ. ხ-შვილმა, მ. ხ-იამ და ვ. თ-ძემ, ასევე – მსჯავრდებულმა ა. ჯ-ძემ. მათ ითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება, ა. ჯ-ძისა და თ. ს-ძის გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მარტის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 ნოემბრის განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით:

დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და მსჯავრდებულ თ. ს-ძეს შორის, რომლის თანახმად, თ. ს-ძეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეუბნებით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით, განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე შეეცვალა პირობითი მსჯავრით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 5 წელი; მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა 10 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. თ. ს-ძე დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან; მას პატიმრობაში ყოფნის დრო – 2007 წლის 1 მარტიდან 2008 წლის 13 მარტის ჩათვლით – ჩათვალა სასჯელის მოხდაში. განაჩენი ა. ჯ-ძის მიმართ დარჩა უცვლელად.

კასატორები – მსჯავრდებული ა. ჯ-ძე და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი დ. ა-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ განაჩენი დაუსაბუთებელი და უკანონოა და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლო გამოძიების დროს ა. ჯ-ძემ კატეგორიულად უარყო დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა და აღნიშნა, რომ დაზარალებულების დიდი ნაწილი პოლიციის თანამშრომელია, რაც გამოძიების მსვლელობისას ზეწოლის ერთ-ერთი მეთოდი იყო; ა. ჯ-ძემ აღიარა, რომ აღნიშნული პირებისაგან ნამდვილად ჰქონდა თანხები აღებული, მაგრამ დიდი ნაწილი დაუბრუნა გ. ქ-ძესა და გ. ლ-ძეს საერთო მეგობრის – გ. მ-იანის მეშვეობით ჯერ კიდევ 2006 წლის შემოდგომაზე; მას ავტომანქანები ახლობლებისათვის ჩამოჰყავდა ყოველგვარი მატერიალური დაინტერესების გარეშე, რასაც დაზარალებულებიც ადასტურებენ; ისინი არ ითხოვენ მსჯავრდებულების დასჯას, მათი მიზანი მხოლოდ მიყენებული ზარალის ანაზღაურებაა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 13 მარტის განაჩენის გაუქმებას და ა. ჯ-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების მოტივს მტკიცებულებათა არასაკმარისობის შესახებ და აღნიშნავს, რომ საქმის გარემოებები გამოკვლეულია სსსკ-ის მე-18 მუხლის შესაბამისად – ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, გასაჩივრებული განაჩენი დადგენილია სსსკ-ის 496-ე

მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა დაცვით და იგი დასაბუთებულია, რადგან ეყრდნობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებულ და გამოკვლეულ უტყუარ მტკიცებულებებს, მათ შორის დაზარალებულების – გ. ლ-ძის, ლ. ო-შვილის, ბესიკ კ-ძის, გ. ქ-ძის, მოწმეების – შ. მამულაშვილის, დიმიტრი ქვაჭრელიშვილის, დ. ვ-შვილის, შ. ჩ-ძის, ა. შ-ინის და სხვათა ჩვენებებს.

კასატორები მიუთითებენ, რომ თანხის დიდი ნაწილი დაზარალებულებს დაუბრუნეს საერთო ნაცნობის – გ. მ-იანის მეშვეობით, რაც სასამართლოში ამ უკანასკნელმა კატეგორიულად უარყო და განაცხადა, რომ თვითონაც გადასცა ა. ჯ-ძეს 31 ათასი აშშ დოლარი, მაგრამ შეიტყო „რაც ხდებოდა“ და თანხის დაბრუნება მოსთხოვა. ა. ჯ-ძემ მხოლოდ 10 ათასი აშშ დოლარი დაუბრუნა. გ. მ-იანმა მიუთითა, რომ ა. ჯ-ძის შვილები შეეცოდა და მხოლოდ ამის გამო არ მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს.

კასატორებს ნიშანდობლივად მიაჩნიათ, რომ დაზარალებულები მხოლოდ ზიანის ანაზღაურებას მოითხოვენ, თუმცა დაზარალებულთა ეს პოზიცია ბუნებრივია ამ დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე.

პალატა აღნიშნავს, რომ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის და მართლსაწინააღმდეგო შედეგის, ასევე – ა. ჯ-ძის პიროვნების და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, ამ უკანასკნელს განესაზღვრა სამართლიანი სასჯელი.

ამასთან, არასწორად გადაწყდა საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილ ცეცხლსასროლ იარაღთა საკითხი, კერძოდ:

მიუხედავად იმისა, რომ ა. ჯ-ძისა და თ. ს-ძისაგან ამოღებული ნივთები გასაჩივრებული განაჩენით უნდა დაუბრუნდეს მათ კანონიერ მფლობელებს, მათგანვე ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღები, რომლებსაც მსჯავრდებულები მართლზომიერად ფლობდნენ, გადაეცა შსს-ს შესაბამის სამსახურს სათანადო რეაგირებისათვის.

საკასაციო პალატა ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ნასამართლევ პირებზე არ გაიცემა იარაღთან დაკავშირებული ნებართვა, რაც ცხადია იმას გულისხმობს, რომ ნასამართლევ პირებს არ აქვთ ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის უფლება. ამის გამო, ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღების კანონმდებლობით დადგენილი წესით რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა უნდა დაუბრუნდეს ა. ჯ-ძესა და თ. ს-ძეს და ამ ნაწილში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო სააგენტოს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ხოლო მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. ჯ-ძისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ა-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მარტის განაჩენი შეიცვალოს: ნივთმტკიცებების – გლუვკულიანი სანადირო თოფი „ლუიჯი ფრენჩის“ და პისტოლეთ „CZ-97-ის“ კანონმდებლობით დადგენილი წესით რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა დაუბრუნდეს ა. ჯ-ძესა და თ. ს-ძეს და ამ ნაწილში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო სააგენტოს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



### 13. დაზარალებულისა და მისი უფლებამონაცვლის უფლებები

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 425-აპ

5 ივნისი, 2007 წ., ქობილისი

saqarTvelos uzenaesi sasamarTlos sisxlis samarTlis saqmeTa palatam Semdegi SemadgenlobiT:  
d. sulaqveliZe (Tavmjdomare),

ზ. მეიშვილი,

ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. ჩ-ძის დამცველის, ადვოკატ ლ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ჩ-ძე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 ივლისის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლისა და 108-ე მუხლის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

განაჩენით ლ. ჩ-ძეს მსჯავრი დაედო განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 8 დეკემბერს თბილისში, ა. წერეთლის გამზირზე, ლ. ჩ-ძე შეხვდა თავის ნაცნობ ა. კ-იას, რომელიც მუშაობდა შპს „ვაზტრანსგაზში“ კონტროლიორად. დაახლოებით 16.00 საათისათვის მათ შეუერთდნენ ა. კ-იას თანამშრომლები – მ. კ-ძე და ი. გ-ვეი, რის შემდეგ მათ გადაწყვიტეს სავანშმოდ შესულიყვნენ ... ქუჩაზე მდებარე რადიოქარხნის შენობაში განთავსებულ სასადილოში. იქ ყოფნისას ოთხივე მათგანმა მიიღო ალკოჰოლური სასმელი. ვანშობისას ლ. ჩ-ძეს შეკამათება მოუხდა ა. კ-იასთან, რა დროსაც განიზრახა მისი მოკვლა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ლ. ჩ-ძემ ყველასათვის მოულოდნელად მაგიდიდან აიღო სამზარეულოს დანა და თავდაპირველად მარჯვენა ფეხის ბარძაყში დაარტყა ა. კ-იას, შემდეგ კი ორჯერ – მუცლისა და გულმკერდის არეში. აღნიშნულის შედეგად ა. კ-იამ მიიღო შემავალი ჭრილობები დიაფრაგმის, ელენთისა და კუჭის წინა კედლის დაზიანებით. დაზარალებული ა. კ-ია დროული სამედიცინო დახმარების შედეგად სიკვდილს გადარჩა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ლ. ჩ-ძის დამცველმა, ადვოკატმა ლ. ბ-ძემ. აპელანტი თავისი საჩივრით ითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ, ლ. ჩ-ძის გამართლებას საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლისა და 108-ე მუხლის საფუძველზე წარდგენილ ბრალდებაში და მისი ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 124-ე მუხლის მე-2 ნაწილით იმ მოტივით, რომ აღნიშნული განაჩენი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ გამომდინარეობს საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან. აპელანტის განმარტებით, ლ. ჩ-ძეს არ ჰქონია ა. კ-იას მოკვლის განზრახვა – იგი უმისამართოდ, ზუმრობით იქნედა დანას და შემთხვევით დაჭრა დაზარალებული, რომელიც მისი მეგობარია და რომელიც თვითონვე წაიყვანა საავადმყოფოში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 იანვრის განაჩენით მსჯავრდებულ ლ. ჩ-ძის დამცველის, ადვოკატ ლ. ბუაძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 ივლისის განაჩენი ლ. ჩ-ძის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ლ. ჩ-ძის დამცველმა, ადვოკატმა ლ. ბ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. თავისი საჩივრით იგი ითხოვს სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ ლ. ჩ-ძის ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 124-ე მუხლის მე-2 ნაწილით იმავე მოტივების საფუძველზე, რაც მას მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ლ. ჩ-ძის მიმართ და შეამოწმა გასაჩივრებული განაჩენის კანონიერება, მიიჩნია, რომ აღნიშნული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოში ლ. ჩ-ძის ბრალდების საქმის განხილვისას არ ყოფილა დაცული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 69-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ, დაირღვა დაზარალებულის უფლება მონაწილეობა მიეღო სააპელაციო ინსტანციის სასამართლო სხდომაში და დაეცვა თავისი უფლებები და კანონიერი ინტერესები. მართალია, სააპელაციო სასამართლოში საქმის განსახილველად პირველი სასამართლო სხდომის დანიშვნისას დაზარალებულ ი. კ-იას გაეგზავნა შეტყობინება, მაგრამ საქმეში არ არსებობს რაიმე დოკუმენტი, რომლითაც ცნობილი გახდებოდა ამ შეტყობინების დაზარალებულისათვის ჩაბარების ფაქტი. ამასთან, საქმეში ასევე არ მოიპოვება არანაირი დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა დაზარალებულის ნება იმის თაობაზე, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვა ჩატარებულიყო მისი მონაწილეობის გარეშე. საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ ფაქტსაც, რომ სააპელაციო სასამართლოში სამჯერ გადაიღო საქმის განხილვა, ხოლო საქმის მასალებიდან დგინდება, რომ დაზარალებული არც ერთხელ არ ყოფილა გაფრთხილებული ამის შესახებ, ასევე, დაზარალებული ა. კ-ია არ იქნა გაფრთხილებული სააპელაციო სასამართლოს იმ სხდომის თაობაზე, როდესაც ჩატარდა ლ. ჩ-ძის ბრალდების საქმის არსებითი განხილვა და საქმეზე განაჩენი დადგინდა. ამასთან, საქმეში არ მოიპოვება არანაირი მონაცემი დაზარალებულისათვის შეტყობინების გაგზავნის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივნისის განაჩენი ლ. ჩ-ძის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოში მსჯავრდებულ ლ. ჩ-ძის ბრალდების საქმის განხილვა უნდა ჩატარდეს საქართველოს სსსკ-ის 69-ე მუხლისა და სხვა საპროცესო ნორმების მოთხოვნათა სრული დაცვით.

განხილული გარემოების გამო საკასაციო პალატა არსებითად ვერ იმსჯელებს მსჯავრდებულ ლ. ჩ-ძის დამცველის მიერ შეტანილი საკასაციო საჩივრის თაობაზე, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნული საჩივრის მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ლ. ჩ-ძის დამცველის, ადვოკატ ლ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 იანვრის განაჩენი ლ. ჩ-ძის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე ლ. ჩ-ძის მიმართ ახალი განხილვისათვის გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### 14. ნასამართლობა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 1558-აპ

28 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),  
დ. სულაქველიძე,

## ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. მ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 2 მაისის განაჩენით რ. მ-მ, გამართლდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

საბრალდებო დასკვნით რ. მ-მეს ბრალი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, საცავში უკანონო შეღწევით. მანვე ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა და შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

რ. მ-მემ განიზრახა ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა სხვის მოძრავ ნივთს. აღნიშნული განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იგი 2006 წლის 4 ნოემბერს დილით მივიდა თბილისში, ... ქუჩა №95-თან, უკანონოდ შეაღწია აღნიშნულ მისამართზე მდებარე ი. შ-ლიას დამხმარე სათავსში, სადაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა 70 ლარად ღირებულ სხვადასხვა საოჯახო ნივთს და მიიძალა.

მანვე დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“, რასაც ასევე უკანონოდ ინახავდა. 2006 წლის 20 ნოემბერს რ. მ-მე დააკავეს პოლიციელებმა, რა დროსაც ჩხრეკის შედეგად ლურჯი ჯინსის შარვლის უკანა მარჯვენა ჯიბიდან ამოიღეს შავი ცელოფნის პარკში გახვეული მომწვანო, სპეციფიკური სუნის მქონე მცენარეული მასა, რაც ქიმიური ექსპერტიზის 2006 წლის 20 ნოემბრის შესაბამისად წარმოადგენს 20 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „მარიხუანას“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 2 მაისის განაჩენით რ. მ-მე გამართლდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ ამავე კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა სახელმწიფო ბრალმძებელმა და მსჯავრდებულმა.

პროკურორმა მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის შეცვლა, რ. მ-ის დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელად 10 წლით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა.

მსჯავრდებულმა რ. მ-მემ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 19 ივლისის განაჩენით საჩივრები არ დაკმაყოფილდა და პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული რ. მ-მე საკასაციო საჩივრებში აღნიშნავს, რომ დანაშაული არ ჩაუდენია ყოველივე პროვოცირებულია პოლიციელთა მიერ. იგი ორივე ინსტანციის სასამართლომ არასწორად მიიჩნია ნასამართლევ პირად. კასატორის განმარტებით, ჩხრეკა არ ჩატარებულა და პოლიციელებს მისთვის დამსწრის მოწვევა არ შეუთ-ძებიათ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მოითხოვს ორივე ინსტანციის სასამართლოს განაჩენთა გაუქმებას და ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და თვლის, რომ ისინი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

პირველი ინსტანციის სასამართლომ განსასჯელისათვის სასჯელის დანიშვნისას პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიუთითა რ. მ-ის ნასამართლობაზე. ეს უკანასკნელი 2002 წლის 18 ივნისს გაასამართლა თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ და სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიუსაჯა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა მსჯავრდებულს დაეწყო 2001 წლის 4 აგვისტოდან. უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 5 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო პალატის

განაჩენი შეიცვალა და რ. მ-ძეს დანიშნული სასჯელი შეუმცირდა 1 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთამდე.

ამდენად, რ. მ-ძე მსჯავრდებული იყო ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის, რისთვისაც საბოლოოდ განესაზღვრა 1 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის ნასამართლობა გაქარწყლდება სასჯელის მოხდიდან 3 წლის შემდეგ. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, გაქარწყლებული ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას.

მოცემულ შემთხვევაში ცხადია, რომ რ. მ-ძეს ნასამართლობა გაქარწყლებული ჰქონდა და პირველი ინსტანციის სასამართლომ ეს გარემოება არასწორად მიიჩნია პასუხისმგებლობის დამამძიმებლად.

სააპელაციო პალატამ არ აღმოფხვრა კანონის აღნიშნული დარღვევა და თავის განაჩენში მიუთითა, რომ რ. მ-ძე ნასამართლევა.

პალატა აღნიშნავს, რომ საბრალდებო დასკვნით რ. მ-ძე არ ითვლებოდა ნასამართლევი პირად.

გარდა ამისა, გასაჩივრებული განაჩენი, სხვა მასალებთან ერთად, ეყრდნობა დაკავებისა და ჩხრეკის ოქმს და სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის დასკვნას.

აღნიშნულ ორივე წერილობით მტკიცებულებას არსებითი მნიშვნელობა აქვს პირის სსკ-ის 260-ე მუხლით მსჯავრდების საკითხის გადაწყვეტისას. ამის მიუხედავად, ისინი პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების სხდომებზე არ წაკითხულა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 484-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მხარეთა შუამდგომლობით ან სასამართლოს ინიციატივით სასამართლოს სხდომაზე საჯაროდ ქვეყნდება წინასწარი გამოძიების დროს საქმისათვის დართული წერილობითი მტკიცებულებები და საგამოძიებო მოქმედების ოქმები. ამასთანავე, ირკვევა საკითხი ამ მტკიცებულებათა მიღების ხერხების, სანდოობის, შესახებობისა და დასაშვებობის თაობაზე. სსკ-ის 496-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

როგორც აღინიშნა, საქმის ის არსებითი მასალები, რასაც დაეყრდნო სააპელაციო პალატა გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას, სასამართლო სხდომაზე არ გამოქვეყნებულა და, შესაბამისად, სასამართლო სხდომაზე არ განხილულა. ამასთან, არ გარკვეულა ამ წერილობითი მტკიცებულებების მიღების ხერხების, სანდოობის, შესახებობისა და დასაშვებობის საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი დაუსაბუთებელია, იგი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს განჩინებაში მითითებული გარემოებები და ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 570-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ რ. მ-ძის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივლისის განაჩენი რ. მ-ძის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 15. არასრულწლოვანისათვის სასჯელის დანიშნის წესი

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ომხარელი (თავმჯდომარე),  
ლ. მურუსიძე,  
დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ხაშურის რაიონული პროკურატურის პროკურორ ვ. ტ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 15 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 25 აგვისტოს განაჩენით: გ. ფ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით (2000 წლის 30 მაისის რედაქცია), 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 187-ე მუხლის პირველი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეოთხე ნაწილის გამოყენებით საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. გაუქმდა წინასწარ გამოძიებაში გ. ფ-შვილის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა.

გ. გ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეოთხე ნაწილის გამოყენებით საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე გ. გ-შვილის მიმართ გამოყენებულ იქნა პირობითი მსჯავრი და საგამოცდო ვადად დაენიშნა 4 წელი. საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მეხუთე ნაწილის საფუძველზე მას დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. გაუქმდა გამოძიების მსვლელობისას გ. გ-შვილის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – მშობლის მეთვალყურეობა.

მსჯავრდებულებს – გ. ფ-შვილსა და გ. გ-შვილს წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ხაშურის ეკლესიის სასარგებლოდ დაეკისრათ 798 ლარისა და 70 თეთრის გადახდა.

მსჯავრდებულ გ. ფ-შვილს სს „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის ხაშურის ფილიალის“ სასარგებლოდ დაეკისრა 425 ლარისა და 30 თეთრის გადახდა.

დაზარალებულებს – ხაშურის რაიონის სოფ. ... მდებარე წმინდა გ.ს სახელობის ეკლესიას, დაბა სურამში მდებარე კვირაცხოვლობის ეკლესიასა და ი. მ-შვილს დარჩათ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით სამოქალაქო სამართალწარმოებით სარჩელის აღძვრის უფლება.

განაჩენით გ. ფ-შვილისა და გ. გ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

გ. ფ-შვილმა და გ. გ-შვილმა განიზრახეს გაექურდათ ხაშურში, ე.წ. „გორათის“ სასაფლაოზე მდებარე წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესია. 2004 წლის 18 აგვისტოს, დაახლოებით 23 საათზე, მათ დაიქირავეს გამოძიებით დაუდგენელი „ვაზ-2106“ მარკის ავტომანქანა და მივიდნენ ეკლესიასთან. გ. ფ-შვილმა სახლიდან წამოღებული ნაჯახით შეამტვრია ეკლესიის კარი, შემდეგ მან და გ. გ-შვილმა უკანონოდ შეაღწიეს ეკლესიაში და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლნენ იქ არსებულ სხვადასხვა დასახელების საეკლესიო დანიშნულების ნივთს. მოპარული ნივთები 150 ლარად მიჰყიდეს ხაშურის რაიონის სოფ. იტრიაში მცხოვრებ დ. კ-ძეს, ხოლო აღებული თანხა გაინაწილეს. მათ ეკლესიას სულ მიაყენეს 798,70 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

2005 წლის 13 მაისს, დაახლოებით 23 საათზე, გ. ფ-შვილმა და გ. გ-შვილმა განიზრახეს, გაექურდათ ხაშურის რაიონის სოფ. ... მდებარე წმინდა გ.ს სახელობის ეკლესია. ისინი დაქირავებული ტაქსით მივიდნენ ეკლესიასთან, დასავლეთ კედელზე არსებული სარკმლიდან უკანონოდ შეაღწიეს შიგ, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, არაერთგზის, ფარულად

დაეუფლნენ საკურთხეველში არსებულ ხეზე შესრულებულ მარიამ ღვთისმშობლის გამოსახულებიან ხატს, ხის ჩარჩოში ჩასმულ წმინდა გ.ს გამოსახულებიან ხატსა და ტრაპეზის ჯვარს, რის შემდეგაც ძალის გამოყენებით შიგნიდან გააღეს კარი, გამოიტანეს ნაქურდალი ნივთები, დაქირავებული ტაქსით წაიღეს ხაშურის რაიონის სოფ. იტრიაში მცხოვრებ დ. კ-ქესთან, 150 ლარად მიჰყიდეს ხატები და ალებული ფული თანაბრად გაინაწილეს.

2006 წლის 16 სექტემბერს, დაახლოებით 23 საათზე, გ. ფ-შვილი და გ. გ-შვილი გაქურდვის მიზნით მივიდნენ დაბა სურამში მდებარე კვირაცხოვლობის სახელობის ეკლესიასთან. „ლომგაზას“ გამოყენებით შეამტკრიეს ეკლესიის კარი, უკანონოდ შეაღწიეს შიგ და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლნენ ე.წ. „კიოტში“ მოთავსებულ წმინდა ღვთისმშობლის სწრაფშემსენებელ ხატს, მის ირგვლივ ჩამოკიდებულ ოქროსა და ვერცხლის მცირე ზომის ჯვრებს, ვერცხლის სამაჯურს, ქარვისთვლიან გულსაკიდს ოქროს ჯვავით, მარგალიტისა და ბრილიანტის თვლებით გავყობილ ხატს, ფულის შესაწირ ორ ხის ყუთს. მოპარული ნივთები გადაიტანეს ეკლესიის გვერდზე არსებულ ტყეში, სადაც ყუთები დაამტკრიეს, ფული ამოიღეს, ხოლო ხატები მიჰყიდეს დაბა სურამში მცხოვრებ გამოძიებით დაუდგენელ ვინმე „ვეფხიას“ და ალებული თანხა – 150 ლარი თანაბრად გაინაწილეს.

2006 წლის 16 თებერვალს, დაახლოებით 02 საათზე, გ. ფ-შვილი მივიდა ქ. ხაშურში, რუსთაველისა და აღმაშენებლის ქუჩებს შორის, მდინარე სურამელას მარჯვენა სანაპიროზე, სადაც ნახა ჰაერში გამავალი და დაბლა დაშვებული სს „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის ხაშურის ფილიალის“ ბალანსზე რიცხული „ტპპ-30V2“ ტიპის სპილენძის კაბელი, რომელიც ჩამოჭრა სახლიდან წამოღებული ბრტყელტუჩითი, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა 80 მეტრი სიგრძის სპილენძის სადენს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. აღნიშნული კაბელები მან 16 ლარად ჩააბარა ჯართის მიძღებ პუნქტში.

2006 წლის 24 თებერვალს, დაახლოებით 23 საათზე, გ. ფ-შვილი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა დაბა სურამის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის ხაშურის ფილიალის“ 120 მეტრიან 20V2 ტიპის სატელეფონო სადენს, 70 მეტრი სიგრძის სააბონენტო მრავალძარღვიან კაბელს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. აღნიშნული სადენები მან 18 ლარად ჩააბარა ჯართის მიძღებ პუნქტში.

2006 წლის 11 მარტს გ. ფ-შვილმა გადაწყვიტა ქ. ოზურგეთში წასვლა. ვინაიდან მას არ ჰქონდა მგზავრობის ფული, გადაწყვიტა, გაექურდა ხაშურის რაიონის სოფ. ... მცხოვრები ი. მ-შვილის საცხოვრებელი ბინა. იმავე ღამით, დაახლოებით 02 საათზე, იგი მივიდა ი. მ-შვილის მშენებარე სახლთან, შევიდა ეზოში, რკინის კარს მოაძრო ბოქლომი, უკანონოდ შეაღწია ბინაში და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა სხვადასხვა სახის, სულ 286 ლარის ღირებულების საოჯახო ნივთებს.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 15 დეკემბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

გ. ფ-შვილის ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა მოქმედი სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, 177-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან – 177-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ პუნქტზე.

გ. ფ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (ძველი რედაქცია), 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (მოქმედი რედაქცია, ძველი რედაქციის მინიმუმის გათვალისწინებით) – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 177-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (მოქმედი რედ. ძველის მინიმუმის გათვალისწინებით) – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 187-ე მუხლის პირველი ნაწილით (ძველი რედ.) – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეოთხე ნაწილის გამოყენებით საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა;

გ. გ-შვილის ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა მოქმედი სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (ძველი რედ.), 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (მოქმედი რედ. ძველის მინიმუმის გათვალისწინებით) და სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე გ. გ-შვილის მიმართ გამოყენებულ იქნა პირობითი მსჯავრი და საგამოცდო ვადად დაენიშნა 4 წელი. დამატებითი სასჯელი გ. გ-შვილის მიმართ გაუქმდა.

მსჯავრდებულებს – გ. ფ-შვილსა და გ. გ-შვილს წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ხაშურის ეკლესიის სასარგებლოდ დაეკისრათ 798 ლარისა და 70 თეთრის გადახდა.

მსჯავრდებულ გ. ფ-შვილს სს „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის ხაშურის ფილიალის“ სასარგებლოდ დაეკისრა მიყენებული ზიანის – 425 ლარისა და 30 თეთრის გადახდა.

ხაშურის რაიონული პროკურატურის პროკურორი ვ. ტ-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის, როგორც უკანონოს, გაუქმებას გ. ფ-შვილისა და გ. გ-შვილის მიმართ დანიშნული სასჯელის ნაწილში და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნებას იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის. კასატორი აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულების მიმართ დანიშნული სასჯელი არ ემსახურება სასჯელის მიზნებს, რომელიც თავისთავად გულისხმობს სამართლიანობის აღდგენას, დამნაშავეს რესოციალიზაციასა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

მსჯავრდებულ გ. გ-შვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლარისა ჩაღუნელი შესაგებლით ითხოვს, რომ საქართველოს სსკ-ის 547-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, კასატორს უარი ეთქვას საკასაციო საჩივრის დაშვებაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე შეკრებილი და სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებით სავსებით დადგენილია გ. ფ-შვილისა და გ. გ-შვილის ბრალეულობა მათზე შერაცხულ დანაშაულში.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს პროკურორის საკასაციო საჩივრის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულებისათვის განსაზღვრული სასჯელები არის უკანონო და არ ემსახურება სასჯელის მიზნებს.

სააპელაციო სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას გაითვალისწინა, რომ გ. ფ-შვილი პირველად სასამართლოში, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, ხასიათდება დადებითად, დანაშაულის ჩადენის დროს იყო არასრულწლოვანი, მრავალშვილიანი და ეკონომიკურად გაჭირვებული ოჯახიდანაა, ობოლია, იზრდებოდა ბებიასთან; გ. გ-შვილი პირველად სასამართლოში, ხასიათდება დადებითად, არასრულწლოვანია, გარდაცვლილი ჰყავს მამა, მრავალშვილიანი და ეკონომიკურად გაჭირვებული ოჯახიდანაა. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ, ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო, გ. ფ-შვილისა და გ. გ-შვილის მიმართ შეფარდებული სასჯელები მეტისმეტი სიმსუბუქის გამო არ შეიძლება ჩაითვალოს აშკარად უსამართლოდ.

საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლი (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) ადგენდა, რომ არასრულწლოვანს თავისუფლების აღკვეთა ენიშნება არაუმეტეს ათი წლის ვადით; თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვანს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეიძლება დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით, მაგრამ არაუმეტეს თხუთმეტი წლისა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 2007 წლის 4 ივლისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 88-ე მუხლში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლითაც განსაზღვრულია არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის დანიშვნის წესი. აღნიშნული წესის მიხედვით, არასრულწლოვანს დანაშაულისათვის სასჯელი უნდა დაენიშნოს ჩვეულებრივი წესით, ხოლო კანონში დიფერენცირებული მისი ასაკის შესაბამისად დანიშნული სასჯელი უნდა შემცირდეს შემდეგი ზომით: თორმეტიდან თოთხმეტ წლამდე არასრულწლოვნისათვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა განახევრდება, ამასთან იმ პირობით, რომ მის მიმართ დანიშნული საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს შვიდ წელს; ზემოხსენებული წესით თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა შემცირდება ერთი მესამედით, ხოლო საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ათ წელს; თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვნისათვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა შემცირდება ერთი მეოთხედით, საბოლოო სასჯელის ვადა კი არ უნდა აღემატებოდეს თხუთმეტ წელს. ამავე დროს, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროსაც

თითოეული დანაშაულისათვის ჩვეულებრივი წესით დანიშნული სასჯელი ასევე უნდა შემცირდეს ზემოაღნიშნული წესით, შემდეგ შეიკრიბოს მთლიანად, ხოლო საბოლოო სასჯელი არ უნდა აღმატებოდეს მსჯავრდებულის ასაკის შესაბამისად კანონში მითითებულ საბოლოო სასჯელთა ზომებს.

მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებით განსაზღვრული შეღავათები არ შეიძლება გავრცელდეს მსჯავრდებულებზე – გ. ფ-შვილსა და გ. გ-შვილზე, ვინაიდან მათ მიმართ სასამართლომ სასჯელის დანიშნისას გაითვალისწინა ის გარემოება, რომ არიან არასრულწლოვნები, ხოლო მათთვის დანიშნული სასჯელის ზომები არ სცდება ზემოხსენებული კანონით განსაზღვრულ სასჯელთა მაქსიმალურ ზღვარს. ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულ გ. ფ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება სწორადაა დაკვალიფიცირებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (2000 წლის 30 მაისის რედაქცია), 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია, წინა რედაქციის მინიმუმის გათვალისწინებით) და 177-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (მოქმედი რედ. ძველის მინიმუმის გათვალისწინებით). მაგრამ მსჯავრდებულ გ. ფ-შვილს თითოეული ამ მუხლის ნაწილით არასწორად დაენიშნა ცალ-ცალკე სასჯელი – 3 (სამი) და 4 (ოთხი) წლით თავისუფლების აღკვეთა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატის განაჩენი უნდა შეიცვალოს იმ მიმართებით, რომ გ. ფ-შვილს უნდა ამოერიცხოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (ძველი რედაქცია), 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (მოქმედი რედაქცია, ძველი რედაქციის მინიმუმის გათვალისწინებით) დანიშნული სასჯელი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და 177-ე მუხლით გათვალისწინებული ერთი ქმედებისათვის უნდა დაენიშნოს ერთი სასჯელი – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ გ. გ-შვილს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (ძველი რედ.), 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (მოქმედი რედ. ძველის მინიმუმის გათვალისწინებით) მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად, მის მიმართ გამოყენებულ იქნა პირობითი მსჯავრი და საგამოცდო ვადა დაენიშნა 4 წელი, რაც არასწორია, ვინაიდან სსკ-ის 64-ე მუხლის თანახმად, ამ კოდექსის 63-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას სასამართლო ადგენს გამოსაცდელ ვადას.

საქმის მასალების მიხედვით, ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლის 2006 წლის 16 მარტის ბრძანებით გ. გ-შვილს აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდა გირაო – 2000 ლარის ოდენობით, ხოლო ამავე სასამართლოს მოსამართლის 2006 წლის 2 მაისის ბრძანებით სისხლისსამართლებრივი იძულების ღონისძიების უზრუნველსაყოფად ყადაღა დაედო ნ. მ-შვილის სახელზე რიცხულ ბინას, მდებარე ქ. ხაშურში, ... ქ.№30-ში, რაც ინდივიდუალური აუდიტორის – „ლია ცუცქერიძის“ მიერ შეფასდა 3000 ლარად. აღნიშნული უცვლელად დარჩა I-ლი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე. ხაშურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 25 აგვისტოს განაჩენით გაუქმდა გამოძიების პერიოდში გ. გ-შვილის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – მშობლის მეთვალყურეობა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ განაჩენის გამოტანისას აღნიშნული მითითება არ გამოასწორა, რაც უნდა შესწორდეს. ამასთან, უნდა გაუქმდეს ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლის 2006 წლის 2 მაისის ბრძანება ნელი მეყანწიშვილის სახელზე რიცხულ ბინაზე, მდებარე ქ. ხაშურში, ... ქ.№30-ში, ყადაღის დადების შესახებ.

საქმეში არსებული მასალებით, გ. გ-შვილი დააკავეს 2006 წლის 14 მარტს, ხოლო 2006 წლის 16 მარტის ბრძანებით გ. გ-შვილს აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდა გირაო – 2000 ლარის ოდენობით და გათავისუფლდა პატიმრობიდან. ამდენად, გ. გ-შვილს სასჯელის ვადაში უნდა ჩათვალოს 3 დღე – 2006 წლის 14 მარტიდან 16 მარტამდე.

განაჩენით მსჯავრდებულებს – გ. ფ-შვილსა და გ. გ-შვილს წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ხაშურის ეკლესიის სასარგებლოდ დაეკისრათ 798 ლარისა და 70 თეთრის გადახდა.

აღნიშნული ბრალდების საქმის განხილვისას ამ ეპიზოდში დაზარალებულს არ წარმოუდგენია სასარჩელო განცხადება და არც სამოქალაქო მოსარჩელედ არ არის ცნობილი.

ამავე განაჩენით მსჯავრდებულ გ. ფ-შვილს სს „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის ხაშურის ფილიალის“ სასარგებლოდ დაეკისრა მიყენებული ზიანის – 425 ლარისა და 30 თეთრის გადახდა.



საქმის მასალების მიხედვით, სამოქალაქო სამართალწარმოება დაწყებულია მხოლოდ 2006 წლის 24 თებერვალს დაბა სურამის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის ხაშურის ფილიალის“ ქურდობის ეპიზოდში. რაც შეეხება 2006 წლის 16 თებერვალს სს „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის ხაშურის ფილიალის“ ქურდობის ეპიზოდს, რომლითაც მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 243 ლარი, დაზარალებულს არ წარმოუდგენია სასარჩელო განცხადება და არც სამოქალაქო მოსარჩელედ არ არის ცნობილი.

I-ლი ინსტანციის სასამართლომ კი მსჯავრდებულებს – გ. ფ-შვილსა და გ. გ-შვილს დააკისრა დაზარალებულების – წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ხაშურის ეკლესიისა და სს „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის ხაშურის ფილიალის“ სასარგებლოდ თანხის გადახდა.

აღნიშნული განაჩენი თანხის დაკისრების ნაწილში სააპელაციო სასამართლომ დატოვა უცვლელად, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ეპიზოდებში არ იყო დაწყებული სამოქალაქო სამართალწარმოება. აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატას მიაჩნია, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოები არ იყვნენ უფლებამოსილი, რომ მსჯავრდებულებისათვის დაეკისრებინათ წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ხაშურის ეკლესიის სასარგებლოდ – 798 ლარისა და 70 თეთრის, ხოლო სს „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის ხაშურის ფილიალის“ სასარგებლოდ – 182 ლარისა და 30 თეთრის გადახდა.

პალატას მიაჩნია, რომ განაჩენი იმ ნაწილში, რომლითაც მსჯავრდებულებს – გ. ფ-შვილსა და გ. გ-შვილს დაზარალებულ წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ხაშურის ეკლესიის სასარგებლოდ დაეკისრა 798 ლარისა და 70 თეთრის, ხოლო მსჯავრდებულ გ. ფ-შვილს სს „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის ხაშურის ფილიალის“ სასარგებლოდ – 182 ლარისა და 30 თეთრის გადახდა, უნდა გაუქმდეს.

მსჯავრდებულ გ. ფ-შვილს დაბა სურამის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის ხაშურის ფილიალის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 243 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ხაშურის რაიონული პროკურატურის პროკურორ ვ. ტ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 15 დეკემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

მსჯავრდებულ გ. ფ-შვილს ამოერიცხოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (2000 წლის 30 მაისის რედაქცია), 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია, წინა რედაქციის მინიმუმის გათვალისწინებით) დაწინაურებული სასჯელი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ გ. ფ-შვილს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (2000 წლის 30 მაისის რედაქცია), 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია, წინა რედაქციის მინიმუმის გათვალისწინებით) და 177-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (მოქმედი რედ. ძველის მინიმუმის გათვალისწინებით) მიესაჯოს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. საბოლოოდ გ. ფ-შვილს მოსახდელად განესაზღვროს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე გ. გ-შვილს გამოსაცდელ ვადად დაენიშნოს 4 წელი.

გაუქმდეს გ. გ-შვილის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო. გ. გ-შვილს სასჯელის ვადაში ჩათვალოს 3 დღე – 2006 წლის 14 მარტიდან 16 მარტამდე.

გაუქმდეს ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლის 2006 წლის 2 მაისის ბრძანება ნელი მეყანწიშვილის სახელზე რიცხულ ბინაზე, მდებარე ქ. ხაშურში, ... ქ.№30-ში, ყადაღის დადების შესახებ.

გაუქმდეს განაჩენი მსჯავრდებულების – გ. ფ-შვილისა და გ. გ-შვილისათვის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ხაშურის ეკლესიისა და სს „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის ხაშურის ფილიალის“ სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში.

მსჯავრდებულ გ. ფ-შვილს დაბა სურამის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის ხაშურის ფილიალის“ სასარგებლოდ დაეკისროს 243 ლარის გადახდა.

სხვა ნაწილში განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## არასრულწლოვანისათვის სასჯელის დანიშვნის წესი

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 2241-აპ 26 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),

ზ. მეიშვილი,

ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ი-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 აგვისტოს განაჩენით გ. ი-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, არაერთგზის, საცავში უკანონო შელწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 25 ნოემბერს, დაახლოებით 23 საათზე გ. ი-შვილი იმყოფებოდა ქ. გორში, ... ქუჩაზე. მან განიზრახა, ფარულად დაუფლებოდა ... ქ. №32-ე კორპუსის წინ მდებარე ევანგელისტურ სამლოცველო სახლში არსებულ ქონებას. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად გ. ი-შვილმა უკანონოდ შეაღწია სამლოცველო სახლის შენობაში, სადაც ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაუფლა სხვადასხვა ნივთს, რითიც დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის გ. ი-შვილს მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და განაჩენითა ერთობლიობით განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის თანახმად, გ. ი-შვილს დანიშნული სასჯელი შეუმცირდა და საბოლოოდ მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2006 წლის 6 დეკემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა გ. ი-შვილმა და გორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ი. შ.მ.

მსჯავრდებულმა ითხოვა დანიშნული სასჯელის შემსუბუქება, ხოლო პროკურორმა – მსჯავრდებულისათვის შეფარდებული სასჯელის დამძიმება და მისთვის საბოლოოდ 10 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ნოემბრის განაჩენით მსჯავრდებულ გ. ი-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო პროკურორ ი. შ-მის საჩივარი დაკმაყოფილდა და გ. ი-შვილს საბოლოოდ მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებული გ. ი-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა მისი გულწრფელი აღიარება და მონანიება და ისე დაუმატა

პირობითი სასჯელი მთლიანად; მას დანაშაული ჩადენილი ჰქონდა არასრულწლოვნობისა და მძიმე ეკონომიკური გაჭირვების პერიოდში.  
აღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და მისთვის დანიშნული სასჯელის მინიმუმამდე შემცირებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალები, მათ შორის – შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და ბინის ჩხრეკის ოქმებით, მსჯავრდებულის ჩვენებით უტყუარადაა დადასტურებული, რომ გ. ი-შვილმა საცავში უკანონო შეღწევით და არაერთგზის ჩაიდინა ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს სასჯელის დანიშვნისას უნდა ეხელმძღვანელა სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილით, რადგან დანაშაულის ჩადენისას გ. ი-შვილი არასრულწლოვანი იყო, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოტანილია აღნიშნულ მუხლში შეტანილი ცვლილებების ამოქმედების შემდეგ. სსკ-ის მე-80 მუხლის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას არასრულწლოვნად ითვლება ის, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი. ცხადია, რომ სსკ-ის 88-ე მუხლის გამოყენებისას მხედველობაშია მისაღები არა განაჩენის გამოტანის, არამედ დანაშაულის ჩადენის დრო. გარდა ამისა, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატა არ იყო უფლებამოსილი, მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელისათვის მთლიანად დაემატებინა წინა განაჩენით განსაზღვრული სასჯელი, კერძოდ:

პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბრალმძებელს არ მოუთხოვია გ. ი-შვილისათვის სასჯელის განაჩენა ერთობლიობით დანიშვნა და მსჯავრდებულისათვის განსაზღვრულ სასჯელს წინა სასჯელიდან დაემატა მხოლოდ 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი გაასაჩივრა პროკურორმა და სააპელაციო საჩივრით მოითხოვა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მთლიანად დამატება.

სსსკ-ის 540-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდების მხარის წარმომადგენელმა შეიტანა სააპელაციო საჩივარი სწორედ ამ მოთხოვნით და თუ მას ასეთი პოზიცია ეკავა პირველი ინსტანციის სასამართლოში. როგორც აღინიშნა, პირველი ინსტანციის სასამართლოში პროკურორს არ მოუთხოვია სასჯელის დანიშვნა განაჩენთა ერთობლიობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გ. ი-შვილს სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად უნდა შეუმსუბუქდეს ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელი.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. ი-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ნოემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გ. ი-შვილს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს ერთი მეოთხედით და განესაზღვროს 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი 2 წელი და საბოლოოდ მიესაჯოს 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

არასრულწლოვანისათვის სასჯელის დანიშვნის წესი

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 391-აპ15 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. მურუსიძე,  
ზ. მეიშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ჯ. ბ-აურის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 19 ოქტომბრის განაჩენით ჯ. ბ-აური ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ არაერთგზის ჩაიდინა ძარცვა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 11 აპრილის განაჩენით ჯ. ბ-აური ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“, მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, ამავე ვადით.

2007 წლის 21 აპრილს, დაახლოებით 19 საათზე ჯ. ბ-აურმა ქ. თბილისში, ... მიმდებარე ტერიტორიაზე, არასრულწლოვან თ. კ-ძეს აშკარად გასტაცა 180 ლარად ღირებული, „სონი-ერიქსონის“ მარკის მობილური ტელეფონი სიმ-ბარათით, რის შემდეგ შემთხვევის ადგილიდან მიიმალა და დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის ჯ. ბ-აურს მიესაჯა 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი – 3 წელი და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლისა და 6 თვის ვადით, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 22 აპრილიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ჯ. ბ-აურმა. მან ითხოვა განაჩენის გაუქმება და გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 21 იანვრის განაჩენით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებული ჯ. ბ-აური საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია; ამასთან ითხოვს, პალატამ გაითვალისწინოს მისი ოჯახური მდგომარეობა, ის, რომ ჰყავს მე-2 ჯგუფის ინვალიდი მამა, ინვალიდი და, მისი ოჯახი მიეკუთვნება სოციალურად დაუცველთა რიცხვს და იმყოფება მხოლოდ მსჯავრდებულის კმაყოფაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯ. ბ-აური ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მასალები სრულადაა გამოკვლეული, მათზე ობიექტურად იმსჯელა ორივე ინსტანციის სასამართლომ და სწორად შეაფასა, გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს. ამასთან, ჯ. ბ-აურის ქმედება სწორადაა დაკვალიფიცირებული.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებული და გამოკვლეული მტკიცებულებებით, მათ შორის – დაზარალებულ თ. კ-ძის, მოწმეების – ნ. კ-ძისა და ლ. კ-შვილის ჩვენებებით უტყუარადაა დადასტურებული, რომ ჯ. ბ-აურმა ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული

ქმედება. აღნიშნული პირები ასევე მიუთითებენ, რომ მსჯავრდებულის ნათესავები მოკვლის მუქარით მოითხოვდნენ დაზარალებულისაგან ჩვენების შეცვლას.

საკასაციო საჩივარში მითითებული მოტივებით მსჯავრდებულისათვის სასჯელის შემსუბუქების საფუძველი არ არსებობს, მაგრამ ჯ. ბ-აურს დანიშნული სასჯელი უნდა შეუმსუბუქდეს სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად. დადგენილია, რომ დანაშაულის ჩადენისას ჯ. ბ-ური არასრულწლოვანი იყო, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოტანილია აღნიშნულ მუხლში შეტანილი ცვლილებების ამოქმედების შემდეგ. პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის მე-80 მუხლის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას არასრულწლოვნად ითვლება ის, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი. ცხადია, რომ სსკ-ის 88-ე მუხლის გამოყენებისას მხედველობაშია მისაღები არა განაჩენის გამოტანის, არამედ დანაშაულის ჩადენის დრო.

გარდა ამისა დადგენილია, რომ ჯ. ბ-ური ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის დააკავეს 2005 წლის 15 იანვარს და იმავე წლის 17 იანვარს მას აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გადაცემა.

პალატამ არაერთხელ განმარტა, რომ სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად უნდა დაემატოს არა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი, არამედ მისი მოუხდელი ნაწილი, რომლის სახე და ზომა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ზუსტად უნდა დადგინდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯ. ბ-აურს უნდა შეუმსუბუქდეს ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელი, რასაც მთლიანად უნდა დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 2 წელი, 11 თვე და 28 დღე.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ჯ. ბ-ურის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 იანვრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯ. ბ-აურს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს ერთი მეოთხედით – 1 წლით, 7 თვით და 15 დღით და განესაზღვროს 4 წლით, 10 თვით და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 2 წელი, 11 თვე და 28 დღე და საბოლოოდ მიესაჯოს 7 წლით, 10 თვით და 13 დღით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## არასრულწლოვანისათვის სასჯელის დანიშვნის წესი

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 123-აა

13 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

ლ. მურუსიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ჩ-შვილის დამცველი ადვოკატების – ზ. რ-შვილისა და მ. მ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ახმეტის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 სექტემბრის განაჩენით ა. ჩ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლის საფუძველზე, რის გამოც სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით, ა. ჩ-შვილს მსჯავრი დაედო განზრახ მკვლელობისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში: ა. ჩ-შვილმა 2006 წლის ივლისში დაკარგა მუსიკალური ცენტრი, რომლის ქურდობაზე მას ეჭვი ჰქონდა თავის მეზობელ ო. ქ-შვილზე. ამის გამო მათ ერთმანეთთან ცუდი დამოკიდებულება ჰქონდათ. 2007 წლის 10 თებერვალს ა. ჩ-შვილისათვის ცნობილი გახდა, რომ დედამისს, ნ. თურს ო. ქ-შვილმა მიაყენა შეურაცხყოფა. აღნიშნულით განაწყენებული ა. ჩ-შვილი შურის საძიებლად დაახლოებით 16:00 საათზე წავიდა ო. ქ-შვილთან შესახვედრად და თან წაიღო სამზარეულო დანა. მის დასაძახებლად ა. ჩ-შვილმა გაგზავნა თავისი ამხანაგი ლ. მ-ძე და ო. ქ-შვილს შეხვდა ერეკლე II-ის ქუჩაზე. მათ მუსიკალური ცენტრის ქურდობისა და ა. ჩ-შვილის დედისათვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტებთან დაკავშირებით მოუვიდათ შელაპარაკება, რაც გადაიზარდა ჩხუბში. ჩხუბის დროს ა. ჩ-შვილმა მოკვლის მიზნით ო. ქ-შვილს მოუქნია დანა და მუცლის არეში მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანება, კერძოდ, მუცლის ღრუში შემავალი ჭრილობა, ზომით 2.5X0.3 სმ, თეძოს არტერიისა და ვენის დაზიანებით, რის გამოც ო. ქ-შვილი ძირს დავარდა. ა. ჩ-შვილი, რომელმაც ჩათვალა, რომ მოკლა ო. ქ-შვილი, შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. ო. ქ-შვილი შემთხვევის ადგილიდან გადაყვანილ იქნა ახმეტის რაიონულ საავადმყოფოში, სადაც მას ჩაუტარდა სამედიცინო დახმარება, მაგრამ მიყენებულმა ჭრილობამ გამოიწვია დიდი რაოდენობით სისხლის დაკარგვა და იგი იმავე დღეს გარდაიცვალა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა კახეთის საოლქო პროკურატურის პროკურორმა გ. ბაჩიაშვილმა, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა ახმეტის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 სექტემბრის განაჩენში მსჯავრდებულისათვის საუარესო ცვლილების შეტანას, კერძოდ კი – ჩ-შვილის მიმართ სასჯელის ზომად 12 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ასევე მსჯავრდებულ ა. ჩ-შვილის დამცველმა ადვოკატებმა – ზ. რ-შვილმა და მ. მ-ძემ, რომლებიც თავიანთი საჩივრით ითხოვდნენ ახმეტის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 სექტემბრის განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ ა. ჩ-შვილის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 დეკემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ხოლო ახმეტის რაიონული სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულ ა. ჩ-შვილის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ა. ჩ-შვილის დამცველმა ადვოკატებმა – ზ. რ-შვილმა და მ. მ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორები ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 დეკემბრის განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ ა. ჩ-შვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ მას არ ჩაუდენია განაჩენით მისთვის შერაცხული დანაშაული, ამასთან, რაიონულმა და სააპელაციო სასამართლოებმა არ მისცეს სწორი იურიდიული შეფასება გამოკვლეულ მტკიცებულებებს და საპროცესო ნორმების დარღვევით გამოიტანეს უკანონო სასამართლო გადაწყვეტილებები, რომელთა დადგენისას სასჯელი ისე დანიშნეს, რომ ა. ჩ-შვილის არასრულწლოვანებაც კი არ გაითვალისწინეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ა. ჩ-შვილის მიმართ, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგი გარემოებების გამო:

სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლის შედეგად მსჯავრდებულ ა. ჩ-შვილის ბრალდების თაობაზე მის მიმართ დადასტურებულად მიჩნეული ბრალდების საფუძვლიანობის თვალსაზრისით, საქმეში არსებული სარწმუნო მტკიცებულებების საფუძველზე, რომლებიც მოპოვებულია საპროცესო ნორმების დაცვით, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულმა ა. ჩ-შვილმა ნამდვილად ჩაიდინა ო. ქ-შვილის განზრახ მკვლელობა შურისძიების ნიადაგზე.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს და მოსაზრებებს ა. ჩ-შვილის უდანაშაულობის თაობაზე, რადგან ასეთი პოზიცია არ შეესაბამება ზემოხსენებულ უტყუარ მტკიცებულებებს, რომლებიც მოცემულია მოწმეთა ჩვენებების, დაზარალებულის ჩვენებების, სასამართლო – სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნისა და სხვა დოკუმენტების სახით.

აღნიშნული მტკიცებულებების ანალიზით არ დასტურდება, რომ ქმედების ჩადენისას ა. ჩ-შვილი იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, რადგან საქმეში არ არსებობს სარწმუნო მონაცემები იმის თაობაზე, რომ ა. ჩ-შვილის სიცოცხლეს რეალური საფრთხე ემუქრებოდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მათ მისცა მართებული სამართლებრივი კვალიფიკაცია, რის გამოც განაჩენი ამ ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

რაც შეეხება განაჩენით ა. ჩ-შვილისათვის დანიშნულ სასჯელს, უნდა აღინიშნოს, რომ იგი სასამართლომ განსაზღვრა ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, მაგრამ ამავე დროს, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ განაჩენის დადგენისას არ გაითვალისწინა საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის ახალი რედაქციით დადგენილი ის შეღავათი, რომელიც დაწესებულია თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე ასაკის მსჯავრდებულებისათვის სასჯელის დანიშნვისას, კერძოდ ის, რომ დანაშაულის ჩამდენ ასეთ არასრულწლოვანს საბოლოოდ დანიშნული სასჯელი უნდა შეუმცირდეს ერთი მეოთხედით.

განხილული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 დეკემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ა. ჩ-შვილის სასიკეთოდ, კერძოდ, მას გასაჩივრებული განაჩენით განსაზღვრული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით – უნდა შეუმცირდეს ერთი მეოთხედით და საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 9 თვის ვადით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ა. ჩ-შვილის დამცველი ადვოკატების – ზ. რ-შვილისა და მ. მ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 დეკემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ა. ჩ-შვილს განაჩენით დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით – შეუმცირდეს ერთი მეოთხედით – 2 წლითა და 3 თვით და საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 9 თვის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საძიებელი

1. განგრძობადი დანაშაული
2. არაერთგზისი დანაშაული
3. დამატებითი სასჯელი
4. დანაშაულთა რეალური ერთობლიობა
5. დანაშაულის ორგანიზატორი
6. შეზღუდული შერაცხადობა
7. ვადიანი თავისუფლების აღკვეთისას პირობითი მსჯავრის აგმოყენება
8. ქონების ჩამორთმევა
9. მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გამოკვლევა
10. სასჯელის დანიშვნა დანაშაულის რეციდივის დროს
11. სასჯელთა შეჯამება (დანიშვნა) განაჩენთა ერთობლიობის დროს
12. პირობითი მსჯავრი
13. დაზარალებულისა და მისი უფლებამონაცვლის უფლებები
14. ნასამართლობა
15. არასრულწლოვანისათვის სასჯელის დანიშვნის წესი